

თამარ ჩოკორაია



კოლექტიური მემსიერების  
ფორმირების პროცესი  
ქ ა რ თ უ ლ  
ისტორიულ პროზაში

(მე-20 საკუნის 20-60-იანი წლები)

# თამარ ჩოკორაია

კოლექტიური მესხიერების ფორმირების  
პროცესი ქართულ ისტორიულ პროზაში  
(მე-20 საუკუნის 20-60-იანი წლები)

თბილისი  
2015

ნიგნში წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის, თამარ ჩოკორაიას საგრანტო პროექტი, რომელიც დააფინანსა რუსთაველის ფონდმა 2013-2015 წლებში პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. ნიგნის სათაური იმეორებს აღნიშნული პროექტის სახელწოდებას. კვლევის დროს მომზადდა ხუთი სამეცნიერო სტატია, რომლებიც დაიბეჭდა სამეცნიერო პერიოდიკაში.

ისტორიული პროზა შესწავლილია მეხსიერების კვლევების კონტექსტში. გამოვლენილია ქართული საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების არსი, მისი დამოკიდებულება წარსულისადმი, კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები. კვლევის ეს მიმართულება საინტერესოა, ვინაიდან წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და პოპულარული ისტორიული ნაწარმოებებიდან საზოგადოების ცნობიერებაში დაღეჭილი და კოლექტიურ მეხსიერებაში გადასული სტერეოტიპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართული საზოგადოების სოციოპოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

კვლევის შედეგები ღირებული იქნება ლიტერატურის ისტორიისათვის, ლიტერატურათმცოდნეობისათვის, კულტურის კვლევებით დაინტერესებული მეცნიერებისათვის. ისტორიული პროზის შესწავლა სოციო-კულტურულ კონტექსტში გამოავლენს ისტორიული პროზის სიახლოვეს საზოგადოებრივ პროცესებთან და თანამედროვე ინტერესებთან; აგრეთვე ისტორიული პროზის სოციალურ დატვირთვას, მის როლს საზოგადოების მენტალობის ფორმირების პროცესში.

*რედაქტორი:*

**თამარ გეგეშიძე (ფილოლოგიის დოქტორი)**

*რეცენზენტები:*

**ბეჟან ჯავახია (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)**

**ნინო ქიქერიძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)**

*დიზაინერი:*

**ეთერ გზირიშვილი**

**პოლიგრაფიული მომსახურება: შპს. „პოლიგრაფმაქსი“  
მისამართი: თბილისი, რობაქიძის გამზ. 7**

**ISBN 978-9941-0-7727-2**

## შესავალი

მეხსიერება განსაზღვრავს ინდივიდის, საზოგადოების, კულტურის რაობას. მეხსიერება და ისტორია ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა მეცნიერები მათ ერთმანეთისაგან განარჩევენ. ისტორია, რომელსაც ქმნის ისტორიული მეცნიერება, თავისი არსით ანალიტიკურია, ისტორიკოსი დოკუმენტებზე დაყრდნობით წარსულის შედარებით სანდო ვერსიას გვთავაზობს. მეხსიერება კი ემოციური ფენომენია და ისტორიიდან მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან ფაქტებს იმახსოვრებს (Nora 1989:2). მეხსიერება აერთიანებს საზოგადოებას, ქმნის სოლიდარობის განცდას, წარსულის მიმართ საერთო დამოკიდებულებას. მეხსიერებისათვის ისტორიიდან ყველა ფაქტი როდია თანაბრად მნიშვნელოვანი, ისტორიასა და წარსულზე რეფლექსიის დროს ყურადღება ენიჭება იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც აწმყო დროისათვისაა აქტუალური. აქედან გამომდინარე, არსებობს ისტორია, რომელიც ისტორიკოსთა შრომებსა და მატრიანეებშია თავმოყრილი და არსებობს ისტორია, რომელიც საზოგადოების მეხსიერებაში ცოცხლობს.

ისტორიულ პროზას მეხსიერების ფორმირების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისი ესთეტიკურობისა და მასობრიობის გამო. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ისტორიული პროზის კვლევის მდიდარი ტრადიცია არსებობს (გ. კანკავა - „ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები“, თბ. 1969; ლ. ბოჩკოვა - „ქართული ისტორიული და ფსიქოლოგიური პროზის ისტორიიდან, თბ. 1984, შ. ხოტივარ-იუნგერი - „ქართული ისტორიული რომანის განვითარება“, თბ. 1993; მ. მირესაშვილი - „ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურებანი“, თბ. 2005 და ა.შ). მკვლევართა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს ისტორიული პროზის ჟანრულ სპეციფიკაზე, მხატვრული გამონაგონისა და ისტორიული ავთენტურობის შერწყმის საკითხზე და ა.შ. თუმცა კვლევის არეალიდან თითქმის უგულვებელყოფილია ქართული ისტორიული პროზის ისტორიულ მეხსიერებასთან მიმართება, ისტორიული პროზის როლი ერის კოლექტიური

მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში. ის სოციო-კულტურული ფაქტორები, რომლებიც აისახა ქართული ისტორიული პროზის თემატიკასა და სპეციფიკაში.

დღესდღეობით, ისტორიულ პროზაში გამოვლენილი კოლექტიური მეხსიერების მეცნიერულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისტორიული პროზის შესწავლა შეიძლება კარგი საშუალება გახდეს დღევანდელ საზოგადოებაში არსებული ღირებულებების კვლევისათვის. წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და პოპულარული ისტორიული ნაწარმოებებიდან საზოგადოების ცნობიერებაში დაღეჩილი და კოლექტიურ მეხსიერებაში გადასული სტერეოტიპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართული საზოგადოების სოციოპოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. რომელიმე ისტორიული მოვლენისა და პიროვნების აქტუალიზებით კარგად ჩანს საზოგადოების განწყობა და ღირებულებები აწმყო დროში.

კვლევის ობიექტები, ძირითადად, 1923-1962 წლების არეალშია შექმნილი, გასაბჭოებიდან ე.წ. დათბობის პერიოდამდე. ამ ნაწარმოებებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მკითხველში და დიდი გავლენაც მოახდინა მათზე.

## **კვლევის მეთოდიკა**

სამეცნიერო კვლევა ინტერდისციპლინურია: მოიცავს ლიტერატურთმცოდნეობასა და მეხსიერების კვლევებს - კულტურის კვლევების თეორიულ პარადიგმას. მისი შედეგები ეხმიანება ორივე დარგის ყველაზე აქტუალურ გამოწვევებს.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა, როგორც კონკრეტული ლიტერატურული ტექსტები, ისე ის სოციო-კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც აისახა ტექსტებში, იდეოლოგიები, პოლიტიკური ფაქტორები და ტექსტში გამოვლენილი ღირებულებები. ამ ამოცანების შესასრულებლად გამოყენებულ იქნა ლიტერატურული ჰერმენევტიკის მეთოდები (ს. პორტერი, ჯ. რობინსონი), რომლებიც ჰ. გ.

გადამერის ფილოსოფიური ჰერმენევტიკიდან იღებს სათავეს, რაც გულისხმობს ტექსტის კვლევას არა დამოუკიდებლად, არამედ კონტექსტთან ერთად. კვლევის ფორმატი ასევე მოიცავს მეხსიერების კვლევების მეთოდებსა და თეორიულ კონცეფციებს. გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: მეხსიერების პოლიტიკა, კოლექტიური მეხსიერება, ინდივიდუალური მეხსიერება. კოლექტიური მეხსიერების არსის გააზრების დროს ვეყრდნობით მ. ჰალბვაქსის კონცეფციას. მისი აზრით, ადამიანები აღიქვამენ, იაზრებენ და იმახსოვრებენ იმ მოვლენებს, რომლებიც მათი სოციალური წრისთვისაა მნიშვნელოვანი. ინდივიდუალური მეხსიერება არ არსებობს კოლექტიური მეხსიერების გარეშე, ხოლო კოლექტიურ მეხსიერებას ინდივიდთა ერთობა ქმნის. კოლექტიური მეხსიერება ყოველთვის სოციალურადაა განსაზღვრული (Halbwachs 1992:54). ისტორიულ პროზაში კონკრეტული მწერლის ინდივიდუალური და მისი სოციალური წრიდან ნაკარნახევი კოლექტიური მეხსიერება გადაიკვეთება. ერთი მხრივ, მწერლის შეხედულებები სოციალურადაა განსაზღვრული; მეორე მხრივ, ის საკუთარი ინდივიდუალური მეხსიერებით გარკვეულ გავლენას ახდენს კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაზე. როგორც ვხედავთ, ეს ორმხრივი პროცესია. თუმცა, ორივე შემთხვევაში ისტორიიდან ყველა ფაქტი ერთნაირად მნიშვნელოვანი არაა. ამას მწერალი და მისი სოციალური წრე განსაზღვრავს. კოლექტიური მეხსიერების ცვალებადი ბუნება კარგად ჩანს ისტორიული პროზის მაგალითზე. მწერლისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ხელში ისტორია შეიძლება მანიპულაციის საშუალებაც გახდეს - ნაციონალური იდენტობის, ანტიკოლონიური, პოსტკოლონიური პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და ბევრი სხვა მიზნით. მწერალს შეუძლია წარსულიდან მისთვის სასურველი ფაქტები გამოიხმოს, ზოგიც გააუფერულოს, ან აბსოლუტურად შეცვალოს. ესთეტიკური ფუნქციის გარდა, ისტორიული პროზა ხშირად აქტიურად გამოიყენება ტრავმული გამოცდილების გააზრების დროს, კოლონიალიზმის ეპოქაში. საქართველოს მსგავს ქვეყნებში ანტიკოლონიური წინააღმდეგობა ნაციონალური ისტორიის გაცოცხლებით

ინყება, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს ქვეყნის ისტორიიდან საუკეთესო პერიოდებისა და ეპიზოდების გამოკვეთას, ხოლო, მეორე მხრივ, ერის მცდელობას წარმოაჩინოს საკუთარი თავი მსხვერპლად.

კოლონიურ ეპოქაში, პირდაპირი დაპირისპირებისა და ანალიტიკურ-კრიტიკული მიმართების შეუძლებლობის გამო, ვითარდება მხატვრულ-ალეგორიული დისკურსი (ნიფურია 2010:180). ასეთ პირობებში ყველაზე ნაყოფიერი ისტორიული პროზა უნდა ყოფილიყო, რადგან პრობლემის წარსულში გადატანით, მწერალს პრობლემის წარმოჩენის და ალეგორიის მეტი თავისუფლება ჰქონდა. გარდა ამისა, ქართველი მწერლები ისტორიას და ისტორიულ პროზას კოლექტიური მეხსიერების შესაქმნელად იყენებდნენ. ნაციონალური კოლექტიური მეხსიერება უნდა დაპირისპირებოდა კოლონიურ პოლიტიკას, ამიტომაც კოლონიურ და პოსტკოლონიურ ლიტერატურაში აქტიურად გამოიყენება მეხსიერების პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, ნაშრომში ქართული ისტორიული პროზის დახასიათებისას გამოყენებულია მეხსიერების კვლევების თეორიული კონცეფცია.

კვლევაში მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული პროზის სტრუქტურულ ანალიზს. ლიტერატურული ტექსტების ნარატიულმა ანალიზმა გამოავლინა სრულიად განსხვავებული სტილის მქონე მწერალთა ხედვა, მათი დამოკიდებულება ისტორიისადმი, კოლექტიური მეხსიერების გავლენა ტექსტებში. ნარატოლოგიური მეთოდების გამოყენებისას, ძირითადად, ვეყრდნობით ჟ. ჟენეტის მეთოდოლოგიას.

## **ზიგნის შინაარსი**

პროექტის კვლევის შედეგად გამოვლინდა კოლექტიური მეხსიერების გავლენა ისტორიულ პროზაში; თავის მხრივ კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში ისტორიული პროზის როლი.



ნიგნის I თავი ეთმობა გიორგი სააკაძის პოლარიზებულ სახეს. ამ ისტორიული პერსონის შესახებ დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია, მას ხან მოლაღატედ, ხან გმირად მოიხსენიებენ. ვ. ბარნოვისა და ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომანების შესწავლის შედეგად, კარგად გამოჩნდა ამ ნაწარმოებთა როლი სააკაძის, როგორც ისტორიული გმირის ჩამოყალიბების პროცესში. გარდა ამისა, თვალსაჩინო გახდა მე-20 საუკუნის საქართველოს პირველი ნახევრის იდეალები, ისტორიულ-პოლიტიკური პარალელები, პოლიტიკური კონტექსტის გავლენა ისტორიული მოვლენის აქტუალიზების პროცესში კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

ნიგნის II თავში ვმსჯელობთ შ. დადიანის ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ შესახებ. თამარის მეფობის ეპოქა ქართულ ისტორიოგრაფიასა და კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებულია, როგორც ოქროს ხანა. შ. დადიანის ნაწარმოების სიუჟეტად სწორედ ეს ეპოქაა აღებული. გასაბჭოების პერიოდში ამ თემატიკაზე აქცენტირება, მწერლის გარკვეულ მიზანდასახულობაზე მეტყველებს. ისტორიული ნაწარმოების კვლევის შედეგად, თვალსაჩინო გახდა ქართული ისტორიული პროზის სოციალური ხასიათი და პოლიტიკურ კონტექსტთან სიახლოვე.

ნიგნის III თავში გაანალიზებულია კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. კ. გამსახურდიას ნაწარმოებებმა საეტაპო მნიშვნელობა იქონია ქართული ისტორიული პროზის როგორც ჟანრის ჩამოყალიბებაში, ისე ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში ამ ეპოქის ილუსტრირებაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „დიდოსტატის მარჯვენა“ წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოების უცვლელი ნაწილი იყო და მეტწილად განსაზღვრავდა საგანმანათლებლო პოლიტიკას. ამდენად, მან თაობების ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოახდინა. მისი კვლევის შედეგად, გამოვლინდა ისტორიისა და ფიქციის როლი კოლექტიურ მეხსიერებაში. თაობათა მეხსიერებაში ეს ეპოქა სწორედ მწერლის ფანტაზიით უფროა გაცოცხლებული, ვიდრე კონკრეტული ისტორიული წყაროებითა და ისტორიკოსთა ნაშრომებით. ნიგნის IV



თავი ეთმობა კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“. დავით აღმაშენებლის ფიგურას პოპულარობა და სიყვარული არ მოჰკლებია საუკუნეების განმავლობაში, თუმცა კ. გამსახურდიას რომანმა ამ სახეს განსაკუთრებული შთამბეჭდაობა შესძინა. დავით აღმაშენებლის, როგორც ძლიერი მონარქისა და ძლიერი საქართველოს აღმშენებლის სახის გამოკვეთამ დიდი გავლენა მოახდინა ანტიკოლონიური იდენტობისა და კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესზე. ამდენად, პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა „დავით აღმაშენებლის“, როგორც ისტორიული ნაწარმოების გავლენა ქართულ კოლექტიურ ცნობიერებაზე. ორივე ნაწარმოები ძლიერი საქართველოს სიმბოლოდ შეიძლება მოვიხაროთ, რომელიც ანტიკოლონიური განწყობის შექმნას ემსახურებოდა.

ნიგნის V თავში ვმსჯელობთ მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ შესახებ. პროექტის ფარგლებში გამოკვლეული იქნება აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“, სადაც მწერალი სოცრეალიზმის ესთეტიკის დაცვას ცდილობს. არსენა მარაბდელის სახე კოლექტიური მეხსიერების ნაწილია ჯერ კიდევ ფოლკლორული წყაროებიდან, საინტერესოა თუ როგორ გარდაიქმნა ეს სახე მწერლის ინდივიდუალურ მეხსიერებაში და რა გავლენა მოახდინა მან კოლექტიურ მეხსიერებაზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე რომანის შექმნის სოციოპოლიტიკური კონტექსტი, თუ რატომ მოხდა ამ ფოლკლორული თუ ისტორიული ფიგურის აქტუალიზება. ამ ისტორიული რომანის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების ურთიერთმიმართება, მწერლის ინდივიდუალური მეხსიერების როლი კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში.

## თავი I

### **გიორგი სააკაძის პოლარიზებული სახე კოლექტიურ მეხსიერებაში და ვ. ბარნოვისა და ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომანები**

ერის კოლექტიური მეხსიერების ფორმირება ხანგრძლივი პროცესია, რაც სხვადასხვა ისტორიული მოვლენის ჩანერა-განაღლიზებით, თაობებისათვის წერილობითი და ზეპირი ფორმით გადაცემით ხორციელდება. ისტორიოგრაფიისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია ისტორიის ყველა ფურცელი, მაშინ როცა კოლექტიურ მეხსიერებაში აისახება და რჩება ის, რასაც ემოციური დატვირთვა გააჩნია. კოლექტიური მეხსიერება თავს იჩენს ე.წ. მეხსიერების არეებში, ესენია: 1) სიმბოლური – (კალენდარი), რიტუალები, იუბილეები და ა.შ. 2) ფუნქციური – სახელმძღვანელოები, ავტობიოგრაფიები, მხატვრული ლიტერატურა და ა.შ. 3) მონუმენტური – საფლავები, არქიტექტურა, ძეგლები და ა.შ. 4) ტოპოგრაფიული – არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები (Nora 1989:19).

ისტორიული პროზა მეხსიერების ფუნქციურ არეს განეკუთვნება. მასში კარგად ჩანს კონკრეტული ეპოქის საზოგადოების კოლექტიური მეხსიერება, მეორე მხრივ, კი ის ხელს უწყობს მომდევნო თაობებში კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას. აღნიშნული თეზის საილუსტრაციოდ საკვლევ ობიექტად ავიღეთ ორი ისტორიული რომანი, კერძოდ, ვ. ბარნოვის „გიორგი სააკაძე“ და ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“. მათში განსხვავებულადაა წარმოჩენილი ისტორიული ფიგურა. გიორგი სააკაძის პიროვნება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მის შესახებ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. გარკვეულ ეპოქებში მასზე წარმოდგენა იცვლებოდა, რაც მეხსიერების პოლიტიკის საკვლევად კარგი მაგალითია. საგულისხმოა ამ ცვლილებების მაპროვოცირებელი სოციო-კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი.

ისტორიული რომანების განვიხილვამდე, გადავხედოთ ისტორიოგრაფიულ მონაცემებს. XVII საუკუნის I ნახევრის ისტორიულმა მოღვაწემ გიორგი სააკაძემ იმთავითვე დიდი ინტერესი დაიმსახურა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობენ ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები. XVII-XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლები ერთხმად ადასტურებენ გიორგი სააკაძის მნიშვნელოვან გამარჯვებებს: ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის საბრძოლო ეპოპეებს. თუმცა წყაროთა ავტორები გამოთქვამენ ბრალდებებს, რომლებიც მისი მოღვაწეობის ცალკეულ ასპექტებს უკავშირდება.

ქართლის მეფის სვიმონ დიდის პერიოდიდან გიორგი სააკაძე აქტიურადაა ჩართული ქვეყნის ცხოვრებაში, ლუარსაბ II-ის მეფობის დროს კი ხდება მისი აღზევნაც და სპარსეთში გადასახლებაც. სააკაძის მიმართ გამოთქმული უმნიშვნელოვანესი ბრალდება ლუარსაბ II-ის მკვლელობის ხელშეწყობას უკავშირდება. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საგულისხმო ინფორმაცია მოიპოვება – ბერ ეგნატაშვილსა და ვახუშტი ბაგრატიონთან, რომელთა მიხედვითაც გიორგი სააკაძე შაჰ-აბასს ზამთარში ლაშქრობას ურჩევდა, ვინაიდან ხალხი ვერ გაიხიზნებოდა (აღნიშნული წყაროებიდან ციტატები შეგიძლიათ იხილოთ რ. ჩხეიძის წიგნში „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“). გარდა ამისა, გიორგი სააკაძემ მარტყოფის აჯანყების მოწყობა ყიზილბაშების წინააღმდეგ გადანყვიტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელში ჩაუვარდა შაჰის შიკრიკის წერილი, სადაც მისი მოკვლა და კახეთის მიწასთან გასწორება იყო ნაბრძანები (ნატროშვილი 2006:29). სააკაძის სახელთან ასევე დაკავშირებულია ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი, რის შემდეგაც ის ოსმალეთში გადაიხვეწა და ტრაგიკულად აღესრულა.

XVII-XVIII საუკუნეების წყაროები არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გიორგი სააკაძე ეროვნულ გმირად ან მოლაღატედ იყო შერაცხული. დანახულია როგორც მისი დამსახურებები ქვეყნის წინაშე, ისე შეცდომები და დანაშაულები. მის შესახებ ერთიანი აზრი XIX საუკუნეშიც არ

შექმნილა. გიორგი სააკაძის შესახებ მსჯელობის დროს ილია აღნიშნავდა: „იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებებისა, დღეს აქამომდე არც ავად არის ჩვენს მიერ დაფასებული და არც კარგადა... მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც ასახსნელი დიდნი საქმენი, – ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს განმკითხველსა... მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუმცხრალი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა“ (ჭავჭავაძე 1886:1) ხოლო ა. ნერეთელი წერდა: „დღეს ითვალისწინებ ამ უბედურს გმირს და აღარ იცი, რა ქნა: დალოცო თუ დაწყევლო? აკურთხო თუ შეაჩვენო? თაყვანი სცე თუ ზურგი უჩვენო?“ (ნერეთელი 1895:8). ვაჟა-ფშაველა გიორგი სააკაძის მიმართ უფრო დადებითადაა განწყობილი. ლექსში „გიორგი სააკაძის სურათზედ“ ვკითხულობთ:

*„რამდენი ფიქრი მწვავს, მეზადება:  
თუ ვერ ვიგუებთ ვერ შევიფერებთ,  
კარგი შვილები რად გვებადება?..  
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,  
არ გეკადრება, არ გეკადრება!“  
(ვაჟა-ფშაველა 1986:82).*

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გიორგი სააკაძის ცხოვრების შესახებ იქმნება მცირე ფორმატის საინტერესო მონოგრაფიები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ს. კაკაბაძის, მ. ჯანაშვილის, ა. ფურცელაძის და სხვათა ნაშრომები. ს. კაკაბაძე მიმოიხილავს იმ პერიოდის მონოგრაფიებს და აღნიშნავს: „ზოგნი დიდად აქებენ, ზოგნი — კი მიწასთან ასწორებენ. მართლაც და ჩვენს ისტორიაში არ არის სხვა ისეთი კაცი, რომლის შესახებაც ორი ასეთი, ერთი ერთმანეთის სანინააღმდეგო აზრი ტრიალებდეს“ (კაკაბაძე 1915:3). იქვე მსჯელობს ანტონ ფურცელაძისა და მოსე ჯანაშვილის ურთიერთგანსხვავებულ მოსაზრებებსა და არგუმენტებზე. ს. კაკაბაძის აზრით, გიორგი სააკაძის უდიდესი ტალანტი და დიდბუნებოვნება XVII საუკუნის შინააშლილობებისა და

არეულობის ეპოქამ შეინირა (იქვე, 15). ანტონ ფურცელაძის ნაშრომი – „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“ – გიორგი სააკაძეს წარმოგვიდგენს, როგორც ეროვნულ გმირს. ავტორი კარგად იცნობს XVII-XVIII საუკუნის წყაროებს, რომელთა მიმართაც კრიტიკულადაა განწყობილი: „როცა ქართველთა მეთიქორიეთა მემატინანეთა და სხვათა მწერალთა ადევნებ ყურს, ისრე არაფერი არ გაკვირვებს, როგორც ისა, რომ ამათ არ იციან, რა არის პოლიტიკა... რა ძარღვი, რა მართული ამოძრავებს სახელმწიფო საქმეებს... ესენი ამინწერენ ბრძოლას, შემოსევას, აკლებას... რათა? რისთვის? ეს იმათ არ იციან და ნურცა ჰკითხავ“ (ფურცელაძე 1892:6). ან. ფურცელაძის აზრით, სომეხმა ისტორიკოსმა არაქელმა დაამახინჯა ისტორიული ფაქტები, რომელმაც, თავის მხრივ, შეცდომაში შეიყვანა ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ კათალიკოსი და უცხოელი ისტორიკოსები. ამის გამო ავტორი არ ენდობა წყაროებს და გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საკუთარ ვერსიას გვთავაზობს. ან. ფურცელაძის წიგნს აკრიტიკებს მოსე ჯანაშვილი. მისი აზრით, ან. ფურცელაძე არ ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს გვთავაზობს. მაგალითად, ან. ფურცელაძის ცნობით, გიორგი სააკაძე იყო უბრალო კაცის შვილი, რაც არ შეესაბამება ისტორიულ წყაროებს. ამ ფაქტის დასადასტურებლად მკვლევარს მოჰყავს ცნობა ერეკლე II-ს 1783 წლის ტრაქტატიდან. ამ და სხვა ცნობების გამო დასძინეს: „არა ღირს აქ იმათზე ლაპარაკი, რომელნიც სააკაძის ხოტბას ამყარებენ არა ისტორიულ ფაქტებზე, არამედ ბნ ა. ფურცელაძის წიგნზე“ (ჯანაშვილი 1914:13). მ. ჯანაშვილისა და ან. ფურცელაძის დისკუსია თავისთავად საინტერესოა, თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისშიც არ ჩამოყალიბებულა ერთიანი შეხედულება გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ. ისტორიული დოკუმენტების სანდოობასა და ისტორიულ სინამდვილეზე მსჯელობა ისტორიკოსთა საქმეა, თუმცა ფაქტია, რომ ისტორიული წყაროების მონაცემებს

მკვლევრები გვერდს ვერ უვლიდნენ. ამ პერიოდის ისტორიოგრაფიასა და კოლექტიურ მეხსიერებაში გიორგი სააკაძის პიროვნება გაორებული სახით ჩაინერა.

გიორგი სააკაძის, როგორც ისტორიული პერსონის რეცეფციის პროცესში ახალი ეტაპი დგება საბჭოთა ეპოქის დროს, რასაც არაერთი ისტორიკოსი თუ მკვლევარი ადასტურებს. II მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ, 1939 წელს კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტმა მასშტაბური ფილმების გადაღება გადაწყვიტა, მათ შორის ფილმის – „გიორგი სააკაძე“. ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულად ყოფილა დაინტერესებული ამ ფილმის გადაღებით. 1940 წელს სცენარები უკვე მზად იყო: ერთი ეკუთვნოდა გიორგი ლეონიძეს, ხოლო მეორე ანა ანტონოვსკაიას (ამავე სახელწოდების რომანის ავტორს) და მის შვილს, ბორის ჩორნის. სცენარები გადაეგზავნა კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტს, რომელთაც გადაუგზავნეს ი. სტალინს (ჩარკვიანი 2004:175-176). სტალინმა მოიწონა ა. ანტონოვსკაიას სცენარი და ბოლშაკოვს (კომიტეტის თავმჯდომარეს) შემდეგი სახის წერილი მისწერა: „ამ დღეებში მივიღე ორი სცენარი „გიორგი სააკაძის“ თემაზე: ერთი – ანტონოვსკაიას და ჩორნისა, მეორე – ლეონიძისა.

ჩემი აზრით, ლეონიძეს სცენარი არ გამოსვლია. იგი მხატვრულად ღარიბია, ისტორიული მასალის შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით ერთგვარად პრიმიტიულია.

ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარი თავისუფალია მსგავსი ნაკლოვანებებისგან, მაგრამ მას სხვა ნაკლი აქვს. იგი მთავრდება გამარჯვებით, სააკაძის პოლიტიკისა და თვით სააკაძის აპოთეოზით, მაგრამ ასეთი ფინალი, როგორც ცნობილია, არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და ქმნის ყალბ წარმოდგენას საქართველოს წარსულზე“ (დამონმება კ. ჩარკვიანის წიგნიდან „განცდილი და ნააზრევი“, 2004:176). შემდეგ ვკითხულობთ: „ნამდვილად კი, როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკა, თუმცა ის საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით პროგრესული იყო, დამარცხდა და თვით სააკაძე დაილუპა, ვინაიდან სააკაძის

დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომნიჭებული ასეთი პოლიტიკისათვის, ე.ი. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის მეფის აბსოლუტიზმის დამყარებისა და თავადების ძალაუფლების ლიკვიდაციის გზით. მიზეზი ცხადია: თავადები და ფეოდალიზმი აღმოჩნდნენ უფრო ძლიერები, ხოლო მეფე და აზნაურობა – უფრო სუსტები, ვიდრე სააკაძეს ეგონა“ (იქვე, 176).

წერილის შემდგომ მონაკვეთში კარგად ჩანს ი. სტალინის შინაგანი სურვილი გიორგი სააკაძესთან თვითიდენტიფიკაციისა: „საკაძე გრძნობდა საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და დააპირა მისი დაძლევა საქმეში გარეშე (უცხოური) ძალის ჩაბმით, მაგრამ გარეშე ფაქტორის ძალას არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. ეს ასეც მოხდა, როგორც ცნობილია. ამ გადაუწყვეტელ წინააღმდეგობათა ვითარებაში სააკაძის პოლიტიკა უნდა დამარცხებულიყო და მართლაც დამარცხდა“ (იქვე, 176).

ი. სტალინის აღნიშნულ წერილს საინტერესო კომენტარს ურთავს მკვლევარი რ. ჩხეიძე. მისი აზრით, როცა სტალინი ამბობს „როგორც ისტორია მოგვითხრობს“ – აქ მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ან. ფურცელაძის წიგნი „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, ვინაიდან სწორედ აქ მიენერება სააკაძეს პირველად ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, სხვა წყაროებში აღნიშნული მისწრაფება არსად დასტურდება (ჩხეიძე 2012:174). ამ აზრს იზიარებენ სხვა მკვლევარებიც. თ. ნატროშვილის აზრით, იმ მოსაზრების უტყუარ ჭეშმარიტებად აღქმა თითქოს სააკაძის ნაბიჯებს საქართველოს გაერთიანების იდეა ასაზრდოებდა, სტალინის ავტორიტეტთან უნდა იყოს დაკავშირებული (ნატროშვილი 2006:38). ჯ. ღვინჯილია, რომელიც თავის მონოგრაფიაში – „გიორგი სააკაძის პიროვნება“ – სააკაძის გმირად წარმოჩენას ცდილობს, ინტერესდება თუ რა წყაროებზე დაყრდნობით დასტურდება სააკაძის მისწრაფება და იქვე პასუხობს: „ქართლის ცხოვრების“ მწირი ცნობები ამის მტკიცების საშუალებას თითქოს ნაკლებ იძლევა. იქ სააკაძე აღიარებულია ფიზიკური განადგურებისაგან ქართლ-კახეთის მხსნელად...



მაშ რაზე დაყრდნობით ჩნდება ეს კონცეფცია?“ (ღვინჯილია 1983:74). ჯ. ღვინჯილიას მოჰყავს ცნობები წყაროებიდან – კასტელის, მუსტაფა ნაიმას, ვახუშტი ბაგრატიონის, არაქელ თავრიზელის, ბერი ეგანატაშვილის – საიდანაც დასტურდება სააკაძის განსაკუთრებული ფიზიკური და ინტელექტუალური მონაცემები, აქედან გამომდინარე ასკვნის: „სააკაძემ სიმონ I დიდის სკოლა გაიარა, და თავისი დროის უდიდეს შვილს, ცხადია, შეეძლო მიზნად დაესახა საქართველოს გაერთიანება-გათავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელება“ (იქვე, 80). ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდია, ამიტომაც ამ კონცეფციის შეუვალ ჭეშმარიტებად აღქმა რთულია (როგორც ეს გვხვდება ბევრ ისტორიკოსთან და მკვლევართან, მათ შორის – ან. ფურცელაძესთან, მოგვიანებით გ. ჯამბურიასთან, ლ. სანიკიძესთან და სხვებთან).

მართალია, გიორგი სააკაძეს ისტორიული წყაროები არ მიაწერენ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას, მაგრამ XX საუკუნიდან ცაკეულ ავტორებთან უკვე გვხვდება ეს იდეა, სტალინის გავლენით კი ეს მოსაზრება ერთადერთ ჭეშმარიტებად ყალიბდება. ამას ადასტურებს კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ კონცეფცია, შემდგომი პერიოდის მხატვრული ლიტერატურა და ისტორიოგრაფია. გიორგი სააკაძის მოღვაწეობაში გარეშე ძალის დახმარების წინ წამოწევით ხაზი უნდა გასმოდა შემდეგს: „სააკაძის პოლიტიკაზე მსჯელობისას მკაფიოდ იკვეთება სტალინის მიერ ნაგულისხმევი ქვეტექსტი: გაამართლოს საქართველოს 1921 წლის ოკუპაცია და თავადაზნაურთა ლიკვიდაცია, რაც თურმე ჩვენი ქვეყნის სისუსტის აღმოფხვრად და გადარჩენად უნდა მივიჩნიოთ“ (ჩხეიძე 2012:176). რ. ჩხეიძის აღნიშნულ ვარაუდს ამართლებს სტალინის სიტყვები და ის მასშტაბური პროპაგანდა, რომელიც კინოფილ „გიორგი სააკაძისა“ და ზოგადად გიორგი სააკაძის თემის მიმართ წარმოიშვა. კ. ჩარკვიანი თავის მოგონებებში დაუფარავად აღნიშნავს: „ომის წლებში ასეთი გრანდიოზული ფილმის გადაღება ადვილი არ იყო. ეს ი. სტალინის ხელშეწყობით მოხერხდა“ (ჩარკვიანი 2004:177). იქვე დასძენს ამ ძალისხმევის საჭიროებას: „როგორც ხე-

ლოვნების ნაწარმოები, ფილმი ხალხის იდეური და ესთეტიკური აღზრდის იარაღია“ (იქვე, 177). ფილმსა და ხელოვნებას ცენტრალური კომიტეტი კონკრეტულ მიზანდასახულებას უყენებდა, მას უნდა ემოქმედა ადამიანთა აზროვნებაზე და მათთვის სასურველი მიმართულება მიეცა. გიორგი სააკაძის შესახებ ფილმითა და ა. ანტონოვსკაიას მრავალტომიანი რომანით მათ საშუალება ეძლეოდათ გადაეფარათ ისტორიული წყაროები და წინა პერიოდის ისტორიოგრაფია და კოლექტიურ მეხსიერებაში ახალი სახით ჩაენერათ გიორგი სააკაძის სახელი. ამიერიდან კოლექტიურ მეხსიერებაში მის შესახებ მხოლოდ დადებითი აზრი გაბატონდებოდა. უარყოფითი შეფასებები მცირე დოზით, ისიც მხოლოდ ისტორიოგრაფიაში იარსებებდა.

კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ რეჟისორიცა და მსახიობებიც საგანგებოდ შეირჩა, რათა გარანტირებული ყოფილიყო მისი წარმატება. ფილმის პირველმა და მეორე სერიამ სტალინური პრემია დაიმსახურა, ამავე პრემიით დაჯილდოვდა ა. ანტონოვსკაიას რომანი „გიორგი სააკაძე“ (თუმცა ნაწარმოები ჯერ დასრულებული არ იყო). კ. ჩარკვიანი ზუსტად განმარტავს ამ მასშტაბური ღონისძიების პროპაგანდისტულ შინაარსს: „ფილმი „გიორგი სააკაძე“ ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. საქართველოს გმირული ისტორიის თემაზე მისი ბადალი არც ადრე, არც შემდეგ კინოს არ შეუქმნია. ომის მრისხანე დღეებში ამ ეპოპეის ეკრანზე გამოჩენა ხომ დიდი მოვლენა იყო. მაყურებელზე ზემოქმედებით ფილმი ემსახურებოდა ჩვენი ხალხის ძალთა მობილიზაციას მტრისათვის მახვილის საბოლოოდ ჩასაცემად“ (იქვე, 179). კინოფილმს უნდა შეექმნა სააკაძის გმირული სახე, მიჩქმალულიყო ნებისმიერი უარყოფითი შეხედულება მის შესახებ. გარდა ამისა, მაყურებელს ქვეცნობიერად პარალელები უნდა გაეგლო სააკაძისა და სტალინის პიროვნებებს შორის, რათა გამართლებულიყო „უცხო ძალის“ თემა. ამით შესაძლებელი გახდა მაყურებლის პატრიოტული გრძნობებით მანიპულირება. ცნობილია, რომ კინოსეანსიდან ბევრი ფრონტზე მიდიოდა (გოლიაძე 2007:3).

კოლექტიურ მეხსიერებაში გიორგი სააკაძის ეროვნულ გმირად ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი ეტაპიც – ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა. 1940 წელს გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ხელნაწერის უფლებით, რომელიც ეკუთვნოდა ნიკო ბერძენიშვილს. ისტორიკოსს გიორგი სააკაძე უარყოფითად ჰყავდა წარმოჩენილი. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით, გიორგი სააკაძე იყო ფეოდალი, რომელიც მეფესა და სხვა ფეოდალებთან ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ გაიქცა სპარსეთში და ქართლისა და კახეთის მეფეები დააბეზლა, ხოლო ლუარსაბ II მისი ჩაგონებით დაახრჩვეს ტყვედ ყოფნის დროს. მარტყოფის აჯანყება კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ბრძოლა საკუთარი თავის გადასარჩენად. 1943 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ვითარება შეიცვალა: სააკაძე სრულიად განსხვავებულადაა დანახული (მაცაბერიძე 2010:388). ახალი კონცეფცია ნიკო ბერძენიშვილს ი. სტალინმა შთააგონა (ჩარკვიანი 2004:389). ამ კამპანიით ისტორია, ცხადია, ვერ შეიცვლებოდა, ვერც ისტორიული წყაროები გაქრებოდა, მაგრამ მოხდა მნიშვნელოვანი რამ: სრულიად შეიცვალა თაობათა კოლექტიური მეხსიერება. რიგით ადამიანებზე, რომელთათვისაც ნაკლებად მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი იყო ისტორიული წყაროები, კინოფილმმა, ისტორიულმა რომანებმა და სასკოლო სახელმძღვანელოებმა თავისებური გავლენა მოახდინა. ასე შეიქმნა და ჩამოყალიბდა კოლექტიური მეხსიერება, რომელიც სააკაძის მხოლოდ იდეალიზებულ სახეს იცნობდა. სახელმძღვანელოებმა და ნაწარმოებებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას, მეორე მხრივ, კი მათში აისახა საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების კონკრეტული ეტაპი.

სტალინის შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიაში გიორგი სააკაძე ცალსახად ეროვნულ გმირადაა გამოცხადებული (გ. ჯამბურია, ლ. სანიკიძე, ჯ. ლვინჯილია). XX საუკუნის ბოლოდან გიორგი სააკაძის ისტორიული პერსონის შესახებ რეცეფცია იცვლება. 80-იანი წლების ბოლოდან უკვე გან-

სხვაგვებული შეხედულებებიც გამოითქმის. საინტერესოა თ. ნატროშვილის სტატია „ორი მოურავი“, რომელშიც ავტორი სააკაძის გაორებულ სახეზე მსჯელობს (ნატროშვილი 1988:172-185). ა. ბაქრაძე თავის სტატიაში „მკვახე შეძახილი“ რამდენიმე გვერდს უთმობს გიორგი სააკაძის საკითხსაც, სადაც აღნიშნავს: „ჩვენ ხშირად დიდად ვცდილობთ ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნების ანტიეროვნულ საქციელს გამართლება მოვუძებნოთ, ავხსნათ იგი ობიექტური მიზეზებით“ (ბაქრაძე 1990:169). მწვავე შეფასებას აკეთებს ზ. გამსახურდია: „როდესაც სააკაძის კულტზე ვსაუბრობთ, ნუ დაგვავიწყდება მისი გამომწვევი სოციალური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც ისტორიის საერთო ფალსიფიკაციას უდევს საფუძვლად, რაც ემსახურება სავსებით შეგნებულ მიზანს ჩვენში ეროვნული პარამნეზიის გამოწვევისა“ (გამსახურდია 1991:563). ამ შეფასებაში კარგად ჩანს ერის კოლექტიურ მეხსიერებაზე სტალინის ხელოვნური ზემოქმედების კვალი. 90-იან წლებში იბეჭდება რ. ჩხეიძის პოლემიკური წერილები (ჯ. ღვინჯილიასთან, ლ. სანიკიძესთან), სადაც სააკაძის მოღვაწეობა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ობიექტურადაა შეფასებული. მათში კარგად ჩანს სტალინის როლი სააკაძის კულტის შექმნაში (ავტორმა წერილების ციკლი გააერთიანა წიგნში „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“).

საბჭოთა ეპოქის ღირებულებების გადაფასების დროს, ცხადია შეიცვალა საზოგადოების მიმართება მთელ რიგ საკითხებთან. ეს კარგად ჩანს სააკაძის თემაშიც, დღეს კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა ისტორიკოსებს შორის. თუმცა ერის კოლექტიურ მეხსიერებაში ისევ ძლიერია საბჭოთა კლიშეები, მაგალითად, სააკაძის პიროვნების ობიექტური შეფასების დროს ისტორიულ წყაროებში გამოთქმულ ბრალდებებს ბევრი ერის შეურაცხყოფად აღიქვამს. კოლექტიური მეხსიერება კარგად გამოვლინდა 2009 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „დიდი ათეული“. პროექტს ჰქონდა ვებგვერდი, რომელშიც ხდებოდა ისტორიული გმირების ჩამონათვალის განახლება, ხმათა მიცემა. ჩამონათვალში ხშირად ფიგურირებდა გიორგი სააკაძის სახელიც (რობაქ-

იძე 2009). დისკუსიები ამ თემაზე წარმოდგენილია თბილისის ფორუმზე, ინტერნეტსივრცეში ბევრია სხვადასხვა სტატია თუ თემა, რომლებშიც გიორგი სააკაძის მოღვაწეობა დადებითადაა შეფასებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხატვრულმა ტექსტებმა თავისი როლი შეასრულა კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში. თავის მხრივ, ამ ტექსტებმაც შემოგვინახა კონკრეტული ეპოქის კოლექტიური მეხსიერების მდგომარეობა და მეხსიერების პოლიტიკის კვალი. ამ თემაზე მსჯელობისათვის დავიმოწმებთ ორ ისტორიულ რომანს – ვ. ბარნოვის „გიორგი სააკაძესა“ და ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავს“. ეს უკანასკნელი ზუსტად იმ პერიოდში შეიქმნა, როცა საბჭოთა რეჟიმი აქტიურად იყო დაინტერესებული გიორგი სააკაძის, როგორც ეროვნული გმირის მასშტაბური სახის შექმნაში.

ვ. ბარნოვი, ქართული ისტორიული პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის ისტორიულ ნაწარმოებებს ახასიათებს მასშტაბურობა, ენობრივი პოლიტიკა – ისტორიული ეპოქისათვის შესაბამისი ენობრივი არქაიზაცია და ეპოქის მორალურ-ფილოსოფიური სიბრტყიდან დანახვა (კანკავა 1969:80-87). ისტორიული რომანი „გიორგი სააკაძე“ შექმნილია საბჭოთა დიქტატურის საწყის ეტაპზე – 1923-1925 წლებში, ვიდრე რეჟიმი აქტიურად დაინტერესდებოდა სააკაძის თემით.

ისტორიული რომანი დიდი მოურავის ოჯახში ლუარსაბ მეფის სტუმრობით იწყება. სააკაძეს განსაკუთრებული სამზადისი აქვს, ცდილობს გაანალიზოს მეფის სტუმრობის მოსალოდნელი შედეგები. „გიორგი სააკაძე“ ძირითადად, იმეორებს ისტორიულ წყაროებსა და კვლევებში არსებულ ცნობებს, რასაც მწერალი საინტერესოდ ავსებს ფსიქოლოგიური დეტალებით. ნაწარმოების მიხედვით, გიორგი სააკაძეს შურიანი თავადები ებრძვიან და საბოლოოდ შეინირავენ, ხოლო ლაურსაბი უნიათო, სუსტ მეფედაა წარმოდგენილი, რომელიც ვერც საკუთარ ვნებებს უმკლავდება და ვერც გაამაყებულ ფეოდალებს. ისტორიული წყაროების მსგავსად,

ახალგაზრდა ლუარსაბი მოხიბლა სააკაძის დის მშვენიერებაში. ვ. ბარნოვი მისი პროზისათვის ჩვეული ექსპრესიითა და სიღრმით გადმოგვცემს მოუთოკავი სიყვარულის ვნებებს: „ხელმწიფე კაცი, თავმოძნონე იგი რაინდი, უდიერად იტანჯებოდა ქალის მურაზით. რით დაიმონა გამოცდილი პირველ ნახვაზე?! მის არსებაში აღიზარდა ანაზღად გრძნობა და დაეუფლა იგი ვნება მის ხორცს, მის სულსა. ქალის აჩრდილმა შეიმოსა ხმა გამყივარი და თვის გარშემო ყოველივე ჩახშო სხვა ბგერა, მანყნარებელი სიტყვა თუ ჟღერა... ტკბილი იყო ის აჩრდილი, ვით გოლეული“ (ბარნოვი 1962:174). ისტორიული წყაროების თანახმად, ეს ქორწინება მართლაც შედგა. ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანში დიდი ადგილი ეთმობა მეფის სასიყვარულო განცდებს, მის საოცარ სიყვარულს მეუღლისადმი. ამ მხრივ, რომანი იმეორებს მწერლის სტილს: მძაფრი სიყვარულის ტრაგიკულ ქარგას. მეფის ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება, თავადები მას სააკაძის ლალატს ჩააგონებენ. გიორგი სააკაძის და შეურცხოყოფილია, ტოვებს სასახლეს. ხოლო გიორგი სააკაძე იძულებული ხდება სპარსეთში გადაიხვეწოს.

რომანში გიორგი სააკაძეს მოხსნილი აქვს ისტორიული წყაროების მთავარი ბრალდება: ლუარსაბ მეფის სიკვდილში მონაწილეობა. მას საკუთარმა დამ ჩამოართვა პირობა, რომ მეფის სისხლს არ აიღებდა. გიორგი სააკაძემ მიაწოდა მტრის სარდლობას ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, თუმცა ავტორი ცდილობს მის გამართლებას: „როცა იგი აწვდიდა ჰაზრს, იმედი ჰქონდა, ვერც ერთი სარდალი შაჰ-აბაზისა ვერ შეასრულებდა მას, უაზროდ დაანაწილებდა ლაშქარს და შეძლებას მისცემდა ქართველთ, გაჰმკლავებოდნენ შესეულ მტერს. ეხლა მასვე დაავალეს განზრახულის შესრულება. მეტად ძნელი შეიქმნა მისთვის გზის გადაკვლევა“ (ბარნოვი 1962:360). ავტორი აღნიშნულ ეპიზოდში გადმოგვცემს სააკაძის შინაგან გაორებას: „– და დალუპავ, სააკაძევ, შენს ხალხს თითონ შენ?! დაისახები ჟამთა სვლაში სატანაილად! ხომ არიან ქართველთ შორის რუსთა ტრფი-ალნი.

– ჰა, ჰა, ჰა! დიდმოურავი გამწირავი თავის ერისა?! უარ-  
ჰყოფს რუსეთს საქართველო და დაწყნარდება: იგი ჰრევს  
მმართველთ და ამხედრებს სპარსთ წინააღმდეგ“ (იქვე, 360).

ვ. ბარნოვის რომანი იმეორებს წყაროთა ცნობას შაჰ-  
აბასის წერილის შესახებ, რომელმაც გიორგის აჯანყების  
მომზადება გადაანყვეტინა. კახეთში შაჰ-აბასის მათხრებელი  
ლაშქრობები მკრთალად არის ნაჩვენები, რომანში აქცენტი  
გადატანილია მარტყოფის აჯანყების სამზადისზე. ქართლ-  
კახეთში გამეფებული თეიმურაზის პოლიტიკური კურსი რუ-  
სეთისაკენ იხრება, ხოლო იმედგაცრუებული სააკაძის – ოს-  
მალეთისაკენ. მარაბდის ბრძოლის ბედი თეიმურაზ მეფისა და  
თავადების შურმა გადაწყვიტა: მათ არ გამოიყენეს გიორგი  
სააკაძის საბრძოლო გეგმა. რომანის ფინალში გიორგი საა-  
კაძე ტრაგიკულ და გაორებულ პიროვნებადაა წარმოჩენილი,  
მას უკვე აღარ ესმის ქართველი ხალხის ხმა და სურვილები,  
დაბრმავებულია მხოლოდ შურისძიებით: „სპარს სისხლის  
მძებნელს სააკაძეს ველარ ეგნო ხალხის გულისთქმა: მის  
გონებას არ ესმოდა ერის ზახილი; მის ჩახშულს გულს ველარ  
ეგრძნო ერის განცდანი: ვერ ჰხედავდა, არ ჰყვებოდნენ ქა-  
რთველთ ტალღანი, სურვილთ ყვავილებს არ უფენდნენ მას  
ბრძოლის გზაზედ. მიიღტვოდა სააკაძე სავენებლისაკენ და  
სწარფვა მისი იყო ქროლვა სტიქიონთ ძალის.

– დამდაბლდეს სპარსი ხონთქრის ძალით! – გაჰყიოდა  
დიდმოურავი“ (იქვე, 433).

ამის შემდეგ რომანში მოქმედება სწრაფად ვითარდება:  
სააკაძე დაიჭრება ბაზალეთის ომში და დამარცხებული გა-  
დაიხვეწება ოსმალეთში. იქ ერთხანს მკურნალობს და უს-  
აქმოდაა, მისი პოლიტიკური მიზნები განუხორციელებელი  
რჩება, ერთ დღესაც კი მუხანათურად კლავენ. ვ. ბარნოვი  
მარტყოფისა და მარაბდის შემდეგ, ფაქტობრივად, უმიზნოდ  
და ტრაგიკულად წარმოგვიჩენს სააკაძის პიროვნებას. ძლ-  
იერი, ფეოდალებისაგან შერისხული გმირი ტრაგიკულ პერ-  
სონად გადაიქცევა. ვ. ბარნოვის რომანი სააკაძის ისტორიულ  
პერსონაჟს არ წარმოგვიდგენს საქართველოს გაერთიანები-



სათვის მებრძოლ, იდეალურ გმირად. ის არც მოლაღატეა, რომელსაც სხვადასხვა დანაშაული მიენერება.

ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანში ნარატიული სტრუქტურა პერსონაჟთა შინაგანი ვნებებისა და ცხოვრებისეული მძაფრი პერიპეტეიების მიხედვითაა ორგანიზებული. მთხრობელი მესამე პირით გადმოგვცემს თხრობას, გარე მაყურებლის თვალით, ხშირია ელიფსისი – ხანგრძლივი დროითი მონაკვეთის მოკლედ თხრობის ტენდენცია. ეპოქის განწყობას ქმნის არა შესაბამისი ისტორიული ქრონოტოპის დეტალიზაცია, არამედ არქაიზებული რიტმული ენა: „იგვემეზობდა ქართლი საბრალო, ბოროტების ქარტეხილი არყევ-არღვევდა. იდევენობდნენ კაცნი რჩეულნი, ხალხისაგან გამოსულნი მისნი ერთგულნი. და იგი ფურტკვნა აუტანელ უბედობად მოსდებოდა შეინრებულ ერს, ანგრევდა მის კეთილდღეობას, ავაგლახებდა“ (ბარნოვი 1962:310).

ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომან-ეპოპეა „დიდი მოურავი“ მოგვიანებით 1937-1958 წლებში შეიქმნა. ისტორიულ რომანს სტალინის იდეოლოგიის კვალი გასდევს – გიორგი სააკაძე წარმოდგენილია გრანდიოზული ინტელექტუალური და სამხედრო შესაძლებლობების მთავარსარდლად, რომლის ცხოვრების მთავარი აზრი საქართველოს გაერთიანებაა, უცხო ძალების დახმარებით მოქმედება ამ სტრატეგიის ნაწილია. რომანი ვრცელია, მასში დეტალურადაა ასახული XVII საუკუნის ეპოქა, ინტრიგები სამეფო კარზე. ვ. ბარნოვის ისტორიული ნაწარმოებისაგან განსხვავებით, ა. ანტონოვსკაიას რომანში დასაწყისიდანვე ჩანს მიზანდასახულება გიორგი სააკაძის ხალხურ გმირად ქცევისა. ბარნოვთან სააკაძეს თავადები ექიშპებიან, ავტორი ამ თემას მეტად არ უღრმავდება. ხოლო „დიდ მოურავში“ სააკაძე უბრალო ხალხის გმირია, ის უპირისპირდება სისხლისმემელ თავადებს, მას სურს აზნაურებისა და ხალხის დახმარებით მეფის ძალაუფლების განმტკიცება. აღნიშნული თეზა ახლოს დგას საბჭოთა მარქსისტულ იდეოლოგიასთან (მაცაბერიძე 2010:389). მხატვრულ ტექსტში ეს აზრი ბევრჯერ მეორდება. ამ იდეოლოგიის პირდაპირი მაგალითია

გიორგი სააკაძის სიტყვები: „თავადები ხალხს სჩაგრავენ, ხოლო თუ ჩვენ, აზნაურები, ხალხს დავენმარებით, თვითვე გავძლიერდებით. თუ ხალხისთვის საჭიროა თავადი გახდეს, კიდევ უნდა გახდეს... ვაჭარი, ბერი, ყაჩალი – ყველაფერი უნდა გახდეს“ (ანტონოსკაია 2012, ტ.1:194).

მარქსისტული თეზის გარდა, გიორგი სააკაძის პერსონაჟი რომანის დასაწყისშივე ავითარებს სტალინისეულ იდეას „გარეშე ძალის ფაქტორის“ შესახებ, რაც იმთავითვე მოიწონა ბელადმა ანტონოსკაიას სცენარში: „მაშასადამე, ნუგზარი არა მძრახავს? მაგრამ... რად უნდა დამძრახოს. განა ცუდი სურვილია მაღალი მიზნისათვის გამოიყენო ერანის ძლიერება? განა უბრალო აზნაური არ დასცინის ორ მეფეს, რომლებიც ფიქრობენ საქართველოსთვის უცხო ზრახვების განსახორციელებელი იარაღი გაჰხადონ იგი?.. ხოლო მაინც საით მიისწრაფვის იგი, გიორგი სააკაძე?“ (იქვე, ტ.2:82).

საკაძის მისწრაფებებს – საქართველოს გაერთიანების იდეას, ხალხისათვის სამსახურს საფრთხე დაემუქრა, ვინაიდან ლუარსაბ მეფემ მისი დის ცოლად შერთვა გადაწყვიტა: „საკაძე, ბოლოს, გონს მოვიდა. ხმლის ვადა ჩაბლუჯა. უმაგალითო განდიდება, ქართლის დედოფლის ძმა!.. შემდეგ კი?.. საშინელი უფსკრული, რომელიც შთანთქავს ყოველ მის განზრახვას და ნაკეთებს, მეგობრებს, თანამოაზრეებს, უთვალავ გლეხობას, დას... განა თავადნი დასცხრებიან? ასეთ საქციელს მეფეს როდი აპატიებენ ხოლმე. მაშასადამე, დავინყოთ სისხლისმღვრელი შუღლი? და ლუარსაბის ვნება რომ გაცივდეს? მაშინ? მონასტერი? არა, სიკვდილი, სიკვდილი და დაღუპვა სანახევროდ უკვე გაკეთებულ საქმეს... ყველაფერი შეეწიროს მეფის ცვალებად ვნებას? არა!“ (იქვე, ტ.2:340). რომანში პერსონაჟი არაერთგზის აღნიშნავს: „საჭიროა საქართველოს გაერთიანება... ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ (იქვე, ტ.2:341). დავით აღმაშენებლის დროინდელი სიმბოლური კოდის წინ წამოწევით, ავტორი ახერხებს მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას: მის თვალში სააკაძე თვით დავით აღმაშენებლის პიროვნებადმე მალდება. საქართველოს გაერთიანების ეს მასშტაბური მისწრაფება არც ერთ ისტო-

რიულ წყაროში არ დასტურდება. ისტორიულ რომანში კარგად ჩანს მკითხველის კოლექტიური მეხსიერების შეცვლის მცდელობა. მეორე მხრივ, ტექსტი ასახავს რეჟიმის იდეოლოგიას.

ისტორიული დოკუმენტების თანახმად, გიორგი სააკაძე წინ უძღოდა შაჰ-აბასის ლაშქარს, რასაც ხალხი აღშფოთებით შეხვდა. რომანში გამართლებულია მოურავის საქციელი: (აზნაურ ქვლივიძისა და გიორგი სააკაძის დიალოგი): „ – პირდაპირ მითხარი, გიორგი, თუ ქართველები გებრალემა, ხმალი რად იხმარე გორის ციხის ბრძოლაში? სპარსელებთან რად პურმარილობ? თუ სპარსელებისთვის ცდილობ, უფლისციხე რად არ გარემოიცი? დიდ საქმეებზე ლაპარაკით თვალს ნუ მიხვევ... მტერი ხარ? მოყვარე? ყველას თავგზა აუბნიე!

– ძალიან სამწუხაროა, რომ შენ ჩემი არ გაგეგება... მოლიპული ბილიკით მივდივართ, – ოდნავი ნაბოროძიკება და ყველაფერი უფსკრულს შთაინთქმება. თავადები მათივე იარაღით უნდა განვიაარალოთ“ (იქვე, ტ.4:36). რომანში გიორგი სააკაძის სპარსელებთან ერთად შემოსვლა დიდი მიზნებითაა შთაგონებული, ურჩი თავადების დასჯის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ხალხის დახმარება. ნოსტეში ჩატარებული ღონისძიებები და ფეოდალურ სისტემაში გატარებული რეფორმებიც ამის მაგალითია, სააკაძე ცდილობს გლეხებს გაუადვილოს ცხოვრების პირობები.

ავტორი სააკაძის მიზნებსა და პათოსს არაერთხელ უსვამს ხაზს, ამით უფრო ამკვეთრებს მთავარ ჩანაფიქრს – სააკაძის წარმოჩენას ნამდვილ გმირად. ეს არა მხოლოდ სხვებთან დიალოგებში, არამედ პერსონაჟის მონოლოგებშიც ჩანს: „ვერა პირფერო სპარსელო, შენ არ ძალგიდს გატეხო ჩემი ქართლის ძლიერება... კვნესა და ტირილი აზრიალებენ ჩემს თავსა და გულს... ნანგრევებიდან აღდგებიან ქალაქები... ბავშვები დაიზრდებიან, სხვები დაიბადებიან... აქ კი, ჩემს გულში, რა დარჩა სამუდამოდ?! სირცხვილი?! დიდება?! ვინ მიხვდება ჩემს ფიქრებს?! ვინ დამგმობს?! ვინ აღფრთოვანდება?! ვინ დამწყველის?! რა გულით უნდა გიყვარდეს

სამშობლო, რომ მისი ბედნიერებისათვის ასეთი საშინელი გზით იარო... ვერა, გიორგი სააკაძეს ვერ გატეხს ვერავითარი ლალატი, ვერ გატეხს ვერც სპარსეთის შაჰი, ვერც თურქეთის სულთანი, ვერც რუსეთის მეფე და ვერც ქართლის მეფე. მართალი ვარ თუ ვცდები, დაე საქმენი ჩემნი სუფევდნენ, და მარად ნორჩმა, მარად წმინდა სულმა ხალხისამ დამგმოს, გინდ განიმსჭვალოს იგი ჩემი სიყვარულით, ჩემი ტანჯვით“ (იქვე, ტ.4:53).

ტექსტში მარტყოფის აჯანყებისათვის მზადებაც მოტივირებულია, ის არ არის ისეთი სტიქიური, როგორც წყაროებშია გადმოცემული. გიორგი აკვირდებოდა სპარსელთა მოქმედებას კახეთში და რა დარწმუნდა შაჰის ნამდვილ მიზნებში, თუშებს შეხვდა ყორჩიხა-ხანისაგან მამულად: „მამაცო თუშებო! მე თქვენთან მოვსულვარ მარტო, როგორც მეომარი, სამხედრო დამხმარებისთვის! თავის გასამართლებლად როდი მოვსულვარ, არამედ ქართლისა და კახეთის ბედზე სალაპარაკოდ. ახლა უნდა დავივინყოთ ყველა წყენა და შეცდომა. სპარსთა მახვილი საფრთხეს უქადის ქართველთა მიწა-წყალს. თავს დავატყდეთ დაუძინებელ მტერს“ (იქვე, ტ.4:283). ა. ანტონოვსკაიას რომანში ასევე შეცვლილია ისტორიული წყაროების ცნობა, რომლის თანახმადაც სააკაძემ აჯანყება შაჰის წერილის შემდეგ გადაწყვიტა. ნანარმოების მიხედვით, გიორგიმ წერილი უშუალოდ სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროს მიიღო. ფეიქარ-ხანისადმი მიწერილ წერილში შაჰი კახეთის განადგურებას და გიორგის თავის მოკვეტას მოითხოვდა.

რომანის მიხედვით, სპარსელების დამარცხების შემდეგ, გიორგი სააკაძის მთავარი საზრუნავი ქვეყნის გაერთიანება და ხალხის სამსახურია, ეს აზრი კარგად იკითხება მთიულებისადმი მიმართვაში: „იყო დრო, როცა ეკლესია მზად იყო ტახტზე ავეყვანე, – მე ხომ ქრისტეს სახლი წაბილწვისაგან ვიხსენ. იყო დრო, როცა გულგახეთქილმა თავადებმა მლიქვნელურად შემომთავაზეს მეფის გვირგვინი. მე ამას ვხედავდი და არ მოვხიბლულვარ. მეფედ კი არა, გამაერთიანებლად მსურს გავითქვა სახელი, არა ბატონად, არამედ

ხალხის მეგობრად მინდა ვისახელო თავი, მინდა გავხდე არა ურჩი, არამედ მეფის ბრძენი მრჩეველი, მეომარი, რომელიც მკერდით იცავს საყვარელ სამშობლოს და ასეთი ვიქნები, სანამ მარჯვენას მახვილი უკავია, სანამ ჩემს სიტყვას შეუძლია ვინმე დააჯეროს... სამშობლოს დიდებას ელტვის ჩემი ფიქრი, და, ვფიცავ, შვილივით ერთგული ვიყო მისი“ (იქვე, ტ. 6:311). დამონმებული ციტატებიდანაც კარგად ჩანს, რომ რომანის არსიც ამ აზრებსა და პათოსში მკითხველის დარწმუნებაა. სააკაძის შინაგან კრედოს ამართლებს ეს სიტყვებიც: „მლიქვნელობა, ფეხქვეშ გაგება, დასაჩუქრება, ყოველივე უნდა მოვიმოქმედო მე, გიორგი სააკაძემ, თუ ეს სასარგებლოა ხალხისათვის. მართალია ტრიფილიოსი: თავმოყვარეობა სამეფო საქმეებში იაფი საქონელია“ (იქვე, ტ. 7:17). ავტორის ქვეტექსტიც გასაგები ხდება: ყელაფერი გამართლდეს ხალხისა და სამშობლოს სახელით. მის რომანში არსად არ ჩანს ისტორიული წყაროების მხრიდან გამოთქმული ბრალდებები.

ა. ანტონოვსკაიას „დიდ მოურავშიც“ მარაბდის ბრძოლის ბედი გადაწყვიტა სააკაძის სტრატეგიული გეგმის გაუთვალისწინებლობამ. მარაბდის ველიდან ბაზალეთამდე, რომანში, პროცესები ისე ვითარდება, რომ სააკაძის ბრძოლა მოტივირებულია: მას მეფედ აღარ სურს უმაქნისი თეიმურაზი. საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა აქვს: „დიდი ხანია გადავწყვიტეთ, გავაერთიანებთ სამ სამეფოს: იმერეთს, ქართლსა და კახეთს!.. შემდეგ გურიას შემოვიერთებთ... სამეგრელოს მთავარ ლევანთან ერთად სამხედრო კავშირს შევკრავთ... აფხაზეთი დიდხანს ვერ გაძლებს მარტოდ... საქართველო ერთიანი, დამოუკიდებელი და... არა თავადური! განა ეს ჩვენი სიცოცხლის კეთილშობილური მიზანი არ არის?!“ (იქვე, ტ.10:209).

ბაზალეთის ბრძოლისას, სააკაძე რწმუნდება ხალხის სისუსტეში, რასაც საკუთარ მარცხად მიიჩნევს: „მე უკვე დამარცხებული ვარ... არა თავადთა მიერ, არა მეფის მიერ, – მე დამამარცხა საკუთარმა მწუხარებამ, რადგან დიდი დამნაშავე ვარ ხალხის წინაშე... მე ვასწავლე ხალხს ბრძოლის

ხელოვნება, მაგრამ დავივინყე მთავარი რამ: ხალხის შემოფოთებული სული, არ ავანთე ჩირაღდანი მის შეგენებაში. და შიში თავადთა წინაშე უფრო ძლიერი აღმოჩნდა თავისი მხედართმთავრისადმი სიყვარულზე. ხალხი გაჰყვა თავდებს... ჩემს წინააღმდეგ წავიდა! ნუ ელით გამარჯვებას დამარცხებულისაგან!" (იქვე, ტ.11:331-332). სააკაძე ავტორს ღირსეულად გამოჰყავს: „რა საჭიროა ძმათა სისხლის უმიზნოდ ღვრა, ისედაც მეტად ბევრი დაიღვარა“ (იქვე, ტ.11:352). სააკაძეს მოუწევს იმერეთიდან ოსმალეთში გადახვევნა. რომანში დეტალურადაა აღწერილი ინტრიგები ოსმალეთის სამეფო კარზე, სადაც სააკაძე ისევ შურის მსხვერპლი აღმოჩნდება. მას აქაც არ ასვენებს დიდი მიზნებისაკენ მისწრაფება, ისახავს გრანდიოზულ გეგმებს, დგება ოსმალეთის სულთნის სამსახურში, სურს შაჰ-აბასის დამარცხება. თუმცა მისი გეგმები შეუსრულებელი რჩება, სააკაძეს შეთქმულებას უწყობენ ოსმალები და საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად კვდება. ზოგიერთი წყაროს ცნობით, სააკაძეს თავს კვეთს ჯალათი. ა. ანტონოსკაია აქაც ღირსეულად წარმოგვიჩინს თავის პერსონაჟს, ის მეგობრებთან ერთად თავს ესხმის ჯალათებს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძვის.

ა. ანტონოსკაიას ვრცელი ისტორიული რომანი დაწერილია რუსულ ენაზე, მისი მთარგმნელია არისტო ჭუმბაძე, შესაბამისად ტექსტში ენობრივ არქაიზაციაზე საუბარი შეუძლებელია. ისტორიული ქრონოტოპი დეტალურადაა წარმოდგენილი: XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის, კახეთის, ირანის, რუსეთის, ოსმალეთის სამეფო კარი, მათი პოლიტიკური ცხოვრება და შიდა ინტრიგები. ნარატიული სტრუქტურა ტრადიციულია, ავტორი არ გვთავაზობს რაიმე სიახლეს. ნაწარმოებში ბევრია დინამიკური ეპიზოდი, ჩახლართული სიუჟეტები, რომლებიც მასობრივი მკითხველისთვისაა დაწერილი. ამის გამო ძალიან ვრცელი რომანი ადვილად და სწრაფად იკითხება. ავტორი ხშირად ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს, თუმცა ფიქცია ჭარბობს.

გიორგი სააკაძის პოლარიზებული სახის შესახებ ვ. ბარნოვისა და ა. ანტონოსკაიას ისტორიული რომანების მაგალი-

თზე საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება. ბარნოვთან სააკაძე ტრაგიკული პიროვნებაა, ის არ არის ეროვნული გმირი, ანტონოვსკაიასთან აშკარაა სტალინის წერილის გავლენა: სააკაძე ეროვნული გმირია, რომელიც „გარე ძალების“ დახმარებით ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას. ის ფაქტი, რომ ბარნოვის რომანი თავისუფალია იდეოლოგიური ზემოქმედებისგან, ჩანს შინაარსიდან, ეს ბუნებრივია მისი შექმნის თარიღის მიხედვითაც. ის მეტ-ნაკლებად იმეორებს ისტორიულ წყაროებში არსებულ მონაცემებს, ავსებს ფიქციით და სააკაძის პერსონას წარმოგვიდგენს იმ სახით, რა სახითაც ის არსებობდა იმ დროის კოლექტიურ მეხსიერებაში. მეორე მხრივ, რომანის გამოცემის შემდეგ მკითხველის კოლექტიურ მეხსიერებაშიც ბარნოვისეული სააკაძე ჩაინერებოდა: რომანტიკული, ტრაგიკული გმირი. ა. ანტონოვსკაია უშუალოდ მონაწილეობდა სტალინის ჩანაფიქრის განხორციელებაში, ეს ჩანს ფილმის სცენარზე მუშაობიდან, ამ დროისათვის მისი რომანის პირველი ნაწილი უკვე გამოქვეყნებული იყო. „დიდი მოურავი“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იცვლება ერის კოლექტიური მეხსიერება ლიტერატურული ტექსტის დახმარებით. ამ ტექსტმა, კინოფილმთან ერთად, კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას შეუწყო ხელი. რომანის ქვეტექსტებისა და ეპოქის სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტზე დაკვირვება, სწორედ ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. წლების განმავლობაში, XX საუკუნის 80-იან წლებამდე კოლექტიური მეხსიერება ამ სახით რჩება. ამაზე მეტყველებს ამ პერიოდის ისტორიკოსთა ნაშრომები, სასკოლო სახელმძღვანელოები, ლიტერატურული ნაწარმოებები. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ღირებულებათა გადაფასების პროცესი სააკაძის თემასაც შეეხო. ცხადია, ეს უფრო ისტორიოგრაფიაში აისახა, სადაც ისტორიულ წყაროებზე გამახვილდა ყურადღება, თუმცა კოლექტიურ მეხსიერებაში ცვლილებები უფრო ნელა და ისიც ნაწილობრივ მოხდა.



### ბიბლიოგრაფია:

1. ანტონოსვკაია 2012: ანტონოსვკაია ა, დიდი მოურავი, ტ.1-7, თბ. 2012
2. ანტონოსვკაია 2013: ანტონოსვკაია ა, დიდი მოურავი, ტ.7-14, თბ. 2013
3. ბარნოვი 1962: ბარნოვი ვ, გიორგი სააკაძე, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბ. 1962
4. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა, რწმენა, თბ. 1990
5. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ, წერილები. ესეები, თბ. 1991
6. გოლიაძე 2007: გოლიაძე გ, გიორგი სააკაძე. სტალინი. სტალინი და დავით აღმაშენებელი, გაზ. 24 საათი, თბ. 2007, №18
7. ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
8. კაკაბაძე 1915: კაკაბაძე ს, გიორგი სააკაძე, თბ. 1915
9. კანკავა 1969: კანკავა გ, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ. 1969
10. მაცაბერიძე 2010: მაცაბერიძე ბ, სტალინი და გიორგი სააკაძის სახე ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში, ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ. 2010
11. ნატროშვილი 1988: ნატროშვილი თ, წელი ერთი და ათასი, თბ. 1988
12. ნატროშვილი 2006: ნატროშვილი თ, დიდგორი... მარაბდა... ბაზალეთი, თბ.2006
13. რობაქიძე 2009: რობაქიძე ნ, გაგრძელება იქნება?! ცხელი შოკოლადი, თბ. 2009, 1 თებერვალი
14. სანიკიძე 1988: სანიკიძე ლ, გიორგი სააკაძე, თბ. 1988
15. ფურცელაძე 1892: ფურცელაძე ა, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ. 1892
16. ლვინჯილია 1983: ლვინჯილია ჯ, გიორგი სააკაძის პიროვნება, თბ.1983

17. ჩარკვიანი 2004: ჩარკვიანი კ, განცდილი და ნააზრევი, თბ. 2004
18. ჩხეიძე 2012: ჩხეიძე რ, სიმართლე გიორგი სააკაძეზე, თბ. 2012
19. წერეთელი 1895: წერეთელი ა, შავი ფიქრები, გაზ. კვალი, 1895, №44
20. ჭავჭავაძე 1886: ჭავჭავაძე ი, ლუარსაბ წამებულის, გაზ. ივერია, 1886, №133
21. ჯამბურია 1964: ჯამბურია გ, გიორგი სააკაძე, თბ. 1964
22. ჯანაშვილი 1914: ჯანაშვილი მ, გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ. 1914
23. Nora 1989: Nora P, Between Memory and History, Representations, No 26, Special Issue, Memory and Counter-memory. (spring, 1989)

## თავი II

### თაგარ მეფის ეპოქა, როგორც ოძროს ხანის საბით კოლექტიურ მახსიერებაში – შალვა დადიანის ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ მიხედვით

„ოქროს ხანის“ მითს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XX საუკუნის I ნახევრის ქართული ანტიკილონიური პროზისათვის, კერძოდ, ისტორიული პროზისათვის. პოსტ-კოლონიურ კვლევებში აღიარებულია, რომ ნაციონალური იდენტობის ფორმირებისათვის დაპყრობილი ერები სშირად მიმართავენ ეთნო-ისტორიებს, ისხენებდნენ წარსულს, რათა დაპირისპირებოდნენ აწმყოს კრიზისულ პერიოდს და შეექმნათ ოპტიმისტური მომავლის განწყობა (Boehmer 2005:96, 117). ისტორიულ ნარატივებზე მსჯელობის დროს, ე. ზერუბაველი გამოყოფს ისტორიული ნარატივის რამდენიმე სახეს: „პროგრესის“, „დაღმასვლის“, „ზიგზაგის“ ნარატივებს. „დაღმასვლის“ ნარატივი „ოქროს ხანის“ მითთანაა დაკავშირებული. ამ ისტორიული ნარატივისათვის დამახასიათებელია წარსულის შემდეგნაირი ხედვა: წარსულის ნოსტალგია, რომანტიზაცია, წინაპრების აღმატებული ხედვა, ვინაიდან ის აცნობიერებს, რომ დიდებული ხანა აღარ არსებობს (Zerubavel 2004:13-16). XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული რეალობის სოციო-კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი განაპირობებდა „ოქროს ხანის“ მითის აქტუალიზებას, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ისტორიით მანიპულირებას და მომავლის რწმენის გაღვივებას.

შალვა დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ 1916-1926 წლებში იწერებოდა, სწორედ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მომხდარა ტექსტის საბოლოო გადამუშავება (ციციშვილი 1974:209). ცხადია, შეცვლილი პოლიტიკური კონტექსტი ტექსტის მიზანდასახულობაზე იმოქმედებდა. მწერალი აღნიშნავს: „ამისთანა ხანა გვქონია ქართველებს და ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს?“ (დადიანი 1962:168). „რამ გამოიწვია ამ თხზულების დაწერა? რომ

მოვიწინო, ჩემს ერთგვარ აღმოფრთვას ინვევდა ის გარემოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენი დიდებული პოეტები: ილია და აკაკი წერდნენ თავის შედეგებს პოემების სახითაც, მაგრამ მათ შინაარსად აღებული ჰქონდათ ისეთი ეპიზოდები, როდესაც საქართველო გაბმული იყო მოგერიებით ომში და დიდ ვაჟკაცობას იჩენდა, სულიერ დიდ სიგმირეს, მაგრამ საქართველოს წარსულის მაღალი დონე, მისი სულიერი სიმაღლე არსად სჩანდა. მაშ რას მოგვითხრობდნენ ჩვენი ძველი მატრიანები, რომ ჩვენ გვექონდა საოცარი თავისთავადი ხუროთმოძღვრება, რომლის გეგმა და მშენებლობის სიმწყაზრე ახლაც აკვირვებს საზღვარგარეთელ სპეციალისტებსაც კი... ბრწყინვალე საერო და სასულიერო ლიტერატურა, სადაც ყვაოდა პოეზია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერული დარგი; როდესაც ჩვენ გვექონდა ჩვენი საკუთარი აკადემიები გელათში, იყალთოში და სხვა..." (იქვე, 167). წინამდებარე ციტატიდან კარგად ჩანს მწერლის დამოკიდებულება თამარ მეფის ეპოქის მიმართ, რომელსაც „ოქროს ხანა“ უწოდა ქართულმა კოლექტიურმა მეხსიერებამ. „ოქროს ხანის“ მითის ფუნქციის გააზრება კარგად წარმოაჩენს შ. დადიანის ზემოთმოყვანილი ციტატისა და ზოგადად რომანის მიზანს.

„ოქროს ხანის“ მითის ფუნქციების გააზრებისას დავეყრდნობით ე. სმითის სტატიას „ოქროს ხანა და ნაციონალური აღორძინება“. ე. სმითი გამოყოფს და აანალიზებს „ოქროს ხანის“ რამდენიმე ფუნქციას. ნაციონალიზმის ეპოქაში ამ კონცეფციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი პირველი ფუნქციაა ავთენტურობის ძიება: ერის გამოცოცხლება შესაძლებელია „ავთენტური მე-ს“ აღმოჩენით. მეცნიერი „ავთენტურ მე-ში“ ორ არსებით დეტალს ხედავს: „ვინ ვართ“ და „სად მივდივართ“. ამ კითხვების პასუხი „ოქროს ხანაშია“ საძიებელი: დიდებული წარსულის მოგონებით ერი ქმნის ანმეოს ღირებულებებს და უძველესი ტრადიციების გამგრძელებლად აღიქვამს თავს. ხოლო მომავალში ამ დიდე-

ბულების განმეორება სურს (Smith 2013:48). „ოქროს ხანის“ ერთ-ერთ ფუნქცია თაობათა შორის უწყვეტობის განცდის ფორმირებაა. წარსულთან საუკუნოვანი დაშორების მიუხედავად, ისტორიის გახსენებით იქმნება განცდა, რომ საზოგადოება „ოქროს ხანის“ გმირებისა და მოვლენების პირდაპირი შთამომავალია. ამრიგად, ე. სმითი ნაციონალური საკითხებით დაინტერესებულ პირთა ამოცანად პოლიტიკურ არქეოლოგიას მიიჩნევს: ისტორიის ხელახლა აღმოჩენა და წარსულის ცხოვრების რეკონსტრუქცია, ერის ანმოს წარსულთან დაკავშირება (იქვე, 49-50). „ოქროს ხანის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა საზოგადოებას გაახსენოს წარსული დიდებულება და მისი შემქნელი კოლექტივის მიერ დამკვიდრებული შინაგანი ღირებულებები. „ოქროს ხანის“ გახსენებით ერი უპირისპირდება საკუთარ ნაკლოვან ანმოსა და გარეშე, უცხო ძალებს. ნაციონალური საკითხებით დაინტერესებულ პირთა აზრით, მეხსიერებაში ამ პერიოდის აქტუალიზება, ერს მომავლის რწმენას უზრუნებს: საზოგადოება, რომელიც შეისწავლის „ოქროს ხანას“, შეძლებს მომავალი მიზნების დასახვას – კერძოდ, დიდებული წარსულის განმეორებას (იქვე, 51).

ე. სმითის კონცეფცია პოსტკოლონიური დისკურსის ფარგლებში თავსდება. „ოქროს ხანის“ მითს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირების პროცესში. ეს საკითხი ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში დასმული აქვს ა. ბაქრაძეს, როდესაც მსჯელობს საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიულ პროზაზე. მკვლევარი ერთმანეთისაგან მიჯნავს კომუნისტური რეჟიმისა და რეჟიმამდელი პერიოდის ისტორიულ ნაწარმოებებს. თუ მანამდე მწერლის მიზანი მხოლოდ ისტორიის გახსენება იყო, საბჭოთა დროის ისტორიულ ტექსტებს უნდა გამოენვია მკითხველის ეროვნული სიამაყე, მომავლის რწმენა, რათა დაპირისპირებოდა არასასურველ ანმოს. ამ ტიპის რომანებს ოფიციალური კრიტიკა თავს ესხმოდა და ცდილობდა დაებლოკა, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ოპტიმიზმს ახალი ცხოვრების შესახებ (ბაქრაძე 2004:259). ე. სმითის „ოქროს

ხანის“ მითის ფუნქციები კარგად ასახავს ისტორიისადმი საბჭოთა პერიოდის მწერალთა დამოკიდებულებას. ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ საკმარისია აგრეთვე შ. დადიანის სიტყვების მოხმობაც: „ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა უნდა იწამოს თავისი თავი, განიმტკიცოს მოუსვენებლად რწმენა თავისადმი და მაშინ იგი თითქოს შეუძლებელს შეძლებს. ამ რწმენის სამსახური – აი უდიდესი მოვალეობა ყველა „ჩვენ-განისა“, ვისაც კი გვაქვს „ყურნი სმენად“ და „თვალნი ხედვად“. ამ რწმენას განამტკიცებს წარსული დიდების შესწავლა (რანი ვიყავით) და მომავალი სანატრიონის გაშუქება (რანი უნდა ვიქნეთ, ან შეგვიძლია გავხდეთ)“. ციტირებას ვახდენთ შ. დადიანის არქივიდან, რომელიც დამონმებული აქვს მკვლევარ რ. სალიას (სალია 1999:124).

შ. დადიანმა ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ თემად სწორედ თამარ მეფის ეპოქა აირჩია. თამარის ეპოქა „ოქროს ხანადაა“ შეფასებული ქართულ კოლექტიურ მემსიერებასა და ისტორიოგრაფიაში. ავტორს გეგმაში ჰქონია კიდევ ორი რომანის დაწერა თამარის ცხოვრების შესახებ, სადაც სრულად იქნებოდა წარმოჩენილი საქართველოს ისტორიისათვის ამ მნიშვნელოვანი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა დაბადებიდან სიკვდილამდე (სალია 1999:123). „უბედურ რუსში“ აღწერილია მეფის პირველი ქორწინების ამბავი. ისტორიულ რომანზე მუშაობის დროს შ. დადიანი გაეცნო უამრავ ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მწერალი ყველაზე მეტად დაეყრდნო თამარის დროინდელ ისტორიულ წყაროს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ციციშვილი 1974:219). რომანის ავტორი კარგად იცნობს ისტორიულ წყაროებს, მიჰყვება მათ მონაცემებს და ზომიერად მიმართავს გამონაგონს. საბჭოთა კრიტიკა, რომელიც უარყოფითად შეხვდა ნაწარმოების გამოსვლას, მწერალს სწორედ წყაროების ერთგულების გამო აკრიტიკებდა. მაგ.: „რაც შეეხება გიორგი უფლისწულის უარყოფით თვისებებს – ეს არის შედეგი არა ავტორის განზრახვი უარყოფითი ტენდენციისა მისადმი, არამედ რევოლუციამდელი რუსული ისტო-

რიოგრაფიის ცნობებისადმი იმ ზედმეტი ნდობისა, რომელიც ავტორმა საქიროზე მეტად გამოიჩინა“ (იქვე, 214). რომანის გამოცემას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა: პირველად 20-იან წლებში და მეორედ 40-იან წლებში. 1952 წელს საქართველოს კპ XV ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აკაკი მგელაძემ განაცხადა: „სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო ქართულ და რუსულ ენებზე ხელახლა გამოცემა შალვა დადიანის მანკიერი რომანისა „გიორგი რუსი“, რომელიც დამახინჯებით, მრუდე სარკეში ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, განმტკიცებულს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილი სისხლით“. დავესესხებით მკვლევარ რ. კვერენჩილაძეს, რომელსაც ციტირება მოჰყავს საქართველოს კპ XV ყრილობაზე ა. მგელაძის მოხსენებიდან (კვერენჩილაძე 2012:38).

ბუნებრივია, რომ პარტიული ლიდერის ამ განცხადების პათოსს იზიარებს იმდროინდელი კრიტიკაც: „მიუხედავად იმისა, რომ ეს რომანი შეიძლება ყოველთვის ვერ პასუხობდეს საბჭოთა ისტორიული რომანისადმი დღეისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, იგი დღესაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო, საგულისხმო და ღირსშესანიშნავ ისტორიულ რომანად ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ (ციციშვილი 1974:210). კრიტიკოსი რომანის მთავარ ნაკლად მიიჩნევს XII საუკუნის საქართველოს ისტორიის რომანტიზებასა და „მძაფრი კლასობრივი ბრძოლისა“ და სოციალური უთანასწორობის უგულვებელყოფას (იქვე, 214). ამავე აზრს ვკითხულობთ სხვა კრიტიკოსებთანაც, რომლებიც „ცდილობდნენ“ რომანის ღირსებების დანახვასაც: „უაღრესად რთული სიუჟეტის შედარებით ბუნებრივი განვითარება, მდიდარი სიტყვიერი მასალა, ეპოქის ღრმა ცოდნა, ტიპების ფსიქოლოგიური სამყაროს ოსტატური გამოხატვა ამ რომანს აყენებენ ქართული მხატვრული პროზის თვალსაჩინო ნაწარმოებთა რიგში. ეს ნამდვილი ისტორიული რომანია, მიუხედავად მისი ზოგიერთი ნაკლისა“ (ჯიბლაძე 1959:176). ამ ტიპის ბრალდებებს მრავლად შეხვდებით 20-იანი, 40-იანი, 50-იანი, 70-იანი



წლების კრიტიკაში. კრიტიკოსებისა და ოფიციალურ პირთა თავდასხმებმა შ. დადიანი აიძულა პასუხი გაეცა აღნიშნული ბრალდებებისათვის: „ბოლო ხანებში, ერთი-ორი სამი წელიწადია, რაც ზოგიერთი კრიტიკოსი მოუბრუნდა ამ რომანის გარჩევას და მე ვფიქრობ დაუკვირვებლობის გამო დამინუნა მთელი მიმართება რომანის შინაარსის, ამას სამწუხაროდ აჰყვამ ზოგიერთი პიროვნება და მხარი დაუჭირეს ასეთ გამობდომებს... მთავარი ბრალდება ის იყო, რომ მე რუსეთის სასიკეთო გავლენა საქართველოზე არ აღვნიშნე, თუ ვერ აღვნიშნე, და თითონ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობაც მეტად შელამაზებულად მქონდა აღწერილი.

ჩემი პასუხი მაშინაც ეს იყო და ახლაც ეს არის, რომ მე არაფერი შელამაზებული არა მაქვს, არამედ ყველა ჩემ მიერ გამოყვანილი მოვლენები და სახეები ისტორიულ დოკუმენტებზეა დაფუძნებული... რაც შეეხება რუსეთის გავლენას მეთორმეტე საუკუნეში, საქართველოსთან დამოკიდებულების დროს, რალა თქმა უნდა, სრულიად არ იგრძნობოდა, რადგან მაშინ რუსეთი არ იყო გაერთიანებული ერთ სახელმწიფო ერთეულად, არამედ იყო დანაწილებული... ასე რომ, მაშინ რუსეთს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სხვა სახელმწიფოებზე არც თავის კულტურით და არც თავისი მეომრული ძალებით“ (დადიანი 1962:169).

კრიტიკოსთა სხვა ბრალდება – კლასთა დაპირისპირების უგულვებელყოფა – დღევანდელი გადასახედიდან სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყურება, ვინაიდან თანამედროვე მკითხველისათვის გაუგებარია ვულგარული სოცოლოგიის კრიტიკრიუმებით ისტორიული პროზის შეფასება. საბჭოთა კრიტიკამ ლიტერატურას დაუნესა მოთხოვნა აესახა მარქსისტული თეზა კლასთა ბრძოლისა (კორძაია 1990:394). სწორედ ამ კრიტიკრიუმების უგულვებელყოფას მიიჩნევდა რომანის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად. იმ დროს ბევრი ნაწამოები პასუხობდა აღნიშნულ მოთხოვნებს. ამ კრიტიკრიუმებითაა შექმნილი ა. ანტონოსკაიას იდეოლოგიზირებული ისტორიული რომანი „დიდი მოურავი“, რომელიც თავისი ესთეტიკით, წყაროებისადმი მიმართებითა და ნაწარმოების

შექმნის მოტივაციით სრულიად უპირისპირდება შ. დადიანის ისტორიულ რომანს „უბედური რუსი“. საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ზენოლის შედეგია ის, რომ მწერალი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცა და შეცვალა ნაწარმოების სათაური, კერძოდ, „უბედური რუსის“ ნაცვლად მან მკითხველსა და საბჭოთა ცენზურას რომანის სათაურად სახელწოდება „გიორგი რუსი“ შესთავაზა. ამაზე მეტყველებს მოგონებებში შემდეგი ფრაზის განმეორება: „მეც დავიწყე ჩემი პირველი ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ შემდეგში „გიორგი რუსად“ წოდებულის წერა“ (დადიანი 1962:167). ლიტერატურული ტექსტის პირველი სათაური მომდინარეობს თამარის ისტორიკოსის ნაწარმოებიდან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, სადაც გიორგი რუსი „სუე-უბედურად“ იწოდება (კორძია 1990:386). აღნიშნული სათაური რომანის კონცეფციის ორგანული ნაწილია: ხაზს უსვამს ისტორიულ წყაროსთან გარკვეულ ინტერტექსტუალურ კავშირს და ალეგორიული ქვეტექსტის შემცველია. საბჭოთა კრიტიკისათვის, ბუნებრივია, მიუღებელი იქნებოდა სიტყვა „რუსის“ წინ ამდაგვარი ეპითეტის გამოყენება.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან იცვლება შ. დადიანის ისტორიული რომანის რეცეფცია. თუ აქამდე კრიტიკოსები ნაწარმოების „ნაკლს“ ხედავდნენ ან მწერლის გასამართლებლად გიორგი რუსის პიროვნებას არ ანზოგადებდნენ, ა. ბაქრაძემ ტექსტის სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაცია შესთავაზა მკითხველს. აკ. ბაქრაძის ინტერპრეტაციას პოსტკოლონიური კრიტიკის თვალთახედვა უდევს საფუძვლად: „მოთხრობილია თავგადასავალი თვით უფლისწულისა, რომელიც მეტისმეტად ზნედაცემული გამოდგა – როგორც პოლიტიკოსი უუნარო, როგორც მამაკაცი ავადმყოფი. შალვა დადიანის რომანში დახატული ეს სახე, რა თქმა უნდა, ქარაგმულად, ალეგორიული გზითა და საშუალებით გვეუბნება, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლებოდა, რუსეთის ნდობა ისევე ვერ გაამართლებდა, როგორც ვერ გაამართლა გიორგი რუსმა“ (ბაქრაძე 2004:260). ამ ინტერპრეტაციით, უბედური რუსის განზოგადებულ სახეს

მკითხველისათვის ალევორიული მინიშნების ფუნქცია უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, რომანის იმპლიციტური შინაარსი გაუშიფრავი არ დარჩენია მკითხველსა და საბჭოთა კრიტიკას, ამიტომაც მოჰყვა ნაწარმოებს უარყოფითი შეფასებები (იქვე, 261). რომანის ამგვარ გააზრებას იზიარებს მოგვიანო პერიოდის ლიტერატურული კრიტიკაც: „შოვინისტური რუსული პოლიტიკის ბატონობის წლებში საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანაზე“ ყურადღების აქცენტირება ეროვნული თვითშეგნებისა და კანონიერი ეროვნული სიამაყის გრძობის გაღვივებას ემსახურებოდა“ (სალია 1999:125).

შ. დადიანის ისტორიულმა რომანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირებასა და კოლექტიურ მეხსიერებაში თამარ მეფის ეპოქის, როგორც „ოქროს ხანის“ აქტუალიზებაში. მართალია, თამარ მეფის კულტი უცხო არ ყოფილა ქართული კოლექტიური მეხსიერებისათვის (რაზეც არაერთი ისტორიული წყარო მეტყველებს), თუმცა შ. დადიანი პირველი იყო, ვინც ისტორიული რომანის თემად თამარ მეფის ეპოქა აირჩია. მწერალი აქტიურად თანამშრომლობდა ივანე ჯავახიშვილთან, შემორჩენილია მათ შორის მიმოწერა, ისტორიკოსმა მადლობაც კი გადაუხადა შ. დადიანს ამ ნაწარმოების შექმნისათვის. ივ. ჯავახიშვილი ზუსტად აღიქვამს ისტორიული პროზის ფუნქციას, მის როლს კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში: „მხატვრული მწერლობა საზოგადოებაზე ისტორიულზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და ამ მხრივ მას, ჩვენი ეროვნული შეგნების განმტკიცებისათვის მეცნიერებაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს“. ციტატას ვიმონწმებთ ჯ. კორძიას სტატიიდან (კორძია 1999:399).

„უბედური რუსი“ ამკარად განიცდის ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიისა“ და თამარის ისტორიკოსის ნაწარმოების (როგორც ზემოთ აღინიშნა) გავლენას. ეს უპირველესად კარგად ჩანს თამარის პიროვნების დახასიათების დროს. ამ თვალსაზრისის ნათელსაყოფად მოვიხმობთ ისტორიკოსის ნააზრევს ამავე ნაშრომიდან. ივ. ჯავახიშვილი წყაროებზე დაყრდნობით, თამარ მეფეს ახასიათებს, რო-

გორც ძლიერ სახელმწიფო მოღვაწეს. მართალია, მის დროსაც მრავლად იყო სამხედრო წარმატება, მაგრამ ისტორიკოსისათვის თამარ მეფის მთავარი ღირსება მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და დიპლომატიური ურთიერთობებია. თამარის გამეფებას იმდროინდელი საზოგადოებისათვის მოულოდნელი მოძრაობა ახლდა (ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნები, იური რუსის აჯანყება). მან წინდახედული პოლიტიკით შეძლო მშვიდობიანობის აღდგენა ქვეყანაში. მართალია, დღეს ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნები შეიძლება სხვაგვარადაც შეფასდეს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილისათვის უმთავრესია ის ფაქტორი, რომ მეფემ ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნება შეძლო. თამარი, მამამისისგან გიორგი III-სგან, სიმშვიდითა და ლმობიერებით გამოირჩეოდა, წესრიგის დამყარების მიზნით არ მიმართავდა მკაცრ და ძალისმიერ ღონისძიებებს. მას წყაროები სათნო და მოწყალე ადამიანად ახასიათებენ. მეფე ყველანაირად ცდილობდა აღმოეფხვრა დამნაშავის სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება, რაც ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკა იყო იმდროინდელ მსოფლიოში (ჯავახიშვილი 1983:262-263). შ. დადიანის რომანში თამარ მეფის სახე, ძირითადად, ამ შეხედულებებითაა შექმნილი, სწორედ ამიტომაც მოვიხმეთ ისტორიკოსის შეფასებები.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, ცხადია, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. შ. დადიანის ისტორიულ რომანზე გავლენა თავად ამ ისტორიულმა წყაროებმაც მოახდინეს. ქართული წყაროები თამარ მეფეს საოცარი ეპითეტებით ამკობენ, ამ მხრივ საკმარისია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ რამდენიმე ეპიზოდის გახსენება: „თამარი, პირი იგი ეთეროვანი და უკმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი“ (ისტორიანი...1982:178). „აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსვეს მზე იგი მზეთა ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხვათა“ (იქვე, 180). „კვლად დაჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა შვენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა მით მზეებრითა აპოლინი-

ანითა, სატრფო და საჭვრეტი დაბნედამდის და გაჭრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა და შეპყრობამდის წყალ-ჯავრითა მით უმსგავსოთა სახითა მით ღმრთივექმნულითა. იურვის და იურვიდა ურვაქმნისათვის ყოველთა შეურვებულთათვის“ (იქვე, 185). „თამარისა, ხელმწიფეთა მზისა და მეფეთა ელვა-ცისკროვნებისა“ (იქვე, 191). „თამარ წყნარი და ნარნარი, ცნობიერი და გონიერი“ (იქვე, 191). „თამარი ხელმწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალეზანი ეფინებიან იატაკსა ამას ზედა ცისასა“ (იქვე, 192). საზოგადოდ, თამარის სახე ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში სწორედ ამგვარი შეფასებებიდან იღებს სათავეს.

შ. დადიანის ისტორიულ რომანში თამარის სახე კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებული სახის ადეკვატურია:

„ტახტზე იდგა მეფე-ქალი... მაღალი ტანის იყო, ახოვანი, ჰაეროვანი. თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და ზრუნვას სიღარბაისლის იერი უცხოდ შეექსოვა მის ნატიფ სახე-პირისათვის.

თვალები ჰქონდა უსაზღვრო ღმობიერებით აღსავსე, შემწყალე და მიმტევებელი, მაგრამ იმავ წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებოდით, ვერ გაუტოლებთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველდღიურ, წვრილმან სურვილებში“ (დადიანი 1990:61). „თამარი სულ სხვა ვინმეა, ჯერ არ ვისგან შეცნობილი!.. მას არ სჭირდება პატრონი, არც გმირი ვინმე... იგი თვით არის თავით თვისით... ის დიდი მწვერვალია!..“ (იქვე, 96).

თამარის ჰაეროვანი, ძლიერი და იდეალიზებული სახე ავტორმა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შექმნა, ამიტომაც უსაფუძვლოა საბჭოთა კრიტიკის ბრალდება თითქოს რომანში ასახული სახე რეალობას ყოფილიყო მოკლებული.

რომანში თამარის სახეს ორგანულად ერწყმის იმდროინდელი ძლევამოსილი საქართველოს სურათი. საბჭოთა რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკასთან დასაპირისპირებლად, ავტორმა ტექსტში საინტერესო ნარატიულ ხერხს მიმართა: საქართველოს ოქროს ხანა სწორედ კუზმა-რუსის პერსპექტივით დაგვანახა. კუზმა-რუსის პერსპექტივით თხრობას

განსაკუთრებული იმპლიციტური ფუნქცია აქვს: მწერალს შეეძლო ამ ფორმით წინააღმდეგობა გაენია თანამედროვე კოლონიზატორისათვის. თუ XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველო საბჭოთა რუსეთის კოლონიაა, XII საუკუნის „ოქროს ხანაში“ პირიქით, საქართველო იმდენად ძლიერია, რომ შემდგომში კოლონიზატორი შენატრის მის ძლიერებას. მწერლისათვის ეს მიუღებელ ანმყოსთან დაპირისპირებისა და მკითხველში ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირების საშუალება იყო. კუზმა-რუსი თავის ოცნებებს საქართველოს ძლიერებას უკავშირებს:

„დიდი და თავისთავადი ქვეყანაა საქართველო... იმ დედოფალს ჩვენ არავინ გამოგვატანს, ძლიერი სახელმწიფოა და ის ქალი, მეფეა თავისი ქვეყნისა... დიდი მეფე გახდები, იური, მძლავრი ტახტის ხელმწიფე და შემდეგ... აი, აქ გმართვებს სიბრძნის გამოჩენა... წინედაც გამეგონა, მაგრამ წუხელის ყივჩაღთა მეფემაც ამიხსნა, რომ მთელი აზია ქედმოხრილია მათ წინაშე და აი, შვილო... როდესაც მეფე იქნები ამ გმირი ხალხისა, მაშინ... მაშინ შეიძლება შენი მამულიც დაიბრუნო... ხომ ხედავ, ჩვენი წინანდელი განზრახვა რა მცირეა... სად მარტო ჩვენი სამთავროს დაბრუნება და სად უზარმაზარის და მძლავრი იმპერიის დაარსება“ (დადიანი 1990:15-16).

XII საუკუნის საქართველოს დიდებულების ნიშანია თამარის სასახლე, რომელსაც ყივჩაღი შარაგანი წარუდგენს კუზმა-რუსს:

„ეს სასახლე, საცა ჩვენ ეხლა ვიმყოფებით, თვით თამარის აგებულია. წელიწადი თუ იქნება, რაც საძირკველი ჩაეყარა ამ შენობას, მაგრამ ისეთის სისწრაფით შენდებოდა, იმდენი მუშა ესია, რომ არ გაუჭირდათ ასე მოკლე ხანში ასეთი დიდი სასახლე გაემწყაზრათ და ესე კეკლუცად შეემკოთ... დიდებულია თამარის წინაპართა მიერ ნაშენები სასახლეებიც... და, თუნდა მხატვრობა აიღე... ეს თამარის პაპა, დავით III. ქართველები ამას აღმაშენებელს უძახიან, რადგან მართლაც და მან აღაშენა და აალორძინა საქართველო... დიდი მეფე-კი ყოფილა: გონიერი, გამჭრიახი, შემმართველი... რაც ყოფილა ამ ქვეყანაში და რაც არის, როგორ არ უნდა ვიცოდე...“

აქ, ამ ქვეყანაში, უფიცობა სირცხვილია... თითქმის ყველა მწიგნობარია, ყველამ იცის მათი წარსული... ზოგი ხომ ისე დახეღვნებულია ამ საქმეში, რომ ბერძენ ფილოსოფოსთ არ ჩამოუფარდება“ (იქვე, 53-55).

ქართული სინამდვილის ხილვით გაოცებული კუზმა რუსი დასძენს:

„კუზმა-რუსი თანდათან მეტის კრძალვით იმსჭვალეობდა გარემოსადმი. ის არ მოელოდა ასეთ სიმდიდრეს, ასეთ წესსა და რიგს, ასეთ საგულისხმო და თვალსაჩინო პიროვნებათა ხილვას, ანუ მათი ამბის გაგებას“ (იქვე, 57). ხოლო თამარის ხილვის დროს გაიფიქრა: „ვინ არის, რომ თაყვანი არ სცეს ამ ღვთიურ არსებას? თავი არ გასწიროს მისთვის? სხვა მიზეზი რაღა უნდა? თამარი ბრძანებს, თამარისათვის საჭიროა... უნდა შესრულდეს! როგორც ეტყობა ყველას გამომეტყველებას, ამ აზრს ადგანან, სხვა ხატი რად უნდათ, სხვა სალოცავი?... არა, ჩვენ მაგას არავინ მოგვანიჭებს“ (იქვე, 62). ხოლო მას შემდეგ, რაც იური რუსი თამარს წარუდგინეს, კუზმა-რუსი მიხვდა: „წავაგეთ“ (იქვე, 62).

კუზმა-რუსის სიტყვებში კარგად ჩანს მწერლისდროინდელი რეალობის საპირისპირო ვითარება:

„კუზმა უკვე დაუკვირდა, კუზმამ ბევრი რამ შეისწავლა აქ ყოფნის დროს. ნათქვამებში, გადმოცემებში, საქციელში, მისწრაფებაში ატყობს, რომ ხალხი აქეთ მიისწრაფის, რომ ყოველ ხალხს თავისი დანიშნულება აქვს, მისი გზა და გეზი. საქართველო ბიზანტიის მაგივრობას აპირობს, ეს დადიანის ბანაკიდან უკვე იცის მან. მაშ, სად ჩრდილოეთი, სად საქართველო და მისი მეფის მისწრაფებანი? კარგი, ვთქვათ ეს ამჟამად არ ხერხდება, საქართველომ იარა თავისი გზით... მაგრამ თუ კიდევ უფრო გაძლიერდა, მაშინ ხომ შეუძლიან გამალოს მეორე ფრთა?... **ოოჰ, რა იქნება, თუ ეს ნიჭიერი ხალხი იქნება მომვლელი ჩვენი!** რამდენს საუცხოოს შესძენს კაცობრიობას!“ (იქვე, 266).

ჩვენ მიერ მარკირებულ სიტყვებში კარგად ჩანს ავტორის ანტიკოლონიური განწყობა, კოლონიზატორთან დაპირისპირება: ოქროს ხანის წარსული იმდენად შთამბეჭდავი იყო,



რომ თანამედროვე კოლონიზატორი პირიქით ელტვოდა კოლონიზებულის მფარველობას. ავტორისათვის არასასურველი რეალობის შესაბრუნებლად კარგი საშუალება იყო ისტორიის გახსენება.

რომანში კუზმა-რუსის პერსპექტივის გარდა, საინტერესოა გოდერძი ჩორჩანელის პერსპექტივა. თუ კუზმა-რუსის უცხო თვალი აღფრთოვანებული შეჰყურებს ძლიერ სახელმწიფოს, მაშინ გოდერძის სიტყვებში მწერლის თანამედროვეობის ალეგორიული ქვეტექსტების ნაკითხვა შეიძლება. მთელ რომანში გოდერძი ერთადერთია, რომელიც ყველაზე მკვეთრად ეწინააღმდეგება თამარის რუს უფლისწულზე გათხოვებას. მას არ მოსწონს ქართველების გატაცება უცხო საგნებით:

„ჩვენი უბედურებაც ესაა. სულ ყველაფერი უცხო მოგვწონს... მუდამ უცხოეთისაკენ ვიმზირებით, მაგრამ განა ბევრი ყოფილა თქვენგანი უცხოეთში?.. მე შემომივლია ეგ უცხოეთი... მე მკითხეთ ამბები... დიდებულია ეს ქვეყნები, მაგრამ, ჩვენ მაინც თავისებური ბევრი სიკეთე გვახლავს, ამათ უნდა გამოყენება... იმ უცხოში ბევრი სივალახე, გამოუსადეგი, ჩვენი სულის შეუფერებელია. ნუ წარგიზიდავთ ისე უცხო, როგორც თავისი“ (იქვე, 101).

განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი სიტყვები:

„საუცხოო! ეს სიტყვა უნდა ამოვარდეს ძირფესვიანად ჩვენის ენიდან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი შეგნების საძრაობიდან... ეგა გვლუპავს ჩვენ... გვიხშობს თავის რწმენას, მაგრამ რად ვერ მოხდა?! არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი დავითის, ჩვენი ქვეყნის აღმაშენებლის, მოღმა მაინც, რით ვერ განვიმტკიცეთ რწმენა თავის თავისადმი?! ერთი საუკუნე ჯერ არ გასულა და იმიტომ თუ ვერ დაგვიღწევია თავი“ (იქვე, 102).

გოდერძის სიტყვები ეხმიანება შ. დადიანის თანამედროვე რეალობას, როცა ქართველ ერს საკუთარი თავის რწმენა დაკარგული ჰქონდა. რუსეთის ორსაუკუნოვანი მონობისგან ჯერ შინაგანადაც ვერ დაეღწია თავი და უკვე საბჭოთა კოლონიალიზმის მსხვერპლი ხდებოდა. ხოლო თამარის ქორ-

წინება მისი შეფასებით: „ის, რაც საუკეთესო გვექონდა, რაც ჩვენი გულის გული იყო, გავეციით... ჩვენის ხელით ავიხადეთ ჩვენი უფლება, ჩვენი პატივი, ჩვენი სინმინდე“ (იქვე, 145). გოდერძის სიტყვები მწერლის დროინდელი რეალობის ალღორიული ქვეტექსტია მკითხველისათვის.

გოდერძის სიტყვების ქვეტექსტი კარგად მართლდება იური რუსის სახეში. კრიტიკაში აღნიშნულია, რომ რუსი უფლისწულის შექმნისას ავტორი, ძირითადად, ქართულ და რუსულ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდა. მართალია, მწერალს არ გაუზვიადებია წყაროების მონაცემები, მაგრამ რუსი უფლისწულის სახის განზოგადება მკითხველში ანტიკოლონიურ განწყობას გააძლიერებდა. ამის გამო იყო, რომ ნაწარმოებს სათაური შეუცვალეს და საბჭოთა კრიტიკა აღშფოთებული დარჩა რუსი უფლისწულის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენით. მიუხედავად კუზმა-რუსის კეთილშობილური სახისა, მათ არ გამოჰპარვიათ მთავარი პერსონაჟის განზოგადების საფრთხე. უფლისწული არ აღმოჩნდა თამარისა და საქართველოს ტახტის ღირსი. თამარის ცხოვრებიდან ისტორიულ წყაროებში ბევრი საინტერესო ცნობაა შემორჩენილი, მაინცდამაინც რუს უფლისწულთან შეუღლების ეპიზოდის რომანის თემად აღებას თავისი ალღორიული ქვეტექსტი უნდა ჰქონოდა.

შ. დადიანი ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს, შემოჰყავს როგორც რეალური, ისე გამოგონილი პერსონაჟები. რომანის ქრონოტოპი მიახლოებულია წყაროებში გადმოცემულ რეალებთან. ავტორი ცვლის მხოლოდ შემდეგ ფაქტს: ტექსტში თამარ მეფისა და იური უფლისწულის დანიშნვაზე საუბარი, ხოლო წყაროებში იგი თამარის ქმრადაა მოიხსენიებული. ნაწარმოების მიხედვით უფლისწულმა ერთი წელი დაჰყო საქართველოში, ხოლო წყაროების მიხედვით ორი წელი. რომანის ენა სტილიზებულია, თუმცა არ არის არქაიზმებით დაძვირებული. ეპიზოდები დინამიკურია, თხრობის რიტმი ზომიერი. კუზმა-რუსის პერქსპექტივაზე აქცენტირებით მწერალმა კოლექტიურ მეხსიერებაში გააცოცხლა „ოქროს ხანა“ და ანტიკოლონიური განწყობა შეუქმნა მკითხველს.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ ისტორიულ პროზაში მნიშვნელოვანია ანტიკოლონიური იდენტობისა და საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების ფორმირება. თავის მხრივ, ტექსტებში აისახება აღნიშნული ეპოქის კოლექტიური მეხსიერება. შ. დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ ანტიკოლონიური მწერლობის ნიმუშია. მისი კვლევა პოსტკოლონიური კრიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. რომანი ე. ზერუბაველის კლასიფიკაციით „ზიგზაგის“ ნარატივში თავსდება, მისთვის დამახასიათებელია „ოქროს ხანის“ მითის ფუნქციითაა გააქტიურება, კერძოდ, სახელოვანი წარსულის გახსენება, მომავლის რწმენისა და თამარის ეპოქის, როგორც „ოქროს ხანის“, ეპოქასთან უწყვეტობის განცდის გაღვივება. თამარის რუს უფლისწულზე დაქორწინების თემის შერჩევა მიზანმიმართული ქვეტექსტი იყო, რომელიც მკითხველის ანტიკოლონიურ იდენტობას ჩამოაყალიბებდა. საბჭოთა კრიტიკისათვის გაუშიფრავი არ დარჩენილა უბედური რუსის განზოგადებული სახე და რომანის სათაურის კონოტაცია. რომანის „ოქროს ხანის“ მითთან მიმართების პრობლემის კვლევა დღევანდელი მკითხველისთვისაც შეიძლება საინტერესო იყოს, ვინაიდან კოლექტიურ მეხსიერებაში თამარის ეპოქას დღემდე იგივე ფუნქცია აქვს: ეს არის ისტორიული სიმაღლე, რომლის მიღწევაც კვლავ მომავალ-თანაა დაკავშირებული.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა, რადიონტერვიუ, თხზულებანი, ტ. III, თბ. 2004
2. დადიანი შ —
3. დადიანი 1962: დადიანი შ, რჩეული თხზულებანი, ტ.V, თბ. 1962
4. დადიანი 1990: დადიანი შ, უბედური რუსი, თბ. 1990
5. ისტორიანი...1982: ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანი, ქართული პროზა, ტ.III, თბ. 1982

6. კვერენჩხილაძე 2012: კვერენჩხილაძე რ, მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი, თბ. 2012
7. კორძაია 1990: კორძაია ჯ, ბოლოსიტყვა, დადიანი შ, უბედური რუსი, თბ. 1990
8. სალია 1999: სალია რ, შალვა დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“, სოხუმის აკად. ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტის შრომები, ტ.IV, თბ. 1999
9. ციციშვილი 1974: ციციშვილი გ, შალვა დადიანი. ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1974
10. ჯიბლაძე 1959: ჯიბლაძე გ, კრიტიკული ეტიუდები, თბ. 1959
11. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.II, თბ. 1983
12. Boehmer 2005: Boehmer E, Colonial and postcolonial literature, Oxford University Press, New York, 2005
13. Smith 2013: Smith A, The Golden Age and National renewal, Myth an Nationalhood, Routledge, 2013
14. Zerubavel 2004: Zerubavel E, Time maps, Collective Memory and Social shape of the past, Chicago and London, 2003

### თავი III

#### **ფიქციისა და რეალობის მიმართება კოლექტიურ მეხსიერებაში – კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით**

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ისტორიული რომანის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ პროზას. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, მწერლისათვის ამოსავალი პრინციპი ისტორიული დოკუმენტების ზედმიწევნით დეტალური, საფუძვლიანი შესწავლა და ლიტერატურულ ფიქციასთან მისი შერწყმაა (იხ. გ. კანკავა 1969, თ. კიკაჩიშვილი 1982, ს. სიგუა 1989). ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე შექმნილი ფიქციონალობის სპეციფიკაზე კ. გამსახურდიაც ხშირად მსჯელობს პუბლიცისტიკაში: „მომხდარის ზუსტად აღმწესხველი იყვნენ ძველი ჟამთააღმწერლები, ფაქტების დადგენის, მათი აღწერის და მათ შორის არსებული კაუზალური ურთიერთობების დადგენა ეკისრება ისტორიკოსებს, ხოლო ეპოქის სულის გამოჩინება ხასიათების გალერეის აღმოცენებით, ეს გახლავთ მწერლისა და პოეტკაცის მოვალეობა“ (გამსახურდია 1985:421). მწერალი სწავლობდა და ეცნობოდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვადასხვა ენოვან წყაროებს, რის გამოც საქართველოს ისტორიაში მომხდარ მოვლენებს საერთაშორისო მასშტაბით გადმოსცემდა.

ისტორიული რომანის ჟანრის განვითარების გარდა, მწერლის ისტორიული ნაწარმოებები იმითაცაა საინტერესო, რომ მათ თავისებური კვალი დაამჩნიეს ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებას. მკითხველის საყოველთაო ინტერესსა და სიყვარულს დაემატა ის ფაქტიც, რომ ჩვენი საკვლევი პრობლემატიკის ობიექტში ფოკუსირებული რომანი – „დიდოსტატის მარჯვენა“ წლების განმავლობაში შედიოდა სასკოლო პროგრამაში და გადაიღეს ამავე სახელწოდების კინოფილმი. ისტორიული რომანის ტექსტის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მის შესახებ არსებული რეცეფცია, რო-

მელიც, საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის გავლენით, ისე მკვიდრად დაუკავშირდა ტექსტს, რომ ნაწარმოების ერთადერთ შესაძლო ინტერპრეტაციად იქცა. პოსტსაბჭოთა ლირებულებების გადაფასების პროცესი „დიდოსტატის მარჯვენის“ რეცეფციაზეც აისახა, კრიტიკოსთა და მკვლევართა დიდმა ნაწილმა ისტორიული რომანი მწერლის თანამედროვე რეალობას – ბოლშევიკურ ტირანიას დაუკავშირა. თუმცა, დღევანდელი ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში ეს ფაქტი ხაზგასმულად წინ წამოწეული არ არის.

კ. გამსახურდიას ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის არაერთხელ გამხდარა საბჭოთა ხელისუფლებისა და მასთან დაქვემდებარებული ლიტერატურული კრიტიკის თავდასხმის ობიექტი (მეტეხის ციხე, სოლოვკის არქიპელაგი, მწერალთა კავშირიდან გარიცხვა, გამოცემების შეწყვეტა და ა.შ.). სხვადასხვა დროს უწოდებდნენ: „რეაქციონერს, შოვინისტს, მავნებელს, თავადაზნაურობის იდეოლოგს, იდეალისტსა და მისტიკოსს, ყალბაბანდსა და უმეცარს, კლასობრივ მტერსა და კონტრევოლუციონერს, პორნოგრაფსა და ფსიქოპატს, ნაცარქექიასა და დიპლომის ფალსიფიკატორს“ (სიგუა 2003:160). თავდასხმებისა და ბრალდებების მიუხედავად, გადაურჩა რეპრესიებს. მართალია, რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ დადებითად მიიღო საბჭოთა კრიტიკამ, მაგრამ ნაწარმოებს ისეთი ინტერპრეტაცია მოახვია თავს, როგორც საბჭოთა იდეოლოგიას შეესაბამებოდა და უგულებელყოფდა ტექტის მიზანდასახულებას. ცნობილია, რომ ბოლშევიკური ტირანიის დროს, რეპრესიას მწერალთან ერთად მისი შემოქმედებაც განიცდიდა. არასასურველი ნაწარმოები აღარ იბეჭდებოდა ან ცენზურის მოთხოვნით იცვლებოდა: ამოღებული იყო ცალკეული პასაჟები, ხდებოდა სიუჟეტის გადაკეთება; მიღებული პრაქტიკა იყო ტექსტების დამახინჯებული, იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაცია. „დიდოსტატის მარჯვენა“ სასკოლო პროგრამაშიც კი შეიტანეს, თუმცა მხოლოდ იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაციით ისწავლებოდა. რომანმა მასობრივი მკითხველის შეგნებაში დაკარგა ავთენტური კონტექსტი, ამით ნაწარმოები ოფიციალურისათვის საშიშროებას

აღარ წარმოადგენდა, პირიქით მისთვის სასურველ შინაარსს იძენდა.

ცნობილია, რომ 1937 წლის 30 ივნისს კ. გამსახურდია ბეჭდავს ახალი რომანის – „ევროპა გალიაში“ – ფრაგმენტს, თუმცა ცოტა ხანში მწერალი ცვლის პოზიციას: იწყებს სრულიად ახალი ნაწარმოების წერას, 1938 წელს იბეჭდება ისტორიული რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ ნაწყვეტები. მკვლევარი ს. სიგუა ხაზგასმით მიანიშნებს ნაშრომში, რომ ამგვარი გარდასახვის მიზეზი უნდა გამხდარიყო შეცვლილი პოლიტიკური სიტუაცია, ი. სტალინმა 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე დიდ ტერორს დაუდო სათავე. ლ. ბერიამ კი კ. გამსახურდიას „ფაშისტური ელფერის ნაციონალისტი“ უწოდა. ისტორიაში გადანაცვლებით მწერალი ცდილობდა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას (სიგუა 1989:11). ერთი შეხედვით არასასურველი ცვლილებების მიუხედავად, მწერლისათვის ისტორია სათქმელის გამოხატვის მნიშვნელოვან ფორმად იქცა: „ეს დიდი ხნის ოცნებაა ჩემი: ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოვუყენო რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე ვუნოდე „ქართლის ცხოვრებას“ (გამსახურდია 1960: 716). ისტორია კ. გამსახურდიასათვის იმდენად იყო საინტერესო, რამდენადაც დაკავშირებული იყო თანამედროვეობასთან. ისტორიული ეპოქის ასახვას ის არქეოლოგიურ დატვირთვას არ ანიჭებდა: „ისტორიის მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობისათვის რეზონი, როცა თვით ალებული ეპოქა, ან მისი გმირნი და მათი ხასიათი ეკორესპონდირება თანადროულობის იდეებს“ (გამსახურდია 1985:53). ამდენად, მის მიმართ საბჭოთა კრიტიკის მხრიდან წაყენებული ბრალდება ისტორიაში გადასახლების შესახებ, სრულიად უსაფუძვლო იყო (სიგუა 1989:11). უფრო მეტიც, ისტორიული ჩარჩოს გამოყენებით მწერალს საშუალება ეძლეოდა საკუთარი ეპოქის მწვავე პრობლემათიკა წარსულში გადაეტანა, რისი დეკოდირებაც გაცილებით უმტკივნეულო იქნებოდა, ვიდრე არსებული რეჟიმის ღიად გაპროტესტება.

ქართულ ლიტერატურაში ისტორიას მაგალითის მნიშვნელობა ჯერ კიდევ „თერგდალეულებმა“ მიანიჭეს. ბოლშევი-



კური ტირანიის დროს ისტორიული თემატიკა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა. ერთი მხრივ, კოლონიზებული საქართველოსთვის ის იყო სიამაყის წყარო. ე. სმითის კონცეფციით, დაპყრობილი ერები საკუთარ მძიმე რეალობას „ოქროს ხანის“ გახსენებით უმკლავდებიან. სიამაყისა და თავდაჯერების გარდა, ისტორიას მოაქვს მომავლისადმი რწმენა: სურვილი იმისა, რომ დიდებული წარსული განმეორდება (Smith 2013: 51). მეორე მხრივ, ისტორია ალევორიისა და შენიღბისათვის მეტ საშუალებას იძლეოდა, მწერალს შეეძლო საკუთარი პროტესტი და მოსაზრებები შეფარული გზით გადმოეცა და თავი დაეღწია ცენზურისა და კონიუნქტურისათვის. გარდა ამისა, იყო პერიოდები, როდესაც საბჭოთა ოფიციაში ებრძოდა ისტორიით გატაცებას, კ. გამსახურდიას ისტორიაში გადასახლებას და თანამედროვეობისაგან გაქცევას უსაყვედურებდნენ. თუმცა ამავე დროს, იგივე საბჭოთა ოფიციაში ხშირად ხელს უწყობდა ისტორიისადმი გაძლიერებულ ინტერესს, მიმართავდა მეხსიერების პოლიტიკას. წარსულიდან იმ ისტორიულ ფიგურებს უწევდა პროპაგანდას, ვინც მათ მიზნებს შეესაბამებოდა (მაგ.: გიორგი სააკაძე, რომლის პოპულარიზებასა და იდეალიზებას ხელი ი. სტალინმა შეუწყო). სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წარმოჩინებით დაინტერესებული იყვნენ ი. სტალინი და ლ. ბერია, რათა ხაზი გაესვათ იმ ფაქტისათვის, რომ უდიდესი კულტურისა და ისტორიის მქონე ერის წარმომადგენლები იყვნენ. ისტორია ხალხისათვის ხშირად არასასურველი რეალობიდან ყურადღების გადატანის საშუალებაც ხდებოდა (სიგუა 2003: 232; 301).

წარმოების ინტერპრეტაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპლიციტურ და იმპლიციტურ კოდებს: სათაურს, პროლოგს, ეპილოგს, დაწერის თარიღს, ქვეტიქსტს, პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ კონტექსტს და ა.შ. კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ამ მხრივ განსაკუთრებულად საინტერესო ტექსტია: სათაური, პროლოგი, ეპილოგი და წარმოების დაწერის

თარიღი მნიშვნელოვანი იმპლიციტური შინაარსის შემცველია. მასში გვხვდება ისეთი საინტერპრეტაციო კოდები, რომლებიც საბჭოთა კრიტიკისათვისაც ხელსაყრელ მასალას იძლეოდა და თანამედროვე მკითხველისთვისაც აშკარად ანტისაბჭოთა ტექსტის შთაბეჭდილებას ქმნის.

კ. გამსახურდიამ ისტორიული რომანის სათაურშივე ხაზი გაუსვა ხელოვანის დასჯის მომენტს, „დიდოსტატის მარჯვენა“ – ეს არის ამბავი ხელოვანისა, რომელიც დაისაჯა, მას მარჯვენა მოჰკვეთეს. როგორც ცნობილია, რომანის ფაბულა ლეგენდიდანაა აღებული. მეფე გიორგის I-ის ეპოქა მწერალმა წყაროების საფუძველზე, მაქსიმალური სიზუსტით აღადგინა, თუმცა ნაწარმოების მთავარი კონფლიქტი – დაპირისპირება მეფესა და ხუროთმოძღვარს შორის – გამოგონილია. საინტერესოა რატომ დასჭირდა ავტორს რეალისტური კონვენციებით შექმნილ ისტორიულ რომანში ფიქციური ამბის გარშემო სიუჟეტის განვითარება? მით უფრო, რომ ეს ამბავი მკითხველს გიორგი I-ის ეპოქისადმი ნეგატიურად განაწყობს. არსაკიდის ხელის მოკვეთასა და მემამბოხე ერისთავის დასჯას თანაბარ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს მკითხველი. კოლონკელიძის დასჯის შემთხვევაში ავტორი ხელმძღვანელობს შუასაუკუნეებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით. მეფეები მემამბოხე ფეოდალებს სასტიკად უსწორდებოდნენ, მსგავსი ფაქტები ბევრია, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიაში. სვეტიცხოვლის აგება კი მეფემ თავად დაავალა ხუროთმოძღვარს, მისი მშენებლობის დროს აქტიურად მონაწილეობდნენ მელქისედეკ კათალიკოსი და თავად მეფე, ამდენად არსაკიდეს დასჯა ცუდად აგებისათვის, უსაფუძველოა. აღნიშნულ ფაქტს ლეგენდების გარდა სხვა საფუძველი არ გააჩნია, უფრო მეტიც ისტორიულად სვეტიცხოვლის აგება დასრულებულა გიორგი I-ის სიკვდილის შემდეგ. აქედან გამომდინარე, მწერალმა ტექსტში საგანგებოდ შემოიტანა ფიქცია. რა მიზანდასულობა უნდა ჰქონოდა ავტორს, რომელსაც სურდა ქართლის ქრონიკების რომანებად ქცევა და საქართველოს ისტორიის დიდებულების ჩვენება, რასაც არაერთ სტატიაში პირდაპირ აღნიშნავს. საბჭოთა კრიტიკის თეზა თითქოს ავ-

ტორს შუასაუკუნეების ტირანიის ჩვენება სურდა, სიმართლეს არ შეესაბამება. მწერალი, რომელიც ვერ ურიგდებოდა საბჭოთა ოკუპაციას და ხშირად სიცოცხლის გადარჩენის მიზნით იძულებით დგამდა კომპრომისულ ნაბიჯებს (გავიხსენოთ მისი ბიოგრაფია, იხ. ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ. 2003), შუასაუკუნეების სიბნელის მხილებით ვერ შემოიფარგლებოდა. ამ შემთხვევაში საგულისხმოა რომანის შექმნის თარიღი – 1938-1939 წლები, ამ დროს მთელ საბჭოთა კავშირში უსასტიკესი რეპრესიები დაიწყო, 1937 წელი ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ თარიღადაა ცნობილი ქართველი ერის კოლექტიურ მესხიერებაში. თანამედროვე მკითხველისათვის ნაწარმოების შექმნის თარიღი გაცილებით მრავლისმეტყველია, ვიდრე საბჭოთა პერიოდის მკითხველისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლშევიკურ ტირანიაზე ღიად მსჯელობისას შესაძლებელი გახდა ერის მესხიერებაში არსებული ტრაგიკული თარიღის ხმამაღლა გაცხადება. ამდენად, ლეგენდებში მკრთალად მინიშნებული ფაბულის (რომელიც წყაროებში არ დასტურდება) საფუძველზე გამოგონილი კონფლიქტი და რომანის დაწერის თარიღი, ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს 1937 წლის რეპრესიებსა და ზოგადად საბჭოთა ეპოქაში ხელოვანის ბედზე.

„დიდოსტატის მარჯვენაზე“ მსჯელობისას შეუძლებელია მკვლევარმა ყურადღება რომანის პროლოგ-ეპილოგზე არ გადაიტანოს. მასში დევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კოდი, რომელსაც საბჭოთა კრიტიკა უნდა მიეზიდა. პროლოგში ვკითხულობთ: „მთელი საუკუნე აწვიმდა ტაძარს, ახალ დროშიაც კაცს არ მოჰგონებია მისი შეკეთება, მხოლოდ **საბჭოურმა ხელისუფლებამ, ვენაცვალე მას**, გადაახურვინა იგი წრეულს“ (გამსახურდია 1976:13). ექვთიმეს ეს სიტყვები საბჭოთა კონიუნქტურის გამოძახილია. რომანის ეპილოგში, სადაც „დიდოსტატის მარჯვენის“ ისტორიულ რეალიებზეა საუბარი, მწერალი ორ მნიშვნელოვან და ყველაზე ცნობილ საინტერპრეტაციო კოდებს გვთავაზობს: „ჩვენს დროში, **პრომის აპოლოგიის საუკუნეში**, შევასხი ხოტბა დიდი ხელოვანის ჯაფას და მის თავდადებას“ (გამსახურდია 1976:343). სწორედ

ამ თეზისმა შენიღბა და ორაზროვანი გახადა მწერლის შემდეგი მოსაზრებაც: „სათაურს უნდა დაუკვირდეს მკითხველი. მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამბავი, ე.ი. **განწირული ბედი დიდი ხელოვანისა ტირანულ სახელმწიფოში**“ (გამსახურდია 1976:343). აღნიშნული კოდებით მწერალმა თავად დაუდო სათავე ტექსტის იდეოლოგიზირებულ, საბჭოურ ინტერპრეტაციას, რითაც ტექსტი გადაარჩინა.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ანალიზის დროს, სწორედ ამ თეზისებზე დაყრდნობით საბჭოთა კრიტიკა შემოიფარაგლებოდა რამდენიმე თემაზე ყურადღების გამახვილებით, ესენია: შრომის აპოლოგია, შუასაუკუნეების ტირანია, მთავარი პერსონაჟების დახასიათება და ისტორიულ წყაროებთან მიმართება. რომანისადმი საბჭოთა კრიტიკის მიმართების ქრესტომათიული მაგალითია ბ. ჟღენტის სტატია, სადაც ისტორიული რომანის მთავარ იდეად გამოცხადებულია ხელოვანის დაპირისპირება ტირანიასთან: „არსაკიძის ცხოვრების ტრაგიკული ისტორია მომაკვდინებელი მხილებაა იმ ბნელი და სისხლიანი ტირანიისა, რომელმაც დაუნდობლად გაანადგურა სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული ეს დიდი პატრიოტი“ (ჟღენტი 1967: 65). კრიტიკოსი ამ შემთხვევაში არ ცდება, თუმცა რეალური საზრისი შებრუნებულია: თუ მწერალი გულისხმობს XX საუკუნის 30-იან წლებს, ბ. ჟღენტისათვის ტირანია გადატანილია მხოლოდ წარსულში. კრიტიკოსი სტატიაში არაერთგზის ხაზს უსვამს გიორგი I-ის ეპოქის „სისასტიკეს“, „სიბნელესა“ და „პირქუშობას“. ფიქციურად თუ მივუდგებით, თანამედროვე მკითხველი უკვე ამ სტატიასაც აღიქვამს პირუკუ, ყველაფერი სწორია გარდა ეპოქისა, იმ შემთხვევაში თუ ბ. ჟღენტის სტატიაში XI საუკუნის ნაცვლად XX საუკუნეს ვიგულისხმებთ, ხოლო გიორგი I-ის მაგივრად სტალინს, მაშინ არსაკიძის ადგილას აღმოჩნდებიან XX საუკუნის 30-იანი წლების ტირანიას შეწირული ხელოვანები. ამის ნაცვლად, ბ. ჟღენტი მწერლის დროინდელ თანამედროვე რეალობას რომანში აღწერილ ეპოქასათან შემდეგნაირად აკავშირებს: „ადამიანის შრომითი გმირობის და შემოქმედებითი გენიის მადიდებელი ეს მოტივი, რასაკვირველია, ცხოველ

გამოძახილს პოულობს ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში“ (ყლენტი 1967: 59). ამგვარ პათოსს სხვა კრიტიკოსებიც იზიარებენ: „კონსტანტინე გამსახურდიასათვის იდეალი კი არ არის „დიდოსტატის მარჯვენაში“ მოცემული დრო, არამედ მას სურს გვაჩვენოს, თუ როგორ სჭკნებოდა ნაადრევი აღორძინების უმშვენიერესი იდეალები ქრისტიანული სქოლასტიკების ხელში, თუ რამდენი სისხლი და ცრემლი დაიღვარა“ (ბენაშვილი 1962: 60). კრიტიკაში დამკვიდრებული ინტერპრეტაცია უცვლელად მეორდებოდა სასკოლო მეთოდურ ლიტერატურაშიც, რომელიც სკოლაში „დიდოსტატის მარჯვენის“ სწავლებას ეძღვნებოდა: „ტირანულმა წყობილებამ შეინირა დიდოსტატი არსაკიძე, მაგრამ დარჩა სვეტიცხოველი“ (მჭედლიძე 1974: 77). ამგვარად ანტისაბჭოთა ტექსტი „გადაიქცა“ „საბჭოური „შრომის“ აპოლოგიად“. დროთა განმავლობაში დამკვიდრდა რომანის ინტერპრეტაციის კლიშეები, რომელებიც მხოლოდ პოსტსაბჭოთა რეალობაში შეიცვალა.

90-იანი წლებიდან მკვლევრები და კრიტიკოსები ნაწარმოებისათვის ავთენტური ქვეტექსტის დაბრუნებას ცდილობენ. საბჭოთა დიქტატურის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა ნაწარმოების პოლიტიკურ კონტექსტზე მსჯელობა, შესაბამისად რომანის რეცეფცია შეიცვალა. „დიდოსტატის მარჯვენა“ უკვე აღიქვეს, როგორც: „1937 წლის ტრაგედიის ალეგორიული გადატანა შორეულ წარსულში“ (სიგუა 2003: 255). არსაკიძე იქცა 1937 წელს რეპრესირებული ადამიანების სიმბოლოდ (ჭანია 1997:125-133). რომანი 1939 წელს დაინერა, საგულისხმოა ნაწარმოების შექმნის თარიღი და პოლიტიკური კონტექსტი. კ. გამსახურდიას ბიოგრაფიიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ნაწარმოების პოსტსაბჭოური რეცეფცია გაცილებით სარწმუნოა, რაზეც ტექსტში არსებული ექსპლიციტური და იმპლიციტური კოდები გვარწმუნებს.

საბჭოთა კრიტიკაში არსებული რეცეფცია, როგორც ვხედავთ, რომანის ეპილოგიდან იღებს სათავეს. ავტორმა შეცდომაში შეიყვანა საბჭოთა კრიტიკა, რითაც ტექსტს არსებობის საშუალება შეუქმნა, ხოლო მკითხველთა იმ წრეს,

რომელიც იმპლიციტური კოდების დეკოდირებას შეძლებდა, საკუთარი სათქმელი გადასცა. ამით შესაძლებელი გახდა ავტორის, ტექსტისა და მკითხველს შორის შემდგარიყო შენიღბული კომუნიკაცია. კ. გამსახურდიას პუბლიცისტიკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, გასაგები გახდება ისტორიული რომანისათვის დართული პროლოგისა და ეპილოგის ფუნქცია: მწერალი, რომელიც ხშირად თეორეტიკოსად გვევლინება, საგანგებო მნიშვნელობას მიანიჭებდა ნაწარმოების ამ მონაკვეთებს. მასში დევს რომანის ინტერპრეტაციისათვის საჭირო გასაღები. გარდა ამისა, კ. გამსახურდიას მწერლურ სტილზე მსჯელობის დროს მკვლევრები ხაზს უსვამენ ავტორისეული თხრობის ხშირ გამოყენებაზე, ავტორის რემარკებზე. ავტორისეული თხრობა კ. გამსახურდიას შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. (კიკაჩიშვილი 1982: 162) (სიგუა 1989: 67). „დიდოსტატის მარჯვენაც“ ამ მხრივ არ არის გამონაკლისი, რაც ნაწარმოების პროლოგსა და ეპილოგში კარგად გამოიკვეთა (გამოცემათა დიდ ნაწილს დართული აქვს მწერლის ბოლოსიტყვა, რომელშიც ნაწარმოების მთავარ იდეაზეა საუბარი).

მწერლის თანამედროვეობასთან მიმართების გარდა, „დიდოსტატის მარჯვენა“ მრავალი თვალსაზრით საინტერესო რომანია, მასში საინტერესოდ ერწყმის ისტორია და ლიტერატურული ფიქცია. „დიდოსტატის მარჯვენაში“ კ. გამსახურდიამ, გარკვეული მიზანდასახულების მიღწევის მიზნით, ფაქტების გადანაცვლებასაც მიმართა. ცნობილია, რომ ფხოველთა აჯანყება, რითაც რომანი იწყება, გიორგი I-ის ეპოქაში არ მომხდარა. ამ ეპიზოდზე არაერთი კრიტიკოსი ამახვილებს ყურადღებას, კ. გამსახურდიამ თამარ მეფის ეპოქაში მომხდარი აჯანყება გიორგი I-ის მეფობის დროს გადაიტანა შეგნებულად, ვინაიდან შინააშლილობა და მთიანეთის ურჩობა უცხო არც წინა საუკუნეებში ყოფილა. ამ შემთხვევაში მწერალი ეპოქის ზოგად განწყობას მიჰყვება და ფიქციის შეტანის დროსაც ამ პრინციპით სარგებლობს (გამსახურდია 1985: 421). გარდა ამისა, რომანის ცენტრალური ამბავი — სვეტიცხოვლის აგების ისტორია — მთლიანად გიორგი I-ის ეპო-

ქაშია გადატანილი, ისტორიულად კი სვეტიცხოვლის აგება დაიწყო ბაგრატ III-ის მეფობისას, მთავარი სამუშაოები ჩატარდა გიორგი I-ის მეფობის პერიოდში და დასრულდა მისი გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ IV-ის დროს. აღნიშნულ ისტორიულ გადანაცვლებას ავტორი შეგნებულად მიმართავს. ვფიქრობთ, ამის მიზეზი გიორგი I-ის მიღწევათა გაზვიადება არ უნდა ყოფილიყო, ამით მწერალი მკითხველის მეხსიერებაში მივიწყებული სახის აქტუალიზებას ცდილობდა.

კ. გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ მიეძღვნა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო ეპოქას, მეფე გიორგი I-ის (1014-1027) მოღვაწეობის პერიოდსა და სვეტიცხოვლის აგების ისტორიას. გიორგი I ერთიანი საქართველოს მეორე მეფეა, მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში, თუმცა კოლექტიურ მეხსიერებაში მისი სახელი არ დგას დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალისა და სხვათა გვერდით. წინა სტატიაში (რომელიც აღნიშნული კვლევითი პროექტის ბაზაზე განხორციელდა) ჩვენ ვიმსჯელებთ შ. დადიანის ისტორიულ რომანზე „უბედური რუსი“, რომელშიც თამარ მეფის სახე იდენტიურია ისტორიულ წყაროებსა და კოლექტიურ მეხსიერებაში არსებული სახის (ცხადია, მეფის ქალური ბუნების გამოკვეთა უკვე მწერლის პრეროგატივაა). ამის საპირისპიროდ, კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“, ისტორიულ წყაროებში არსებულ მასალაზე დაყრდნობით, გიორგი I-ის სახეს აცოცხლებს კოლექტიურ მეხსიერებაში. როგორც მწერალი რომანის პროლოგში აღნიშნავს: „ბაღლობიდანვე მიყვარდა და მაცოცხლებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებშია ეს შესანიშნავი რაინდი...“

ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი II, ბულგართმმუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აპენინის ნახევარკუნძულიდან ბასიანამდის... მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზან-



ტიისა, და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატინე უწოდებს „უშიშოს, ვითარცა უხორცოს“, ქართულ ქრონიკებში მხოლოდ ორიოდ გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გვირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მღულარება ჩემი სულისა“ (გამსახურდია 1976:342).

ისტორიულ რომანში ბოლშევიკური ტირანიის მხილების გვერდით, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირებას. ამის კარგი მაგალითია გიორგი I-ის ანტიბიზანტიურ განწყობა. ბიზანტიის ერთმორწმუნეობის ხაზგასმით ავტორი რუსეთის ალევორიას უქმნის მკითხველს, პარალელები იმდენად ბევრია, რომ მკითხველისათვის ექსპლიციტური კოდია და არ წარმოადგენს განსაკუთრებულად შენიღბულ ქვეტექსტს: „დედოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ჰხედავდნენ კეისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაესს არსებას, რომელიც ვითარცა რომის იმპერატორი და „პონტიფექს მაქსიმუმ“, მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამქვეყნად“ (გამსახურდია 1976:133). ხოლო გიორგი I-ის შეხედულება რადიკალურად განსხვავებულია: „საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, სჯული ებრაელებს მოპარეს, ენა – ძველბერძნებს, ბულგარელებს – ცეცინიუმი, სომხებს – ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არა სჭირიათ ჯერაც“ (გამსახურდია 1976: 320). გიორგი მეფე შეურიგებელია ბიზანტიის მიმართ: „ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძალღობრივი ბასილი კეისარი... ნუთუ ამას ვერ ჰხედავს დაბრმავებული მელქისედეკი? აღარც მარიამ დედოფალს ესმის ეს საფრთხე?“ (გამსახურდია 1976: 134-135). ანტიბიზანტიური განწყობა აქვთ რომანის სხვა პერსონაჟებსაც, აჯანყებული მამამზე ერისთავი ამბობს: „არ გვინდა ქრისტეს ჯვარი, არ გვინდა მეფე გიორგი, არც ზვიად სპასალარი, არც მელქი-

სედეკ კათალიკოსი, მცხეთა და უფლისციხე ისეთივე ბუდეა გულარძნილობისა, როგორც ბიზანტიონი.

ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმოთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ, წინაპართა ჩვენი სალოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხატები და ჯვრები შემოგვაჩერეს ხელში.

ბერძნებს ეს სნაღიათ, ჩვენი ენა დაგვაფინყონ და თავიანთი შემოგვაჩერონ პირში, ჩვენი წარსული დავიფინყოთ და მათი შევისწავლოთ. ჩვენი სამოსი შემოგვძარცონ, მათი ჩავიცვათ, თუ ჩვენი კერპები ვახსენეთ და მათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: „მკრეხელი, მწვალელებელი და მსტოვარი“ (გამსახურდია 1976: 65-66).

რომანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერთმორწმუნე ბიზანტიის მტრის ხატს. ვფიქრობთ ეს ალევორია ქართველი მკითხველისათვის გასაგებია. რომანის დანერის თარიღი ემთხვევა რუსეთის ამკარა და ორმხრივი აგრესიის ეპოქას: ერთი მხრივ, საქართველოს გასაბჭოებასა და ბოლშევიკურ ტერორს და მეორე მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოს დეფაქტო კოლონიზებას. 30-იანი წლების უსასტიკესი რეპრესიების დროს, ძლიერი საქართველოს ჩვენებითა და ანტიბიზანტიური განწყობის რომანის შექმნით, მწერალი უპირისპირდებოდა ქართველი ერის პესიმისტურ განწყობას და მომავლის იმედს უწერგავდა, რაც არსებითად ჯდება „ოქროს ხანის“ კონცეფციაში.

გიორგი I-ის პერსონაჟთან არის ასევე დაკავშირებული კოლექტიურ მეხსიერებაში შემორჩენილი მონოლოგი, რითაც კარგად ჩანს, რომ მწერალი „დიდოსტატის მარჯვენაში“ საქართველოს წარსულის იდეალიზებითა და ანტიკოლონიური იდენტობის შექმნით არ შემოიფარგლება, აღსანიშნავია რომ ძლიერი საქართველოს ჩვენების გარდა, მწერალი ქართველი ერის უარყოფითი თვისებების მხილებასაც არ ერიდება. საკუთარი ერისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამომჟღავნების ტრადიცია უცხო არ არის ქართულ ლიტერატურაში, ამისათვის ილია ჭავჭავაძის მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების გახსენებაც საკმარისია. „დიდოსტატის მარჯვენის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მეფე გიორგი I-ის

მონოლოგი სასკოლო პრაქტიკებიდან საყოველთაოდ ცნობილია: „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს. განა თუ სხვისი, საკუთარი თავის. თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვრებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს“ (გამსახურდია 1976: 334). ამ მონოლოგში ბევრი ისეთი უარყოფითი თვისებაა ხაზგასმული, რომელიც დღევანდელი მკითხველისთვისაც საინტერესო და აქტუალურია: „დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა. ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა“ (გამსახურდია 1976: 335). საბჭოთა რუსეთის მაღალ ჩინოსნების საქართველოში სტუმრობა-მასპინძლობას თუ გავიხსენებთ, შემდეგი პასაჟიც საყურადღებოა: „მუდამ ბიზანტიელებს ეგებებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი – გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი – ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, პიპა, ამიტომაც მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს“, ხოლო საუკეთესო ცერცვსაც „ბერძნულს“ (გამსახურდია 1976: 335). გიორგი I-ის მონოლოგში ფოკუსირებულია ის თვისებები, რომლებიც ქართველი ერის კონსოლიდაციასა და ანტიკოლონიური იდენტობის შექმნას უშლის ხელს.

ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია სვეტიცხოვლის ტაძრის აგების ისტორია. „დიდოსტატის მარჯვენის“ ცენტრალური კონფლიქტი – დიდოსტატის დასჯა – დაკავშირებულია სვეტიცხოვლის ტაძართან. ამ ძეგლს რომანში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, ტექსტის ძირითადი ნაწილი მისი მშენებლობის პერიოდს ეძღვნება. პერსონაჟთა ცხოვრებაც და ფიქრებიც სწორედ მის

გარშემოა ფოკუსირებული. რომანის ნარატიული სტრუქტურა საინტერესოა აგებული: ნაწარმოების სიუჟეტი სვეტიცხოვლის აგების იდეას უკავშირდება. ხუროთმოძღვარი არსაკიძე სვეტიცხოველს აშენებს, მისი შურს ფარსამან სპარს, რომლის პროვოცირებითაც ისჯება ტაძრის ამგები. ტაძრის მშენებლობაში ჩართულია მელქისედეკ კათალიკოსი, მშენებლობისა და ხუროთმოძღვრის კანდიდატის იდეა ეკუთვნის გიორგი მეფეს. არსაკიძე გაორებულია, მთელ ძალისხმევას უკვდავი ძეგლის აგებას ანდომებს, ხოლო შორენას სიყვარული იზრდილება. შორენა ეჭვიანობს ტაძარზე, ხოლო გიორგი მეფე – უცნობ ხუროთმოძღვარზე, რომელიც სწორედ სვეტიცხოვლის შემდეგ ხდება ცნობილი. სვეტიცხოვლის მშენებლობასთან ერთად იხლართება რომანის მთავარ პერსონაჟთა ბედიც.

ისტორიულ რომანში სვეტიცხოვლის მნიშვნელობას არსაკიძის ფიქრები და შინაგანი მონოლოგებიც უსვამს ხაზს: „ნისლში ჩაფლულ სასახლეებს, ციხეებს და ფანჩატურებს, ყველას ზედ დასცქეროდა სვეტიცხოველი. ნისლს ვერ დაეთრგუნა მისი უცნაური ტანკენარობა და ისეთ წუთებში, როცა შენობებსა და ხეებს, კაცსა და ცხოველს, ყვავილსა და ფოთოლს, ყველას გასცლოდა პირველადი მშვენება და ხალისი, იდგა ეს ტაძარი უფრო დიდებული, ვიდრე ნამდვილად იყო ამ წუთში... ჟამის მანძილიდან შესცქეროდა გახარებული ოსტატი თავის ქმნილებას. „როცა ყველაფერს ნვიმა წარხოცავს, როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, სვეტიცხოველი შეიმატებს დიდებას კიდევაც“ (გამსახურდია 1976: 190).

სვეტიცხოველს რომანში ცენტრალური ადგილი უკავია, სწორედ მის გარშემო ტრიალებს ნაწარმოების ყველა ეპიზოდი და ინტრიგა. პროლოგში მის დიდებულებას შემდეგნაირად გადმოგვცემს ავტორმთხრობელი: „ამ ტაძრისათვის თვალის შეკლება ყოველ დროში სანუკველია; დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა. ჩემთვის საკმარისია ოდნავ,

ოდნავ მაინც მოვკრა თვალი ცაში ატყორცნილ სიმფონიას ლოდებისას“ (გამსახურდია 1976: 9). სვეტიცხოვლის სილიადე ხუროთმოძღვარ არსაკიძის შინაგან ბრძოლაშიც კარგად ჩანს. დაპირისპირება საყვარელ ქმნილებასა და ქალს შორის ქმნის ნაწარმოების განვითარების სქემას: „ბოლოს დარწმუნდა არსაკიძე მომიხდებო სიცოცხლის დათმობა. ნაღვლობდა ოსტატი ფრიად, დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი.

მთელი სიცოცხლე სხვის ქვეყნებში ყიალსა და უსაზმნო შრომაში დალია, ცხრაკარსა და ითვალისში აგებული ორიოდე ეკლესია უკვდავებას ვერ მოუხვეჭდა მის სახელს...

სვეტიცხოველი იყო მისი სიჭაბუკის, მამაკაცობის უსაჩინოესი ქმნილება, საქართველოს გულში აგებული საჩინო ადგილზე.

რამდენი შრომა და ტანჯვა შეაღია ამ დიდ ქმნილებას და ახლა სიკვდილს უნდა გადაეჭრა გზა“ (გამსახურდია 1976: 198).

სვეტიცხოველი მნიშვნელოვანი ნიშანია ქართველი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში, რასაც კვართის დაფლვის საკრალ-იზებული გადმოცემა ამყარებს. საუკუნეების განმავლობაში იყო ქვეყნის რელიგიური ცენტრი: აქ იყო კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია, ხდებოდა ეკლესიის მეთაურთა კურთხევა, მეფეთა ჯვრისწერა, უფლისწულთა ნათლობა, მეფეების, დედოფლების, უფლისწულებისა და კათოლიკოს-პატრიარქთა დაკრძალვა. სვეტიცხოველს არაერთი ლექსი მიეძღვნა, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენამ“ კიდევ უფრო მასშტაბური და გრანდიოზული სახე მისცა მის გარშემო არსებულ თქმულებებსა და ისტორიას. თანამედროვე საქართველოში სვეტიცხოვლის ტაძარი კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილია და ამ მონუმენტის მიღმა მრავალსაუკუნოვანი ისტორია დგას, რომელიც ცოცხალია ერის კოლექტიურ მეხსიერებაში. რომანში მოზრდილი პასაჟები ეთმობა ტაძრის მშენებლობის პროცესს, სვეტიცხოვლის სემანტიკიდან გამომდინარე, მას მკითხველისათვის მომავალი პერსპექტივის, აღმშენებლობის, „ოქროს ხანის“ საქართველოს ასოციაცია უნდა შეექმნა. ერის კოლექტიურ მეხსიერებაში სვეტიცხოვლის ხატის აქტუალი-

ზებას დიქტატურისა და კოლონიური ჩაგვრის დროს, ჩაგრული ერისათვის მომავლის იმედი უნდა მიეცა.

„დიდოსტატის მარჯვენას“ ანალიზის დროს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოყოფდნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა პერსონაჟთა დახასიათება, ფიქციონალური პერსონაჟები, ისტორიული გმირები, ასევე საბჭოთა კრიტიკისათვის საინტერესო თემა: ქალთა სახეები (ქალთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“ და არაერთ ნაწარმოებში). „დიდოსტატის მარჯვენაში“ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ხდებოდა შორენა კოლონკელიძის სახე, რომელიც ქალის იდეალადაც ცხადდებოდა: „გარეგანი მშვენიერებით და სულიერი რაინდობით დაჯილდოებულ ქალთა მხატვრული სახეებით მდიდარ ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე ლიტერატურაში ეს სახე იშვიათი ადამიანური მომხიბვლელობით, კდემამოსილებით, ლირიულობით გამოირჩევა (ჟღენტი 1967: 71). სასკოლო პროგრამებშიც აქტუალური იყო შორენას სახის დაკავშირება ქართული კლასიკური მწერლობის პერსონაჟ ქალებთან. შორენას თვისებები მკითხველს მართლაც უქმნის მსგავს ასოციაციებს: „შეხედა შორენას, შეუძლებელი იყო რაიმე მზაკვრობა ხლებოდა ამ მშვენიერ, შეურყვინელ თვალებს. ეს იყო, მის მზერაში გიორგიმ დაიჭირა ის ველური დარცხვენისობა, რომელიც ირმის ნუკრების გამოხედვაში შენიშნა წელან“ (გამსახურდია 1976: 81). „ჩვეულებრივი აზნაურის ასული არ გეგონოს შორენა, ვაჟკაცი, მონადირე ქალია იგი“ (გამსახურდია 1976: 151). შორენა კოლონკელიძის სიმშვენიერეს უპირისპირდება ვარდისახარის ვულგარული სილამაზე, ცნობილი დაპირისპირება: თინათინი/ნესტან-დარეჯანი vs. ფატმანი: „გაიფიქრა არსაკიდემ და წარმოუდგა მარჩბივი ჩვენება: ვარდისახარი ამოუდგა შორენას გვერდით. ისკისა, ტიკტიკა, ფეროვანი, ჭარბვნებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული... მხოლოდ ვნებისათვის, მხოლოდ სარეცელისათვის გაჩენილა ეს აშარი დიაცი...“

როცა შორენა და ვარდისახარი პირისპირ წარსდგნენ არსაკიდის წარმოდგენაში, ოვსთა ხარჭაყოფილი კოლონკელიძის ქალმა დაჩრდილა ანაზდად...

ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცვისის მჭმუნვარე ანგელოსი.

ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრიალა, როგორც ვერცხლის ეფვნები, ხვეისბერების დროშის ბუნზე შებმულნი.

ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად“ (გამსახურდია 1976: 183-184). შორენას იდეალიზებული სახე ახლოსაა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებთან, განსაკუთრებით თინათინის სილამაზესა და სიბრძნესთან. უახლოვდება აგრეთვე თამარ მეფის იდეალიზებულ სახეს, რომელიც თამარ მეფეზე შექმნილი პოეზიიდან და ისტორიული წყაროებიდან იღებს სათავეს. აგრეთვე ბევრი პარალელის გაკლება შეიძლება შალვა დადიანის „უბედურ რუსში“ შექმნილ თამარის სახესთან.

ისტორიულ რომანში საინტერესო მიმართებაა ისტორიასა და ფიქციას შორის, მასში დაცულია ისტორიული ფანრის კონვენციები, თუმცა ისტორიული ფაქტების გადანაცვლების ტენდენცია, მთავარი პერიპეტეიების ფიქციონალობა მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მწერალს ნაწარმოებით თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე სურდა პასუხების გაცემა. წარსულის რეპრეზენტაციით ხდებოდა ტექსტის საზრისის კოდირება. ტექსტის შესახებ არსებული რეცეფციების ცვლილება მიგვანიშნებს პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებაში არსებული ღირებულებების გადაფასების პროცესზე. თუ საბჭოთა კრიტიკისათვის ავტორის მიერ დასმული საკითხი – ხელოვანის ბედისა ტირანულ სახელმწიფოში – შუასაუკუნეების ტირანიაზე მეტყველებდა დღეს ვითარება შეიცვალა: ეს პარადიგმა უკვე საბჭოთა რეპრესიების ალეგორიაა. რომანში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სვეტიცხოვლის აგების ისტორიას. საბჭოთა კრიტიკის მიერ შრომის აპოლოგიის თეზაში ჩადებული შინაარსის საპირისპიროდ, სვეტიცხოველი უნდა გამხდარიყო ძლიერების, შინაგან ძალთა მობილიზაციის, ეროვნული აღმშენებლობისა და შემოქმედებითი ენერჯის სიმბოლო. ამდენად, მწერლის დროინდელ ეპოქაში მას ბოლშევიკური ტირანიით დათრგუნული მკითხველისათვის უნდა მიეცა მომავლის იმედი, რაც არსებითად ჯდება ე. სმი-



თის „ოქროს ხანის“ კონცეფციაში. ისტორიული ნაწარმოები პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტიც ხდებოდა: ის ემსახურებოდა ანტიკოლონიური იდენტობის შექმნას.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. ბენაშვილი 1962: ბენაშვილი დ, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1962
2. გამსახურდია 1960: გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი, თბ. 1960
3. გამსახურდია 1976: გამსახურდია კ, თხზულებათა ანტომეული, თბ. 1976
4. გამსახურდია 1985: გამსახურდია კ, თხზულებათა ანტომეული, თბ. 1985
5. კანკავა 1969: კანკავა გ, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ. 1969
6. კიკაჩიშვილი 1982: კიკაჩიშვილი თ, კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა, თბ. 1982
7. მჭედლიძე 1974: მჭედლიძე ა. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის სწავლება სკოლაში. თბილისი, 1974
8. ჟღენტი 1967: ჟღენტი ბ, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1967
9. სიგუა 1989: სიგუა ს, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ. 1989
10. სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი. თბილისი, 2013
11. ჭანია 1997: ჭანია ლ, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, თბ. 1997
12. Smith 2013: Smith A. The Golden Age and National renewal. Myth an Nationalhood, 2013

## თავი IV

### კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ გავლენა კოლექტიურ მემსიერებაში დავით აღმაშენებლის კულტის ფორმირების პროცესზე

სტატიის კვლევის საგანია საბჭოთა დროის ისტორიული პროზა. ამ საკითხზე ვიმსჯელებთ კ. გამსახურდიას ტერალოგიის „დავით აღმაშენებლის“ მიხედვით. საბჭოთა პერიოდის ანტიკოლონიური და ანტისაბჭოური ისტორიული პროზის გააზრება აუცილებელია ნაციონალური იდენტობისა და კოლექტიური მემსიერების კონტექსტში, ვინაიდან, შექმნილი სოციოპოლიტიკური სიტუაციის გამო, ლიტერატურის, კერძოდ, ისტორიული პროზის სოციალური მნიშვნელობა გაიზარდა. ისტორიულმა პროზამ შექმნა კოლექტიური მემსიერება, რომელიც დღევანდელი საზოგადოებისთვისაც აქტუალურია.

ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მემსიერების კვლევები, ტერმინების ისტორიისა და მემსიერების გამიჯვნა. მემსიერების კვლევებში დაგროვილი კონცეფციებისა და ნაშრომების საფუძველზე, ჯ. ვერჩი მსჯელობს ისტორიისა და მემსიერების განსხვავებულ მახასიათებლებზე: ისტორია მეცნიერებაა, რომელიც მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სწავლობს წყაროებს და ცდილობს მაქსიმალურად მიუახლოვდეს წარსულის ობიექტურ სურათს. მემსიერება კი სუბიექტური ფენომენია. ისტორიისათვის, როგორც მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია არგუმენტაცია და დასაბუთება. ისტორიული მეცნიერება ვითარდება ახალი აღმოჩენებით, მასში ფასეულია ძველი ნარატივების რღვევა. მემსიერება, თავის მხრივ, მონილითურია, მას ახასიათებს სტრუქტურული მდგრადობა და ჰომოგენურობისკენ სწრაფვა (ვერჩი 2012: 141-143). კოლექტიური მემსიერება, რომელიც საზოგადოების მიერ გაზიარებული მემსიერებაა, სოციალურადაა განსაზღვრული (Halbwachs 1992:54). კოლექტიური მემსიერება ხშირად დაკავშირებულია ნაციონალურ იდენტობასთან. იმის

მიხედვით თუ რომელ ნარატივს იზიარებს საზოგადოება, შეიძლება განსაზღვროს თუ ვინ არის ის (ვერჩი 2012: 141-142). ერებს წარსულისადმი დამოკიდებულებაც განასხვავებს: ზოგი მუდმივად წარსულს იხსენებს, ზოგი კი უფრო გულგრილია მის მიმართ, რასაც სოციოკულტურული და ისტორიული ფაქტორები განსაზღვრავს (Karpagzov 2005:5-6).

ისტორიული რომანი, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, ეყრდნობა ისტორიას. მწერალი ეცნობა ისტორიულ წყაროებსა და ისტორიკოსთა ნაშრომებს და ფიქციონალობასთან სინთეზით ქმნის ისტორიულ ნაწარმოებს. ცხადია, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ რეალისტური კონვეციენტებით შექმნილ რომანს და არა თანამედროვე ფენტეზს ან ალტერნატიულ ისტორიებს. ისტორიული რომანი არ ისწრაფვის წარსულის ობიექტური სურათის აღდგენისაკენ, მისი მიზანია ეპოქის განწყობის შექმნა, ისტორიულად მომხდარ მოვლენებში ფიქციის შეტანა, ამდენად ის განეკუთვნება მეხსიერების სფეროს. კ. გამსახურდია ხშირად მსჯელობს ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობის სირთულეებზე (იხ. „დავით აღმაშენებლის“ 1975 წლის ბოლოსიტყვაობა). მკვლევრები მის ერთ-ერთ მიღწევად ისტორიისადმი მეცნიერულ მიდგომას ასახალებენ (იხ. სიგუა 1989), რაც სხვადასხვა ენოვანი წყაროების ზედმინევენით დეტალურ შესწავლაში გამოიხატება. ამის მიუხედავად, ისტორიული მასალისადმი მწერლის დამოკიდებულება, მეცნიერისაგან განსხვავებით, შემოქმედებითია. ის მკითხველის მეხსიერებაში ემოციურად აცოცხლებს ისტორიულ მოვლენას და ქმნის ფიქციურ ნარატივს, რითაც დასაბამს აძლევს კოლექტიურ მეხსიერებას. გარდა ამისა, ხშირად მწერალი ერთგულია კოლექტიურ მეხსიერებაში არსებული ხატებისა და შეხედულებების და თავადაც საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების მატარებელია, შესაბამისად მისი ნაწარმოები სოციუმში არსებულ ნარატივებს გადმოგვცემს. ამის გათვალისწინებით, საინტერესოა კონკრეტული ისტორიული რომანის კვლევა: ერთი მხრივ, მასში აისახება მწერლის თანამედროვე საზოგადოებაში არსებული ხედვა და, მეორე მხრივ, ის თა-

ვად ახდენს გავლენას ერის კოლექტიურ მეხსიერებაზე და თავადვე უწყობს ხელს მეხსიერების ფორმირებას.

კ. გამსახურდიამ „დავით აღმაშენებელზე“ მუშაობას სამი ათეული წელი დაუთმო, ტეტრალოგიის პირველი წიგნი გამოვიდა 1942 წელს, ხოლო რომანი საბოლოოდ დასრულდა 1965 წელს. ნაწარმოების შექმნას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. მთელი ეს ხანგრძლივი პერიოდი დაემთხვა საბჭოურ-კოლონიური სისტემის ეპოქას. საბჭოთა ლიტერატურაზე მსჯელობის დროს, მკვლევარი ბ. წიფურია აღნიშნავს, რომ ლიტერატურა იქცა ანტისაბჭოთა და ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირების ადგილად. პირდაპირი დაპირისპირების შეუძლებლობის გამო, მწერლები სწორედ ლიტერატურულ ტექსტებში გამოხატავდნენ ალევორიულად თავიანთ პროტესტს (წიფურია 2010: 239-241). სახელმწიფოებრიობის არარსებობის დროს, ლიტერატურასა და ხელოვნებას განსაკუთრებული ფუნქცია მიენიჭა: ის იყო ნაციონალური იდენტობის ფორმირების საშუალება (წიფურია 2010: 240). (ლიტერატურა ნაციონალური იდენტობისა და კოლექტიური მეხსიერების მედია გახდა XIX საუკუნის კოლონიზებულ საქართველოშიც). მეორე მხრივ, საბჭოთა ოფიციალიზმს დაინტერესებული იყო ლიტერატურა ექცია იდეოლოგიური პროპაგანდის ნაწილად. კ. ჩარკვიანი აღნიშნავდა: „ესთეტიკური ხელოვნების ნაწარმოები, ფილმი ხალხის იდეური და ესთეტიკური აღზრდის იარაღია“ (ჩარკვიანი 2004: 177). თურა სახის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაზე საუბარი ადვილი წარმოსადგენია თუ გავითვალისწინებთ კონკრეტული ნაწარმოებების შეცვლის ტენდენციას ოფიციალური პირების მხრიდან (მაგ. გავიხსენოთ თუნდაც სტალინის როლი კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ სცენარის შექმნის დროს, იხ. ჩარკვიანი 2004). საბჭოთა ხელისუფლებაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მხატვრულ ლიტერატურას (გავიხსენოთ ლ. ბერიას საანგარიშო სიტყვა, ბერია 1938: იხ. „საარქივო მოამბე“, №10). ამ ფაქტორებმა განსაზღვრა ის, რომ ფიქციური ლიტერატურა გახდა უფრო მეტი, ვიდრე ხელოვნების დარგი. სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ბუნებრივია, ლიტ-

ერატურამ დაკარგა ამ მასშტაბის მნიშვნელობა, ნაციონალურ იდენტობასთან მისი იდენტიფიცირებაც შესუსტდა (ნიფურია 2010: 24). ხელისუფლებისათვის კი საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების სხვა საშუალებები გაჩნდა. თუმცა საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების, სტერეოტიპებისა და კოლექტიური მეხსიერების გენეზისის კვლევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის შესწავლას.

კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ ვრცელი ისტორიული რომანია, რომლის მიზანიც ქართველი ერის მიერ აღმაშენებლად წოდებული მეფის ცხოვრების აღწერაა. მწერალი ტეტრალოგიის IV წიგნში აღნიშნავს: „ყოველივე გმირობა, თუნდაც მეფეთა და უდიდესს სარდალთა, სავსებით ამაოა, თუ მათ ღირსეული მემატიანე და მეხოტბე არ აღმოაჩნდა“ (გამსახურდია 1975: 717). პუბლიცისტიკაში კი ისტორიისა და ისტორიული მოვლენის გამითების შესახებ წერს: „თუ რომელიმე ქართველ მეხრეს ან მწყემსს უფლება აქვს გაამითოს თამარის, დავითის ან ერეკლეს გმირული საქმეები, განა პოეტს არა აქვს ამის უფლება?“ (გამსახურდია 1985: 420).

კ. გამსახურდია, ჩვენი აზრით, გულისხმობდა მეხსიერების პოლიტიკას: ისტორიიდან იმ პიროვნებებსა და მოვლენებზე ყურადღების გამახვილებას, რომელთაც მნიშვნელობა ენიჭებათ ნაციონალური იდენტობის კონტექსტში. ამის შესახებ მწერალი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „თუ დავით აღმაშენებელი, ვარდან მამიკონიანი და ალექსანდრე ნეველი ისეთ მომენტებში უძლოდნენ თავიანთ ერებს, როცა ისინი სხვა ერების თავდასხმებისაგან იცავდნენ თავს, არ შეიძლება ამათ რანგზე დავაყენოთ ჯალალ-ედ-დინი, ჩინგის-ხანი, ნიკოლოზ პირველი და სხვა აგრესორები, რომელნიც თავისთავად დი-ახაც საინტერესონი არიან, მაგრამ არამც და არამც არ შეიძლება ამ უკანასკნელთა იდეალიზირება მწერლობაში და მათი აყვანა ნაციონალური ჰეროსის რანგზე“ (გამსახურდია 1985: 538). სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად მკვლევარ ს. სიგუას შეხედულებას, როცა აღნიშნავს: „ისტორია უნდა

ქცეულიყო ნაციონალურ ეპოსად... ამდენად არის „დავით აღმაშენებელი“ უფრო მეტი, ვიდრე რომანი“ (სიგუა 2003: 300).

საბჭოთა პერიოდის ისტორიულ პროზაზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია მეხსიერების პოლიტიკის როლის გააზრება. საბჭოური და კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილი მწერლები და რეჟიმის შემქმნელი ხელისუფლება თანაბრად იყო დაინტერესებული მეხსიერების პოლიტიკით: ანმყოს ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველი ისტორიული ფიგურებისა და მოვლენების გაცოცხლება-აქტუალიზებით (სტალინის მიერ შექმნილ სააკადის კულტზე ჩვენ ვიმსჯელებთ ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში, იხ. „გიორგი სააკადის პოლარიზებული სახე კოლექტიურ მეხსიერებაში და ვ. ბარნოვისა და ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომანები, ჟურ. „ცივილიზაციური ძიებანი“, თბ. №11, გვ. 33-45). ანტიკოლონიური იდენტობის შემქმნელი ავტორები კი იყენებდნენ „ოქროს ხანის“ კონცეპტს (იხ. ამავე პროექტის მეორე სტატია „თამარ მეფის ეპოქა, როგორც ოქროს ხანის ხატი კოლექტიურ მეხსიერებაში – შალვა დადიანის ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ მიხედვით“, ჟურ. „კულტურათათმცოდნეობის კომუნიკაციები“, თბ. №23, გვ. 59-68), რომლის ფუნქციაც ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირებისას კარგადაა გააზრებული ე. სმითის მიერ. „ოქროს ხანის“ მითის თანახმად, კოლონიზებული ერები იხსენებენ წარსულ დიდებას და მასთან იდენტიფიცირებით ცდილობენ კოლონიზატორთან დაპირისპირებას (Smith 2013: 48).

ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელს“ წინ უძღოდა კინოსცენარი, რომელიც, როგორც ცნობილია, ცეკას წინადადებით დაიწერა. 1939 წელს მწერალმა კინოსტუდიაში წარადგინა დავით აღმაშენებლის ცხოვრებაზე შექმნილი სცენარი, თუმცა ის არ დაამტკიცეს. მოგვიანებით მოიწონეს ა. ანტონოვსკაიას „გიორგი სააკადი“ (სიგუა 2003: 251). როგორც ჩანს, იდეოლოგიზირებული პროპაგანდისათვის უფრო სასურველ მასალას იძლეოდა გიორგი სააკადის თემა. კ. გამსახურდიამ კი სცენარი ვრცელ ისტორიულ რომანად აქცია. თუმცა მის რომანს ინტერესი არ მოჰკლებია II მსოფლიო ომის პერიოდში. წი-

ნაპართა მაგალითები, ბრძოლისათვის თავგანწირვის იდეები კარგად გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლებამ. ე.წ. სამამულო ომის დროს შემთხვევითი არ იყო საბრძოლო-პატრიოტული თემებით მანიპულაცია, სტალინმა საგანგებოდ წააქეზა საბჭოთა მოსახლეობის პატრიოტული გრძნობები. ტეტრალოგიის I წიგნი 1942 წელს გამოვიდა. კრიტიკა დადებითად შეხვდა ისტორიულ რომანს და ის მეორე მსოფლიო ომს დაუკავშირა: „ტეტრალოგიის პირველი ორი წიგნი დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა და ისინი ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ ფაშიზმის სისხლიანი ურდოებისაგან ჩვენი სამშობლოს თავისუფლების დასაცავად თავგანწირულად მებრძოლი საბჭოთა ხალხის სულიერ სამყაროში“ (ყლენტი 1967: 72). სხვაგან ვკითხულობთ: „ტეტრალოგია „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი გამოვიდა დიდი სამამულო ომის დღეებში 1942 წელს. ეს წიგნი შემცველი იყო არა მარტო უმნიშვნელოვანესი იდეურ-მხატვრული ღირებულებებისა, არამედ ის ინარჩუნებდა უაღრესად აქტუალურ საბრძოლო მნიშვნელობასაც. სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს მწერალი მოაგონებდა წინაპართა პატრიოტულ თავდადებას, შთააგონებდა დამპყრობელთადმი სიძულვილს, უწერგავდა საკუთარი ძალების რწმენას“ (შუშანია 1976: 142).

ისტორიულად დავით აღმაშენებლის ცხოვრება საქართველოს შიდა და გარე მტრებთან გამუდმებული ბრძოლების დიდი ეპოპეაა, ტეტრალოგიაშიც შენარჩუნებულია ეს ხაზი. დიდი ადგილი ეთმობა სელჩუკთა მძლავრ იმპერიაში მიმდინარე მოვლენების დეტალურ აღწერას. ამ ფონზე კიდევ უფრო დრამატული ჩანს დავითის ლაშქრობები. ჯ. ვერჩი ისტორიული ნარატივების სახეების ანალიზის დროს მსჯელობს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარატივის ნიმუშზე, რომელსაც „გარეშე-მტრის-განდევნის“ ნარატივს უწოდებს. ნარატივი სქემატურად შემდეგი სახისაა: 1) „თავდაპირველი სიტუაცია“ – ქვეყანაში მშვიდობაა; 2) „უბედურება“ – ქვეყანას მოულოდნელად მტერი შემოესევს; 3) ქვეყანა დამარცხებულია, მტერი ცდილობს მის მოსპობას; 4) ქვეყანა ყოველგვარი გასაჭირის მიუხედავად გმირულად უმკლავდება მტერს და ამარცხებს



მას (ვერჩი 2012: 143-144). თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიას, ნარატივის ეს ნიმუში ძალიან კარგად ასახავს ჩვენი ქვეყნის ბრძოლას გარეშე მტრებთან. საინტერესოა „დავით აღმაშენებლის“ გააზრება ამ ნარატივის მიხედვით. ტეტრალოგიის დასაწყისში დავითი უფლისწულია, ქვეყანას აკისრია სელჩუკების გადასახადი და გიორგი II-ს უჭირს გარეშე და შინაურ მტერთან გამკლავება. ქვეყანას გამოვლილი აქვს სელჩუკთა დარბევები. კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი ამ შემთხვევაში იწყება მესამე პუნქტით, პირველი-მეორე პუნქტი კი მკითხველისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებიდან და კოლექტიური მეხსიერებიდანაა ცნობილია. დავითი ცდილობს ქვეყანა ფეხზე დააყენოს, ამარცხებს განდგომილ ფეოდალებს და ემზადება გარეშე მტრის დასამარცხებლად. ფაქტობრივად, ისტორიული რომანის დიდი ნაწილი მეოთხე პუნქტისათვის მზადების პროცესს ასახავს: დავითის გეგმაზომიერ ნაბიჯებს, პირადი ცხოვრების უგულვებელყოფას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ემუქრება ამ მიზნის აღსრულებას. რომანის ფინალში მეფე ზედიზედ იმარჯვებს და ამარცხებს დამპყრობლებს.

ტეტრალოგიაში სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, მნიშვნელოვანია დავით მეფის ანტიბიზანტიური განწყობა. იმ დროისათვის ბიზანტიის იმპერია ჯვაროსნებისა და სელჩუკებისაგან იყო დასუსტებული. მათ აღარ შესწევდათ ძალა გამოსულიყვნენ დავითის მოკავშირედ სელჩუკთა წინააღმდეგ. დავით მეფე მხოლოდ უფლისწულობისა და მეფობის დასაწყისში ატარებდა ბიზანტიურ ტიტულებს (ანჩაბაძე...1979: 172). ტეტრალოგიის მიხედვით, გიორგი მეფეს არ სწამს დავითის სამხედრო მისწრაფებების და ბიზანტიის იმპერიას შეჰყურებს იმედის თვალთ, მას სიძეებისა და დისშვილის იმედი აქვს: „რაიცა შეეხება გიორგი მეფის მიერ უკანასკნელ ხანს აკვირებულ „სიძეების იმედს“, დავითის თვალში ეს იმას მოწმობდა, რომ მამამისს არა სჯეროდა მისი ვაჟის ძალმოსილება და როგორც ქართველ დიდაზნაურთა შორის, ისე სამღვდელთა წრეში, ვისაც არა სწამდა რომ დავით მეფე საქართველოს წყლულებს უაქიმებდა და მის მტრებს დათრგუნავდა, ყველა

გულისფანცქალით იცქირებოდა კონსტანტინეპოლისკენ, რაკი ბაგრატიოვანმა მეფემ ვერ გაართვა ქვეყნის მართვას თავი, ეგებ ნახევრად ბაგრატიოვანმა იხსნასო მამული.

იგიც კარგად იცოდა ჭაბუკმა მეფემ, რომ ერთ დროს ბაგრატიოვანთა „სამაყო სიძეებს“: მიხაილ დუკას და ნიკიფორე ბოტანაიტესს ხელთეპყრათ ბიზანტიის იმპერიის სკიპტრა და ლაშქარი, თავათ მამიდა მარიამიც ენერგიულად ერეოდა ბიზანტიის პოლიტიკაში, იოანე მაგისტრიც ხელს ურევდა ბუკოლეონის სასახლის საქმეებში, მიუხედავად ამისა სელჯუკიანებმა მაინც შესძლეს საქართველოს იავარყოფა.

დავითს ადრევე მინიშნებული ჰქონდა ერთი ჭეშმარიტებაც: სხვისი დახმარების შემეყურე, ყველაზე ნაკლებად რომ ეხმარება თავის თავს“ (გამსახურდია 1974: 493).

რომანში ხშირად ჩანს დავითის მიმართ უნდობლობა: „მთელი საქრისტიანოს გაერთიანების“ ილღოუზიებით აღტკინებულ დიდაზნაურთა თვალში სასაცილოდ მოსჩანდა შუაში გაპობილი საქართველოს ჭაბუკი მეფის ქადილი სელჯუკიანთათვის ტფილისის წაგლეჯისა და დიდი საქართველოს კვლავ აღდგენის გამო“ (გამსახურდია 1975: 55). დავითის ანტიბიზანტიურ განწყობას თავისი საფუძველი ჰქონდა: „კონსტანტინეპოლში მოსალოდნელ ამბებს სულ სხვარიგად აფასებდა დავით მეფე. მას დიახაც თვალი ეჭირა ბასილი ბულგართამ-მუსვრელის მიერ მიტაცებულ ბასიანის მიწებზე და არც ლაზთა სამკვიდროს შესცქეროდა გულგრილად, არც ტრაპიზონისა და ხალდეას ქვეყნებს.

იმ შემთხვევაში, თუ ბიზანტია შინააშლილობისა და ტახტისმტეთა ცილობის მსხვერპლი გახდებოდა, ვიდრე თურქები იმ ქვეყნებს წაეპოტინებოდნენ, დავით მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ლიპარიტსა და რატის დაზავებოდა, თრიალეთიდან ლაშქარი გაეყვანა, ტაოსკარიდან გადასულიყო და ხსენებულ ქვეყნებს დაუფლებოდა“ (იქვე, 493). დავითი ხედავს რეალურ ვითარებას, ბიზანტიის სისუსტეს და გიორგი მეფისა და ქართველ დიდებულთა ამოო მოლოდინებს. გააზრებული აქვს ბიზანტიის დაცემით გამოწვეული საფრთხეც: „თუ ერთმორწმუნე ბიზანტიაც, სომხეთის დარად, სელჯუკიანებს ჩაუ-

ვარდებოდა ხელში, მაშინ მარტოხელა საქართველო უნდა შეებოდა გამძვინვარებულ ისლამურ ლომს და დავით მეფემ კარგად იცოდა: სულტანს ქილირჯ არსლანს ლომის მახვილი რომ ერქვა“ (იქვე, 493). ასეთ ვითარებაში დავითი ერთმორწმუნე ბიზანტიისა და ჯვაროსნების იმედად ყოფნას, აქტიურ პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას.

კ. გამსახურდიას თანამედროვე რეალობაში – ე.წ. სამამულო ომის დროს „გარეშე-მტრის-განდევნის“ ნარატივის გამოკვეთილად მილიტარისტული ხასიათი საინტერესო უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ის ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში საბრძოლო-ჰეროიკული განწყობის ამალღებას და შესაბამისი პროპაგანდის შემთხვევაში თანამედროვე ომთან გაიგვევბას. მეორე მხრივ, ოპოზიციურად განწყობილი მკითხველსათვის დავით აღმაშენებლის ანტიბიზანტიური პოზიცია შეიძლება მნიშვნელოვანი ალეგორია გამხდარიყო და ხელი შეეწყოს ანტიკოლონიური იდენტობის ფორმირებისათვის. დავით აღმაშენებლის ძლიერ სახელმწიფოს კი, „ოქროს ხანის“ კონცეპტს თუ მოვიშველიებთ, მწერლის დროინდელ რეალობაში მაგალითის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და კოლონიზებული ქართველი ერისათვის სიამაყის საფუძველი მიეცა.

ტეტრალოგიის შექმნასა და დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წყაროების მოძიებასა და შესწავლას თან ახლდა ხანგრძლივი, შრომატევადი სამუშაო. ავტორი ხშირ შემთხვევაში იძულებული იყო ისტორიულ მეცნიერებაში დაუმუშავებელი საკითხები ეკვლია (იხ. რომანის ბოლოსიტყვაობა). დავით აღმაშენებლის სახის გამოკვეთისას ხელმძღვანელობდა შემდეგი პრინციპით: „ისტორიული მასალის გადამუშავებისას მე მუდამ ამას ვცდილობდი: არ დავცდენოდი იმ სამანებს, რომელნიც მოცემულია როგორც ქართულ, ისე მეზობელ ერების მათიანეებში. დავით მეფის ბრწყინვალე ფიგურას არ ესაჭიროება „მონსტრუალობა“. იგი თავისი ეპოქის უმამაცესი და უგანათლებულესი სუვერენი იყო“ (გამსახურდია 1974: 699). მწერალი ამ პრინციპს თანმიმდევრულად იცავს, მთელი ისტორიული რომანის ტექსტში არ-

სად გვხდება გადაჭარბებული ეპითეტები, მეფის ქმედებათა გაზვიადების მცდელობა. პირიქით, დავითის სახე უფრო დისტანციურად და ფრთხილადაა გამოკვეთილი. მწერალი მიჰყვება ისტორიულ წყაროებს, ფიქციონალობა უმეტესად რომანულ ეპიზოდებში ჭარბობს.

ისტორიული რომანის დასაწყისში დავითი ჯერ კიდევ უფლისწულია. პირველივე ეპიზოდში წარმოჩენილია გიორგი მეფესთან ერთად მისი ლაშქრობა და ორბელიანთა საერი-სთავოში დედისიმედის ხილვა. აქ მომავალი მეფის სახე უფრო რომანტიზებულია: „სოსანისფერი აბრეშუმის საკკო ეცვა ერისთავის ასულს, მარგალიტის ლილებით დამშვენებული, ოქროს სარტყელი წელზე ერტყა, დიდრონი სამაჯურნი ოქროსნი მაჯებზე, და ამ საკკომ მოაგონა დავითს დედისიმედსა და ნინასთან გატარებული დღეები, ციხის ეზოში აყვავებული ატმები და ის ბედნიერი გაზაფხული“ (გამსახურდია 1974: 30). დროთა განმავლობაში მეფის სახე რთულდება, მწერალი გვიჩვენებს მის მტკიცე ნებას, რომელიც სიყვარულსა და ქვეყნის ინტერესებს შორის არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებს: ის ატყვევებს მოღალატე ლიპარიტ ორბელიანს, რომელიც დედისიმედის მამაა: „დედისიმედის ათრთოლებულმა სახემ გაიელვა დავითის შემეცნებაში. „მე მეშინია, მეფევე ბატონო, შენი“. – გახმიანდნენ მის სმენაში ანაზღად სათაფლიას სერზე ნათქვამი სიტყვები. როგორი ცეცხლი გიზგიზებს მის სულში ამჟამად. საყვარელი მამა გაიტაცეს თრიალეთიდან და აღარც კი იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. – ჰოი, რა სასტიკია განჩინება ბედისწერისა... უდიდესი ტკივილები უნდა მივუზღვათ ხშირად უძვირფასეს ადამიანებს და ჩვენ უმწეონი ვართ შევუმსუბუქოთ ეგ სიმძიმელი მათ“ (იქვე, 369-370). დედისიმედის სიყვარულის პასაჟი რომანში ფიქციურია, მას სიუჟეტში დრამატიზმი და რომანტიკა შეაქვს. გარდა ამისა, დავითის ბრძოლა ქვეყნის შინაგანი მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ემოციურად უფრო გამოკვეთილია. ამით ავტორი წარმოგვიჩენს პიროვნებას, რომელმაც პირადი ინტერესები დათმო ქვეყნის საკეთილდღეოდ: „ჩემს სულში ისეთი უშრეტელი სახმილი დაუნთია არსთაგამრიგეს, მე აღარ შემიძლია ამსოფ-

ლიურ ლხენას მივეცე და ამიტომაც მენყალვი, სულო, განა მარტო შენ, დედაჩემი და მამაჩემი, უფლისწული დემეტრე, ყველა, ვინც ჩემი ბედის ვარსკვლავთან ოდნავ მაინცაა დაკავშირებული“ (გამსახურდია 1974: 214). ემოციურია დედისიმედის ცხოვრებასთან დაკავშირებული პასაჟები: მისი ტკივილები, განცდები, გაორება მამასა და საყვარელ ადამიანს შორის და ბოლოს შეყვარებული ქალის გადაკარგვა: „დავითმა შეგნებულად ხელი ჰკრა თავის სასურველს მკერდზე და უფსკრულში გადასჩეხა იგი... განა თუ იმიტომ, რომ დედისიმედი სჯულისა და მამულის მოღალატის ნაშიერი იყო, არამედ იმის გამოც, რომ თავათ სამშობლომ არ იკმარა დავით მეფისაგან ბრძოლის ველებზე განეული თავგამეტება, უმძიმესი მსხვერპლის გაღებაც მოსთხოვა მას, უსაყვარლესი არსების განირვაცა“ (გამსახურდია 1975: 432). ემოციურ განწყობას აგვირგვინებს დედისიმედისა და დავითის უკანასკნელი შეხვედრა, სადაც სიკვდილის პირას მისული მეფე პატიებას სთხოვს მონაზვნად დაბერებულ ქალს: „მაპატიე, დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად!“ (იქვე, 784).

ფიქციურია აგრეთვე გვანცასთან გამიჯნურების ეპიზოდიც. გაორებული დავითის გულს დედისიმედის გადაკარგვის შემდეგ მთლიანად გვანცა იპყრობს: „გვანცა თაფლისფერ იაბოზე იჯდა. დაუოკებელმა მხედარმა გაახელა ეს თვინიერი ცხენი... ნიანია ამჩნევდა: როცა მათ უკან მომავალ ორ რაინდსა და ერთ მანდილოსანს თვალს მოჰკრავდა მეფე, უჩვეულოდ ღელავდა (იქვე, 679). „სად უშჯულო ყიფჩაღთა ნაშიერი შარალანისძის ასული და სად ღვთითმშვენიერი გვანცა უსაჩინოესი ერისთავის ნაშიერი... ამ წუთში ნანობდა მეფე, სარწმუნო კაცთა ყიფჩაღეთს წარგზავნას რომ დასთანხმდა გიორგი ჭყონდიდელს. ერთადერთი იმედი ეს იყო: გვარამ ბეჭისციხის პატრონი, რომელსაც წარგზავნილთათვის უნდა ეხელმძღვანელა, ავად იყო. „ნეტავ არ წარგზავნიდეს მათ ჭყონდიდელი, ვიდრე მე არ გაგზრუნდები გეგუთიდან“ (იქვე, 702). თუმცა ეს სიყვარულიც ტრაგიკულად სრულდება, დავითი აქაც ქვეყნის ინტერესებით მოქმედებს: მას ცოლად მოჰყავს ყიფჩაღთა მთავრის შვილი. გვანცა კი სიყვარულს ეწირება. მარიამ დე-

დოფალი მეფის ნაბიჯს ასე აფასებს: „რას იზამ, გეთაყვანე, მართალი უთქვამს მამაი გიორგის, შენ შენი ქვეყნის ზვარაკად აგირჩია არსთაგამრიგემ“ (იქვე, 722).

გიორგი მეფე და სამეფო კარი ეწინააღმდეგება დავით მეფის გადაწყვეტილებას ცოლად შეირთოს ყივჩაღთა მთავრის ასული და ჩამოსახლდეს ყივჩაღთა ოჯახები, რათა შექმნას მუდმივი ჯარი: „აი რა ხალხის მოყვანა ენადა დავით მეფეს“, მოშაინურად ამბობდა გიორგი მეფე. „რას ამბობ, ვეყო, ეს მურტალი ყივჩაღები საქართველოში რომ მოვიყვანოთ, ნავენყდებით, სარწმუნოებასა და ხალხს ნაგვიბილწავენ“ (გამსახურდია 1974: 554). ტეტრალოგიის მიხედვით, დავითს ყივჩაღებმა პირობად წაუყენეს დამოყვრება, მაშინ როდესაც ისტორიულად დავითს უკვე ცოლად ჰყავდა ყივჩაღთა მთავრის ასული და მოგვიანებით გადანყვიტა ყივჩაღების ჩამოსახლება (ჯავახიშვილი 1983: 182-183). ეს მომენტიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დავითის პირადი ცხოვრების ტრაგიზმს. მეფემ ორივე სატრფო დათმო ქვეყნის საკეთილდღეოდ. ყივჩაღი გურანდუხტის შერთვის ამბავი ტეტრალოგიის მეოთხე თავშია გადმოცემული, თუმცა აქ თხრობა შეკვეცილია, ავტორი აღარ გადმოგცემს მეფის შინაგან სამყაროს, მხოლოდ მოვლენათა გადმოცემით კმაყოფილდება. დავით მეფის აღნიშნული ქორწინება ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. ისტორიული რომანის ფინალში ჩანს, რომ გურანდუხტიც არ ყოფილა ბედნიერი ამ ქორწინებით: „მარიამი საგონებელში ჩავარდა. მას ძლიერ ეცოდებოდა ახლაგაზრდა დედოფალი, რადგან დავით მეფე მუდამ მოლუშული იყო, დღედაღამ ყიფჩაღ მეომართა წვრთნით და აღლუმებით იყო გართული“ (გამსახურდია 1975: 743).

ისტორიულ რომანში ასევე მოთხრობილია პირველ ცოლთან, სომეხ რუსუდანთან განქორწინების ეპიზოდი. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის ცნობით, დავითს ჰყოლია სომეხი ცოლი და მისგან ეყოლა ტახტის მემკვიდრე დემეტრე (ჯავახიშვილი 1983: 200). კ. გამსახურდია ამ ცნობასაც იყენებს, რუსუდანი შეუხედავი ქალია, რომელიც დავითს არ ჰყვარებია. თავის მხრივ, რუსუ-

დანიც უბედური ქალია, რომელიც ვერც მეუღლის სიყვარულს ეღიროსა და ვერც დედობით გაიხარა. სასახლეში მომხდარი ამბების გამო თავადვე გადანყვიტა მონაზვნად აღკვეცა: „ერთადერთი დარდი თან მიმყვება, დედოფალო ბატონო, ჩემი დემეტრეს დარდი, ველარც დედობა გამოვიჩინე ჯეროვანი, მარტო დავტოვე საყვარელი პირმშო. გევედრები, დიოფალო ბატონო, შენ გაუწიე მას ჩემს მაგიერად დედობა. გული მტკივა, უკანასკნელად რომ ვერ ვნახე ყრმა, მაგრამ მე აღარ შემეძლო სასახლეში დარჩენა“ (გამსახურდია 1974: 158). უბედური ქალი სულგრძელია დავითის მიმართ: „მე შევევედრები ძისა შენისათვის, დედოფალო ბატონო, უფალს, – განაგრძო რუსუდანმა, – იგი უბრალოა ჩემს მიმართ, უდიდესი ჩემი შეცდომა ეს იყო: თავიდანვე უნდა დავდგომოდი ამ გზას. როცა ჩემი ოჯახი გაცამტვერდა, ჩემი ძმები კილიკიაში გადაიხვეწნენ, რაღა მინდოდა ამ ცხოვრებაში?!... მე ვილოცავ დავითისათვის... რადგან მას არ მიუძღვის ჩემს წინაშე ბრალი“ (იქვე, 158). მწერალი ხაზს უსვამს დავით მეფის წარუმატებელ პირად ცხოვრებას, წარმატებული სახემწიფოებრივი ცხოვრების საპირისპიროდ, რითაც მეფის შინაგანი ტრაგიზმი გაორკეცებულია. მწერალი ასე ახასიათებს მეფეს: „ჭაბუკი მეფე, რომელსაც ახალგაზრდობა გადავიწყნოდა მიწაზე განრთხმული მამულის დარდით, ვისაც სიჭაბუკის ღებენა წაწყმედოდა, ვინც ჭარმაგი შექმნილიყო ჭალარის მოსვლამდის“ (გამსახურდია 1975: 213).

ტიტრალოგიაში დავით აღმაშენებლის პირადი ცხოვრებისა და შინაგანი განცდების პარალელურად წარმოჩენილია მისი ის თვისებები, რაც კოლექტიურ მესხიერებასა და ისტორიაშიც თანაბრად ცნობილია. დავით IV იმ დროისათვის გამორჩეულად განათლებული სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელიც ნებისმიერ თავისუფალ დროს, ომის დროსაც კი კითხულობდა: „კარგები შეკრულნი ელაგნენ, ჯორ-ცხენნი მზად იყვნენ და თვით მეფის წიგნსაცავი, რომელიც ჯორთა შვიდეულს დაჰქონდა მუდამ, ჩალაგებული იყო უკვე“ (გამსახურდია 1975: 118). „წინაღამით არისტოტელეს კითხულობდა დავითი კლდეკარში“ (გამსახურდია 1974: 385). და-



ვითის მნიგნობრობით გატაცება ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. მას სცოდნია არაბული, სპარსული, მეზობელი ქვეყნების ენები, აგრეთვე სხვადასხვა ენოვანი ლიტერატურა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა. მეფეს ძვირფასი წიგნსაცავი ჰქონია, რომელსაც ომებში თან დაატარებდა. როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსი გადმოგვცემს დავით მეფეს განსაკუთრებულად ჰყვარებია ისტორიული მწერლობა, რასაც პრაქტიკულ დანიშნულებას ანიჭებდა. სწავლობდა და აანალიზებდა მძლავრი სახელმწიფოების ისტორიას და გამოტანილი დასკვნებით ხელმძღვანელობდა ქვეყნის მართვის დროს. ბევრს ფიქრობდა საქართველოს ისტორიაზე, განდგომილი ფეოდალების შინაგან ბუნებასა და მოტივაციაზე, ამიტომაც გადაუწყვეტია მუდმივი ჯარის შექმნა (ჯავახიშვილი 1983: 320).

ცნობილია, რომ განათლებისა და მნიგნობრობის დამფასებელმა მეფემ გელათის აკადემია დაარსა, მოიწვია იმ დროისათვის სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსები, მათ შორის არსენ იყალთოელი. მფარველობდა მუსლიმ პოეტებსა და ფილოსოფოსებს. ქართველი ერის კოლექტიურ მეხსიერებას შემორჩა დავითის რელიგიური ტოლერანტობის მაგალითი (იქვე, 320). ტეტრალოგიაში გელათის მშენებლობის ამბებიცაა გადმოცემული, თუმცა შედარებით ფრაგმენტულად. მეფეს გადანყვეტილი ჰქონდა გელათში თავისი და შთამომავლების საძვალე გაეკეთებინა: „მეფე მოერიდა მზერის გამართვას, თავაუღებლად მომიგო: გელათი უნდა ავაგო სალხენად სულისა ჩემისა და საძვალედ ჩემთვის, ჩემთა შვილთა და შვილთა-შვილიშვილებისათვის“. „გაოცებული ვარ ვეყო... რა დროს საძვალესთვის ზრუნვაა მისთვის, საძვალე რა ბედენაა, საგოდებელი და საძვალე განა ცოტა გვაქვს უფლისციხის, ბოჭორმის, გეგუთის, მუხრანის, არტანუჯის და დიდგორის სასახლეებში. ბოლოს რა გახდა ვეყო, ეს საძვალე“ (გამსახურდია 1975: 597). გელათის მშენებლობის გეგმის შესახებ კი აღნიშნულია: „მახარა მთელი დღე ცდილობდა როგორმე დაემარტოვებინა დავითი. იგი დილიდანვე დიდ დარბაზში იყო. ისევ გიორგი ჭყონდიდელის, არსენ იყალთოელის, ქართლის

კათალიკოსის იოანეს თანდასწრებით იხილავდა გელათის გეგმებს, მხატვართუხუცესი თევდორე, კირითხუროთაუხუცესი ზედგენისძე მოახსენებდნენ საამშენებლო მასალების გამო. მხოლოდ მიმწუხრისას დავითმა გადაიარა ხილნარი და ვენახი“ (იქვე, 598). მეფე მშენებლობასაც ესტუმრება: „აბა, რა ვიცი თუ ვინ შექმნა დიდებული ბაგრატის ტაძარი, ბედია, წრომი, ყინცვისი, ნულრულაშენი, გინდა ბოლნისი“.

ოთხი კალატოზი მოათრევდა უზარმაზარ ლოდს, უკვე გათლილს, გელათის ქვაკუთხედთაგანს ერთს. დავით გაეცალა თავის მხლებლებს, გამოართვა კალატოზებს ლოდი და საჭირო ადგილზე ჩადგა... „ეს მათ გაამხნევეს“ (იქვე, 710). მწერალმა გამოიყენა კოლექტიურ მენსიერებაში არსებული ლეგენდა, რომელიც დღესაც ცოცხალია, იქვეა ავტორისეული რემარკა: „ეს ლოდი დღესაც მინიშნებული აქვთ გელათელებს და მეც მინახავს იგი მრავალგზის“ (იქვე, 710).

კ. გამსახურდიას ტეტრალოგიაში ყურადღება გამახვილებულია დავით IV-ის მიერ გატარებულ ყველა მნიშვნელოვან რეფორმაზე, ესენია: გელათის აკადემია, ყივჩაღთა ჩამოსახლება და მუდმივი ჯარის შექმნა, რუის-ურბნისის კრება და საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგება. ყივჩაღთა ჩამოსახლების პერიპეტეიები რომანში ემოციურადაა გადმოცემული, რაზეც ზევით უკვე ვიმსჯელებთ. დავითი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ აცნობიერებს მუდმივი ლაშქრის ჩამოყვანის საჭიროებას. მეფეს იდეის განხორციელების დროს მხარში უდგას გიორგი ჭყონდიდელი, გიორგი მეფესა და დიდებულებს კი არ ესმით ამ ნაბიჯის მნიშვნელობა: „სად ყოვლად ქრისტიანი ბაგრატოვანი მეფე წყალობითა ღვთისათა და სად ათრახა შარალანისძე, ან მისი ასული, მოხეტიალე მეჯოგეთა ნაშიერები“ (გამსახურდია 1974: 340). წინააღმდეგობის მიუხედავად, დავითმა მაინც ჩამოსახლა ყივჩაღთა ოჯახები და სისრულეში მოიყვანა თავისი ჩანაფიქრი. ისტორიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ დავითს ამ ნაბიჯს. ამიერიდან მას ექნებოდა მუდმივი ჯარი, რომლითაც გაუმკლავდებოდა გარე და შიდა მტერს, აღარ იქნებოდა დამოკიდებული ფეოდალთა გუნება-განწყობასა და მათ მიერ გამოყვანილ ლაშქარზე (ჯავახიშვილი 1983:182-

183), (ანჩაბაძე...1979: 165). ამ რეფორმის წყალობით დავითმა ძღვევამოსილი გამარჯვებები მოიპოვა.

1103 წელს ჩატარებულმა რუის-ურბნისის კრებამ წესრიგი შეიტანა საეკლესიო ცხოვრებაში, დავით მეფემ მემკვიდრეობითობა შეცვალა ღირსეულ სასულიერო პირთა დანიინაურების პრაქტიკით (ჯავახიშვილი 1983: 194). ტეტრალოგიაში არაერთი სასულიერო პირია უარყოფითად წარმოჩენილი, ნაჩვენებია მათი გარყვნილება და გემოთმოყავრეობა. საეკლესიო კრების შესახებ მწერალი განპატიჟებული სასულიერო პირის, ხრისტოდულეს პირით გადმოგცემს. ნაწარმოებში დავით მეფე პირადად მოისმენს სასულიერო პირთა პრეტენზიებსა და ცილისწამებებს. ხრისტოდულეს არ გაუმართლა, მას შემთხვევით სტუმრად უბრალო აზნაურის სამოსში გამოწყობილი მეფე გამოეცხადა: „რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მრავალ წარჩინებულ ქორეპისკოპოსს და ეპისკოპოსს მოუწყო დავითმა განპატიჟება, პატივითა დაკლებაი ზოგთა, მამული წარუხვნა სხვათა, ვითომდაც ხარჭის ყოლისა და მრუშობისათვის.

ახლა ვიკითხოთ, ჰქონდა თუ არა დავით მეფეს ამის უფლება, ქვაი ესროლა ყოვლად ქრისტიან მღვდელმთავართათვის? ძმანი თავადთაგანნი ეკლესიებიდან და მონასტრებიდან განაძო, ნაბიჭვართა და უგვართა აღზევებას შეუდგა. ხოლო თვითონ განა მარტო მრუშობაში უდევს წილი? ქრისტიან მეფისა და ერის მთავართა სისხლითა აქვს ხელები მოთხვრილი.

აღსართან კახთა მეფე მან მოაშთობინა, მისმა სპასალარებმა ომში მოკლეს ლიპარიტისძე რატი, დილეგში მოაშთვეს ზედაზენის ციხის პატრონი ძაგან ერისთავი, ექსორია მოუწყო კლდეკარის ერისთავს ლიპარიტს, მეუღლეს მისას მიუჩინა ნახევრად დანგრეული მონასტერი ერთი, მხოლოდმობილი ასული მათი ხარჭად დაისვა, მერმე რა მოყიჭდა, ლიხავში დაახრჩობინა ქარიმან სეტიელს“ (გამსახურდია 1975: 690). სასულიერო პირის ცილისწამებით სავსე მონოლოგში კარგად ჩანს განპატიჟებულ სასულიერო პირთა განწყობა.

ისტორიული რომანის მიხედვით, დავით მეფე მთლიანად სახელმწიფო რეფორმებისა და კულტურული ღონისძიებების

გატარებთა დაკავებული. მეფის ყოველდღიური ყოფა უფრო ასკეტურია. დავითის დახასიათებისას სწორედ ამ მომენტს უსვამენ ხაზს რომანის სხვა პერსონაჟები: „ჩვენს პატრონს, ბაგრატ მეფესაც უყვარდა ომი, მაგრამ არც მოლხენანი ამ-სოფლიური სძაგდა დიდებულ მეფეს, ჰეი, ვინ უწყის როგორი ნადიმები ახსოვს ამ პალატებს! ჩვენც ჭაბუკნი ვიყავით მა-შინა, ხოლო ეგ დარბაზნიც მოოქროვილნი, მოჭიქულნი და მოხატულნი; ხანდახან ერთი მსგეფის მანძილზე გრძელდე-ბოდა ნადიმი... უკვე ერთ ნელზე მეტია, რაც ნაჭარმაგევეში ბრძანდება ახალი პატრონი და გალიმებულიც არავის უნახ-ავს“ (გამსახურდია 1974: 364). ამის ნაცვლად იგი დიდ დროს ლაშქრობისათვის სამზადისს და ბრძოლის ველს უთმობს: ერწუხის ბრძოლას, კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებას, სამშ-ვილდის, რუსთავის და სხვათა აღებას. დავითი წინდახედუ-ლი, ფრთხილი სარდალია, გადაწყვეტილების დროს გონებით მოქმედებს, ძალუძს ემოციების მართვა და რაც ჯერ კიდევ პირველ ლაშქრობაში გამოავლინა. გიორგი ჭყონდიდელი უფლისწულ დავითს მოუწოდებდა ომში გულფიცხოვა არ გამოეჩინა: „გულფიცხოვა მტერია ყოველგვარი წარმატები-სა, ეგ იცოდეს ომში მიმავალმა ყოველმა. განა უგრილესნი წყარონი არ გააპოვენ ხოლმე უმტკიცესთა კლდეთა? შლეგი სარდალი პირველ ნაგებულ ბრძოლის შემდეგ დაფრთხება, ხოლო ბრძენი უფრო მეტად გააღმასდება, ნაგებულ ბრძო-ლებში ისწავლის მოსაგებ ომების ხერხს“ (იქვე, 43). ბრძოლის ველზე უფლისწულმა თავისი სიღინჯითა და სიბრძნით გა-მოცდილი სარდლებიც კი გააოცა: „რუსთავს მიმავალი ჩაგვ-აბარაო უფლისწული ჭყონდიდელმა ნიანია ბაკურიანსა და მე (შერგილ ლიპარტიანს – თ.ჩ). ჩვენ გამოვიჩინეთ გულფიცხოვა სწორედ, გამოაცაო ჭაბუკმა ომებში გაჭაღარავებული კაცი“ (იქვე, 109-110).

ტეტრალოგია, ბუნებრივია, მთლიანად დავითის ცხოვრე-ბას ეძღვნება. ნაწარმოებში ვრცლადაა აღწერილი დავითის გადახდილი ომები, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლის – დიდგორის გადმოცემისას მწერალი შემოიფარგლება წყ-აროებიდან დამონმებული ციტატებით. ისტორიულ რომანში

მთელი თავები ეთმობა ბიზანტიისა და სელჩუკთა იმპერიებში მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციისა და ინტრიგების, I ჯვაროსნული ლაშქრობის აღწერას. ეს ცნობები ქრონიკების სახითაა მოწოდებული და მათ რომანში დოკუმენტური პროზის ელემენტები შეაქვს. მწერალი დეტალურად გვიყვება სელჩუკთა იმპერიაში მიმდინარე მოვლენებზე, რითაც ხაზს უსვამს დავითის გამარჯვებათა მნიშვნელობას.

ნაციონალურ ეპოსად ჩაფიქრებულ რომანს უნდა გაეცოცხლებინა ეპოქა იმ მეფისა, რომელსაც აღმაშენებელი უწოდეს. საყურადღებოა რომელი საუკუნიდან მომდინარეობს კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებული ზედწოდება „აღმაშენებელი“. ისტორიული წყაროების თანახმად, დავით IV-ს (1089-1125) ეპითეტებს შორის აღმაშენებელი არ ფიგურირებს XIV საუკუნემდე. უფრო ადრინდელ წყაროებში მას უწოდებენ: „ყოვლად ბრძენ მეფეს“, „ძლიერს“, „დიდს“, „მზეს“, „დიდ დავითს“. XV საუკუნის ერთ-ერთ წყაროში, კერძოდ, გერგეტის სამების „მატიანე მოსაჯსენებელი სულთაჲ“ დავით მეფეს მოიხსენიებს, როგორც აღმაშენებელს. ისტორიკოსთა კვლევის თანახმად, ამავე პერიოდის სხვა ძეგლშიც დავითის ზედწოდებად უკვე აღმაშენებელი გვხვდება (ჟღერტი 2011/2012: 51-55). საინტერესოა რამდენად არსებობდა დავით აღმაშენებლის კულტი საბჭოთა ეპოქამდე. დავით IV-ის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ ი. ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი. ი. ჭავჭავაძე ნაციონალური იდენტობის შექმნის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეხსიერებას: „რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“ (ჭავჭავაძე 1987: 153). დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს ქართველთა არსებობის შენარჩუნებას: „საქართველოს ეკლესია... 26 იანვარს აქებს და ადიდება სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენს ბინაზედ

ვართ, – ეს იქნება იმისი ღვანლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..“ (იქვე, 154).

ი. ჭავჭავაძე მსჯელობს დავითის პიროვნულ თვისებებზეც: „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივსცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“ (იქვე, 154). ილია უცხოურ წყაროებსაც იმონმებს: „ჩვენს მატრიანებს თავი დავანებოთ დავიმონმოთ სხვა ერის მემატრიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას“ (იქვე, 155). ილია ხაზგასმით საუბრობს ასეთი ისტორიული პირის ხსოვნის მნიშვნელობის შესახებ: „აი ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალწინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩათვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა“ (იქვე, 156). ი. გოგებაშვილიც ილიას მსგავსად მსჯელობს დავით მეფის შესახებ: „დავითი ყველას ხიბლავდა თავისი კაცთმოყვარეობით; შესისხლხორცებული ჰქონდა სახარების სწავლა, გამსჭვალული იყო მოყვასის გულწრფელი და მხურვალე სიყვარულით, მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და თავისი თავი დავინყებული ჰქონდა. ამასთან მეტად უყვარდა ღვთის მსახურება. ამის გამო დავითი ქართველმა ხალხმა და ეკლესიამ წმინდათა თანა შერაცხეს“ (გოგებაშვილი 1986: 312). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II დავით აღმაშენებლის შესახებ დანერილ ნაშრომში აღნიშნავს: „დავითის ბრძნულმა და ბრწყინვალე მეფობამ 36 წლის განმავლობაში გაუთქვა სახელი ამ მეფეს მაშინდელ ხელმწიფეთა შორის და შესძინა სახელი დიდის მეფისა, მრავალმა ძლევამა და გამარჯვებამ მეზობელ ერთა საწინააღმდეგო ბრძოლაში დაუმკვიდრა სახელი ძლევა მოსილისა; განახლებამა და აღდგენამ იმ ქალაქებისამა, რომელიც მის დროს მოოხრე-

ბული იყო, აგრედვე აშენებამა და განახლებამ საქრისტიანო ძეგლებისამა – სახელი აღმაშენებლისა, ხოლო გულმხურვა-ლებამ, დამონებულმა მრავალის სასწაულებითა, რომელიც აღწერილი აქვთ მის დროინდელ მწერალთ, – სახელი წმინდანის. მეფე დავითი დიდად იგლოვა მისმა მადლობელმა ერმა“ (კირიონ II 1899: 14-15). ხოლო მოსე ჯანაშვილი წერს: „მეფემ დამდაბლებული სამეფო უზომოდ აღამაღლა, დანგრეული საყდრები აღადგინა, ახალი მონასტრები და ციხეები ააშენა, სკოლები გამართა, გააბრწყინა მნიგობრობა, ქვაფენილი გზები გაიყვანა, ხიდები გასდო, ქსენონები და სასტუმრობი ააგო, ლაშქარს გაუჩინა ულუფა, საქართველოს მოუპოვა სახელი უძლეველობისა“ (ჯანაშვილი 1904). ამონარიდებიდან კარგად ჩანს დავით აღმაშენებლის პიროვნებისადმი დამოკიდებულება XIX საუკუნის კოლექტიურ მეხსიერებაში.

დავით აღმაშენებლის შესახებ კოლექტიურ მეხსიერებაში არსებულ წარმოდგენას XX საუკუნის II ნახევრიდან დაერთო კ. გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, აგრეთვე საბჭოთა პერიოდისა და თანამედროვე ისტორიკოსთა ნაშრომები, პატრიოტული ლექსები, გადმოცემები. საბჭოთა დროის ნაციონალურ ნარატივში დავით აღმაშენებლის სახელმა კულტის მნიშვნელობა შეიძინა. ჩვენი აზრით, ამ ყოველივეს კ. გამსახურდიას ტეტრალოგიამ მისცა ბიძგი. კოლექტიურ მეხსიერებაზე გავლენას სამეცნიერო ლიტერატურაზე მეტად მხატვრული ლიტერატურა და სასკოლო სახელმძღვანელოები ახდენს. ზევით უკვე ვიმსჯელებთ ნარატივის მნიშვნელობაზე კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში. ისტორიულ წყაროებში არსებულ მონაცემებს მწერალი ფიქციით ავსებს და იქმნება ნარატივი, რომელიც ხელს უწყობს მეხსიერების ჩამოყალიბებას. დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე კ. გამსახურდიამდე არ შექმნილა ასეთი მოცულობის ნაწარმოები. არც მოგვიანებით დაწერილა ამ მასშტაბის ისტორიული რომანი. დავით აღმაშენებლის სახელი ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში ამ ვრცელ ისტორიულ რომანსაც დაუკავშირდა. განურჩევლად იმისა ჰყავს თუ არა მას მკითხველი, მეხსიერებაში მკვიდრად დარჩა ავტორისა



და ნაწარმოების სახელი. დღევანდელ საქართველოში დავით აღმაშენებლის კულტის არსებობაზე არაერთი გამოკვლევა, ინტერნეტსაიტი და ფორუმი მეტყველებს. საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გამოკითხვის მიხედვით, რომელიც 2009 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაცემა „დიდი ათეულის“ მეშვეობით ჩაატარა, (რომელშიც სისტემატურად მიმდინარეობდა ინტერნეტ და სატელეფონო ხმის მიცემა) საბოლოო რეიტინგით პირველ ადგილას გავიდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო დავით აღმაშენებელი მეორეზე. როგორც პრესაში დაინერა, დავით აღმაშენებელს მხოლოდ ერთი ხმა დააკლდა (მამალაძე 2011).

### ბიბლიოგრაფია:

1. ანჩაბაძე 1979: ანჩაბაძე ზ, გუჩუა ვ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1979, ტ. III
2. ბერია 1938: ბერია ლ, გამოსვლა საქართველოს კომპარტიის მეათე ყრილობაზე, ჟურნალში „საარქივო მოამბე“, თბ. №10, 01.12.2010, გვ. 73-80
3. გამსახურდია 1974: გამსახურდია კ, დავით აღმაშენებელი, თბ. 1974, ტ. I
4. გამსახურდია 1975: გამსახურდია კ, დავით აღმაშენებელი, თბ. 1975, ტ. II
5. გამსახურდია 1985: გამსახურდია კ, თხზულებანი, თბ. 1985, ტ. VIII
6. გოგებაშვილი 1986: გოგებაშვილი ი, საგანძური, 1986
7. ვერჩი 2012: ვერჩი ჯ, მეხსიერების ტექსტები და ისტორიის ტექსტები, ჟურნალში „ცივილიზაციური ძიებანი“, თბ. 2013, №11
8. კირიონ II 1899: კირიონ II, წმიდა დავით III აღმაშენებელი, თბ. 1899
9. მამალაძე 2011: მამალაძე გ, ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“, <http://presa.ge/new/?m=lit&AID=5968>
10. ჟღენტი 1967: ჟღენტი ბ, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1967

11. ჟღენტი 2011/2012: ჟღენტი ნ, დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები, კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, თბ. 2011/2012
12. სიგუა 1989: სიგუა ს, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ. 1989
13. სიგუა 2003: სიგუა ს, მარტვილი და ალამდარი, თბ. 2003
14. შუშანია 1976: შუშანია ე, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1976
15. ჩარკვიანი 2004: ჩარკვიანი კ, განცდილი და ნააზრევი, თბ. 2004
16. წიფურია 2010: წიფურია ბ, კულტურული/სოციოკულტურული კონფლიქტი გარდამავალ საზოგადოებაში, ჟურ.: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, თბ. 2010, №2
17. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი, რჩეული ნაწარმოებები, თბ. 1987, ტ. IV
18. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ი, თხზულებანი, თბ. 1983, ტ. II
19. ჯანაშვილი 1904: ჯანაშვილი მ, დავით აღმაშენებელი, 1904 <https://burusi.wordpress.com/2009/06/30/david-agmashenebeli-4/>
20. Halbwachs 1992: Halbwachs M, On Collective Memory, University of Chicago Press, Chicago, 1992
21. Smith 2013, Smith A, The Golden Age and National renewal, Myth and Nationalhood, 2013
22. Карагезов 2005: Карагезов Р , Метаморфозы коллективной памяти в России и в Центральном Кавказе, Баку, 2005

## თავი V

### არსენა როგორც ისტორიული და კოლექტიური მეხსიერების ნაწილი (მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით)

სტატიის კვლევის საგანია მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“. არსენა მარაბდელი პოპულარული სახეა ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში, რომელიც ფოლკლორული წყაროებიდან იღებს სათავეს. საინტერესოა მისი ტრანსფორმაცია ისტორიულ რომანში და რა გავლენა მოახდინა მწერლის ინდივიდუალურმა ხედვამ კოლექტიურ მეხსიერებაზე. გასათვალისწინებელია ასევე ნაწარმოების შექმნის სოციოპოლიტიკური კონტექსტი, თუ რატომ და როდის მოხდა ამ ისტორიული პერსონაჟის აქტუალიზება.

მ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელის“ წერა 1925 წელს დაიწყო და 1932 წელს დაასრულა. ისტორიული რომანი ასახავს XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიას. მწერალმა ხალხური წყაროებისა და XIX საუკუნის ისტორიული რეალიების შესწავლას ხანგრძლივი პერიოდი მოანდომა, ვინაიდან იმ დროისათვის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გამოკვლეული (ჯავახიშვილი 1933). მ. ჯავახიშვილმა გამოიყენა ფოლკლორული მასალა და არსენას სახის ორიგინალური ინტერპრეტაცია შესთავაზა მკითხველს. ისტორიულ რომანში არსენა ბევრად უფრო რთული პერსონაჟია, ვიდრე ხალხური ლექსებიდან არის ცნობილი.

არსენას ხალხურ წყაროებზე მსჯელობის დროს დავეყრდნობით ზ. კიკნაძის ნაშრომს – „ქართული ხალხური ეპოსი“ (2011 წ), რომელშიც საფუძვლიანად არის შესწავლილი „არსენას ლექსის“ ჩვენამდე მოღწეული ვარიანტები. ხალხური არსენას პროტოტიპი რეალური პიროვნებაა, რომელიც XIX საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა. შესაბამისად მის შესახებ დანერგილი ლექსები XIX საუკუნის II ნახევრიდანაა შექმნილი. პერსონაჟი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ხალხური ლექსის უამრავი ვარიანტი დაგროვდა. როგორც მკვლევარი ზ.

კიკნაძე აღნიშნავს, არსენას პერსონაჟი ტრადიციული ეპიკური გმირია (კიკნაძე 2001: 104). „არსენას ლექსს“ ავრცელებდნენ მოხეტიალე მესტივირეები. ხოლო ხალხური ლექსი პირველად დაბეჭდა ნ. ყიფიანმა. დღევანდელი პუბლიკაციები, ძირითადად, პ. უმიკაშვილის ვერსიას ეყრდნობა. პირველად სწორედ მან შეისწავლა ხალხური ვარიანტები, შეაჯერა და ეპოსის სახე მისცა (კიკნაძე 2001: 105). არსენა მარაბდელის სახე მწერლობაშიც პოპულარულია. ა. წერეთელს ეკუთვნის დრამა „არსენა“, ა. ყაზბეგსაც, ამავე სახელწოდების დრამა, ი. ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ნახსენებია არსენა, რომელიც იბრძვის ჩაგვრის წინააღმდეგ. არსებობს აგრეთვე უამრავი ლექსი ამ თემაზე შექმნილი (რადიანი 1957: 42). ამის მიუხედავად, ვ. ბარნოვი აღნიშნავდა, რომ არსენა ოძელაშვილზე ვრცელი ფორმატის ნაწარმოები შექმნილი არ იყო (ბარნოვი 1921: 14-15). მ. ჯავახიშვილამდე ამ თემაზე შეიქმნა მუნჯი კინოს ნიმუში „არსენა ყაჩაღი“ (რეჟისორი ვ. ბარსკი). ხოლო ისტორიული რომანის პუბლიკაციის შემდეგ გამოვიდა გახმოვანებული ფილმი „არსენა“, რომლის რეჟისორიც იყო მ. ჭიაურელი.

მ. ჯავახიშვილის ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ დასრულების შემდეგ, 1933 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოაწყო დისკუსია თემაზე – „არსენა მარაბდელი“, სადაც მოხსენებით გამოვიდა არაერთი კრიტიკოსი. დისკუსიაზე იმსჯელეს ისტორიული რომანის ღირსება-ნაკლოვანებებზე. აღნიშნული პოლემიკა მით უფრო საინტერესოა თუ გავითვალისწინებთ მ. ჯავახიშვილის მისამართით გამოთქმულ მუქარას: „მ. ჯავახიშვილიც არ იქნება მივიწყებული, რომელმაც ბოლო დროს თავი შეაფარა „არსენა მარაბდელის“ თემატიურ მასალს, ეს სრულიადაც არ ხსნის ბრძოლის წარმოების აუცილებლობას მის წინააღმდეგ“ (მელაძე 1931). ამ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, თუ როგორ მიიღებდა საბჭოთა კრიტიკა ისტორიულ რომანს (დისკუსიის მასალები აღებულია შ. აგლაძის ნაშრომიდან „მიხედვით ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ.

1993). დისკუსიაზე ს. ხუნდაძემ აღნიშნა: „ზოგიერთი ისტორიული მოვლენა ისეთ ასპექტში არის ასახული, რომელიც არ იძლევა ამ მოვლენის და მოძრაობის სწორ ისტორიულ გაგებას... „არსენა მარაბდელში“ არა ისტორიული „სინამდვილე“ მეტყველებს, არამედ თვით ავტორის მორალურ-ესთეტიკური იდეები, რომელიც ისტორიულ დოკუმენტალობას თავისებურ იდეალისტურ სამოსელში ასახავს. ეს მომენტები ამჟღავნებენ იმას, რომ ავტორმა ვერ შესძლო სავსებით დაუფლება ნამდვილი რეალიზმის მეთოდისა“ (ხუნდაძე 1933). შ. რადიანი მსჯელობს ნაწარმოებში „იდეური ხასიათის შეცდომებზე“, მისი აზრით, მწერალი არ არის კრიტიკული ისტორიის მიმართ და სცდება რეალიზმის ჩარჩოებს: „არსენა მარაბდელში“ მ. ჯავახიშვილი შორდება რეალისტურ ისტორიზმს, მასში ისტორია ხშირად მოსჩანს მხოლოდ, როგორც დეკორატიული ფონი“ (რადიანი 1933). ბ. ბუაჩიძე აღნიშნავს: „რომან „არსენა მარაბდელში“ მ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი, ყოველმხრივ და ყველა საკითხში, უცხო იდეურ „მემკვიდრეობისაგან“, იდეურ ბურჟუაზიისაგან, ნაციონალიზმისაგან და ზოგჯერ ისტორიულ სინამდვილის აშკარა დამახინჯებისაგან“ (ბუაჩიძე 1933).

აღნიშნული ამონარიდები კარგად ასახავს 30-იან წლებში მ. ჯავახიშვილის გარშემო შექმნილ ატმოსფეროს. ნაწარმოებები უნდა შექმნილიყო სოცრეალიზმის „ესთეტიკით“, ავტორს უნდა გაეტარებინა იდეოლოგიური კლიშეები, წინ წამოენია ხალხის თემა, კლასობრივი ბრძოლა. როგორც ჩანს სწორედ ამ ნიშნით აარჩია ავტორმა არსენას თემა. საბჭოთა კრიტიკის შეცდომაში შესაყვანად რომანში, ძირითადად, ხაზი ესმება არსენას კეთილშობილებას, მის ბრძოლას გლეხთა თავისუფლებისთვის. თუმცა, ისტორიული რომანი ხაზგასმულად ანტიკოლონიური ტექსტია და ასახავს რუსი სამხედრო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, იმდროინდელ კრიტიკას არ გამოორჩენია და მიუთითებდნენ მის ნაციონალისტურ სულისკვეთებას. „არსენა მარაბდელის“ შექმნის პერიოდში ისტორია და ნაციონალიზმი არასასურველ თემატიკას განეკუთვნებოდა. მხოლოდ მოგვიანებით, ე.წ. სა-

მამულო ომის დროს გახდა აქტუალური პატრიოტული თემებით მანიპულაცია.

ნეგატიური განწყობების მიუხედავად, „არსენა მარაბდელი“ იმ პერიოდში არ აუკრძალიათ, ითარგმნა რუსულ ენაზეც. 1934 წელს მ. ჯავახიშვილმა დაწერა ლიბრეტო და მიანოდა სახკინმრეწვს. საბჭომ განიხილა იგი და ფილმის გადაღება დაავალა სტალინის ფავორიტ რეჟისორს, მ. ჭიაურელს. შეთანხმების თანახმად, მწერალსა და რეჟისორს სცენარის შექმნის დროს უნდა ეთანამშრომლათ, რაც საბოლოოდ არ შედგა. კინოსცენარი მოგვიანებით ს. შანშიაშვილს დაუკვეთეს. საბოლოოდ ფილმი ისე გადაიღეს, რომ მწერლის არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინეს და უხეშად დაარღვიეს მისი საავტორო უფლებები. კინოფილმის სცენარზე კი, რომელიც დიდწილად მ. ჯავახიშვილის ისტორიული რომანის მიხედვით იყო შექმნილი, ხალხური მოტივები მიანერეს. მ. ჯავახიშვილმა არაერთ ინსტანციას მიმართა წერილებითა და განცხადებებით, თუმცა ამაოდ. მისი დასაბუთებული მოსაზრებები არავის გაუზიარებია (ჯავახიშვილი 1991: 183-194).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის 1954 წლის 4 მაისის დაადგენილებით, მოიხსნა აკრძალვა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე („საარქივო მოამბე“, №10, 01.12.2010, გვ. 134-135). მწერლის რეაბილიტაციის შემდგომ კრიტიკა შერბილდა, დაიწყო რომანის იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაცია. მაგალითად მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე სტატიას, ვინაიდან „არსენა მარაბდელზე“ არსებული ამ პერიოდის კრიტიკა იდენტურია, სტატიიდან სტატიაში მეორდება მსგავსი მოსაზრებები: „არსენა ყოველგვარი ბოროტების სათავეს ბატონყმურ ურთიერთობებში ხედავს, იგი მოითხოვს ბატონყმობის გაუქმებას, თვითმპრობელური სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის ბარბაროსული მოქმედების ალაგმვას“ (რადიანი 1957: 46). ასევე აქტუალური იყო ე.წ. ინტერნაციონალური ძმობის საკითხი: „არსენა მარაბდელის“ ერთ-ერთ ძირითად მოტივს წარმოადგენს ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმობის მოტივი. მიხ. ჯავახიშვილი სიყვარულით ხატავს

რუს გლეხს – კარპიჩს, რომელიც მხარში უდგას ქართველ გლეხკაცებს... მათ მხარში უდგას უკრაინელი ოსტაპი... მათთანვე არიან სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის შვილები“ (იქვე, 49). ანალოგიური მოსაზრებები არის გამოთქმული შემდეგ წლებშიც, მეტი აქცენტი გაკეთებული კლასთა შორის ბრძოლის საკითხზე: გლეხთა და თავადაზნაურთა დაპირისპირებაზე, არსენა წარმოჩენილია გლეხური მოძრაობის ლიდერად. სტატიებში მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრაც არის ნახსენები, თუმცა ძირითადი აქცენტი სოციალურ საკითხებზეა გადატანილი (იხ. ბენაშვილი 1959; კვანჭილაშვილი 1966; გვერდნითელი 1977;). საბჭოთა კრიტიკამ კარგად გამოიყენა სოციალური უთანასწორობის იდეა და მიჩქმალა მწერლის მკვეთრად გამოხატული ანტიკოლონიური პოზიცია. „არსენა მარაბდელი“ დღეს საინტერესოა, როგორც ანტიკოლონიური ტექსტი, რომელიც ამხელს მეფის რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს და ალეგორიულად ბოლშევიკური დიქტატურის სისხლიან რეჟიმზე მიგვანიშნებს. პოსტკოლონიურ კვლევებში აქტუალური გახდა ტექსტებში ასახული იმპერიალისტური და ანტიკოლონიური იდეოლოგიების კვლევა (Boehmer 2005: 5).

მ. ჯავახიშვილის ისტორიულ რომანში „არსენა მარაბდელი“ კარგად არის გამოკვეთილი ანტირუსული იდეოლოგია. ტექსტში მისი გამოხატულებაა გაუქმებული სადროშო და ფუნქციადაკარგული დროშა, რომელსაც ცარისტული რუსეთის მხარდამჭერი მოღალატე თავადები ველარ პატრონობენ. დროშის შებილწვას ცდილობს რუსი მაიორი, ხოლო არსენა მისი გადამრჩენილია. სწორედ დროშის გარშემო ერთიანდება ეს დაპირისპირებული მხარეები. კოლონიზაციის სიმბოლოა გაუქმებული სადროშო: „ზაალი, გიორგი მეფის ნასუფრაჯალია, ნამდივანბეგარი, ბატონი ალგეთის, თრიალეთის, გაღმა-გამოღმა ბორჩალოსი და ერთგული დარაჯი სახელოვანი „მონინავე დროშის“, რომელიც, როგორც **სადროშო, რუსებმა გააუქმეს**, ხოლო თვითონ დროშა, როგორც ალამი, ეხლაც ზაალს ეკუთვნის და იგი ნარგიზების ფორზე, აგერ იქ, კარვის თავზე ფრიალებს“ (ჯავახიშვილი 1955: 6). საინტერესოა გაუქმებული სადროშოს დარაჯის ზედწოდება – პატარა, დიდი



ზაალის საპირისპიროდ: „ცოცხალი ზაალი შვილის-შვილია განსვენებული დიდი ზაალის... ერეკლე მეფის ემიკალასის, მორდალის, მდივანბეგის, მსაჯულის, ქორიასაულბაშისა და საქართველოს უმაღლესი მთავრობის წევრისა. ასეთი კაცის ბადიში – **პატარა ზაალი** – ამოდენა ხალხს, შინაურსა და უცხოს, უბრალოდ ვერ დაენახვებოდა, ამიტომ ის თავის საყმოს წინაშე დღესაც ისევე გამოეწყო, როგორც მაშინ იყო გამოწყობილი, როცა მთავარმართებლებს ეახლებოდა ხოლმე: კნორინგს, ციციანოვს.. რტიშჩევს, სასტიკ პროკონსულს ერმოლოვს („არჯალი მხეცი, სატანა, მუჟიკი, ანტიქრისტე!“) და ბოლოს გრაფ პასკევიჩს – „ერმალას“ ახლანდელ თანაშემწეს, „ჩემს მეგობარს“, რომელსაც დღეს თუ ხვალ უეჭველად მთავარმართებლად დანიშნავენ, **ხოლო ერმოლოვს პანლურს ამოჰკრავენ და საიდანაც მოსულა, ისევ იქით გააბრუნებენ**“ (იქვე, 6). ამ პასაჟში კარგად ჩანს ნარატორის ირონიულ-ცინიკური დამოკიდებულება, ერთი მხრივ, თავიდისადმი, რომელსაც დასაკნინებლად პატარას უწოდებს. მეორე მხრივ, რუსი სამხედრო პირისადმი ირონია, რომელსაც მართალია სისასტიკით გაუთქვამს სახელი, მაგრამ მასაც პანლურის კვრით გააგდებენ.

ზოგადად, რომანში რუსი სამხედრო პირების გვერდით არანაკლებ უარყოფითად არიან წარმოჩენილი ქართველი თავადებიც, რომლებიც ანგარების მიზნით ხელს უწყობენ კოლონიზაციის პროცესს: „მარაბდის ბატონს ინგლისური მაუდის შავი კაბა და ლურჯი აბრეშუმის გულისპირი ეცვა... **ნელზე ოქრო-ძვლით მოჭედილი ხმალ-ხანჯალი ჩამოეკიდნა, რომელიც ათასი წლის ტვირთით და ხავსით იყო დაჭორფლილი...** მეფეთა და მთავარმართებელთა ჯილდოებიც და საჩუქრებიც ზედ ჰქონდა ასხმული. მაუდი თავადმა ვასილჩიკოვმა მოუტანა პეტერბურგიდან, ლალის დიდი ბეჭედი ერეკლე მეფის ნაჩუქარი იყო, ხოლო **ოქროთი და ძვლით შეჭედილი კვერთხი, რომელიც ახლა არქიელსავით დაჰქონდა, უდღეურმა იმპერატორმა პავლემ დესპანის კოვალენსკის ხელით გამოუგზავნა**“ (იქვე, 7). საუკუნეების განმავლობაში თავადაზნაურთა ფენის განუყოფელი ატრიბუტი – ხმალ-ხანჯალი უფუნქციოა,

ათასი წლის ბრძოლებგამოვლილი უკვე შელახულა. სიმბოლურია რომ ზაალ ბარათაშვილი მასთან ერთად თან დაატარებს კვერთხს, რომელიც რუსმა იპერატორმა უსახსოვრა. ნარატორი აქაც ცინიკურ ტონს არჩევს – უდღეური იმპერატორი. მოლაღატი ქართველი თავადები დაკავშირებული არიან რუს ჩინოვნიკებთან, მათგან იღებენ სასურველ ჯილდოებს: „არც ერთი მთავარმართებელი არ ყოფილა, რომ ბარათაანთ სამივე თაობის მკერდზე, ვითარცა კანკელზე, ჯვარი ან ვარსკვლავი არ ჩამოეკიდნა. ყველამ ღირსეული საჩუქარი მიიღო, რადგან **სამთავ მკერდის ქვეშ ახალი ტახტისა და ახალი სამშობლოსადმი მართალი გული ჰფეთქვდა**“ (იქვე, 7). ქართველმა თავადებმა ახალი სამშობლო იპოვეს. ერთ დროს დიდი ზაალი ბრძოლებით იწონებდა თავს: „ერეკლე ან დავით-სარდალი რომ ომარ ხანს, ჰაჯი ჩალაბს, აზატ-ხანს ან სხვა ვინმეს დაეტაკებოდნენ ხოლმე, დიდი ზაალიც იქვე სადმე ტრიალებდა და თავგამოდებით იბრძოდა. ეხლაც აგონდება პატარა ზაალს: **ერთხელ დიდი ზაალი და დიდი დავით ორბელიანი წაგებულ-მოგებულ ბრძოლებს ანგარიშობდნენ. თითომ თურმე ასზე მეტი ბრძოლა მოიხადა**“ (იქვე, 10). ამის ნაცვლად პატარა ზაალის საფიქრალი და საზრუნავი შემდეგით შემოიფარგლება: „ზაალს ალა-მაჰმადის მიერ მარაბდის აკლება ისე არ სწყენია, როგორც **ახლა მარაბდელების ნაქცევა ეწყინა**“ (იქვე, 11). მუქად გამოვყავით ადგილები, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ნარატორმა სიმბოლური კოდები ჩადო: გაუქმებული სადროშო, მისი ბინადარი პატარა ზაალი, რომლის მორთულობაშიც ფიგურირებს ათას საუკუნეგამოვლილი, დახავსებული ხმალ-ხანჯალი. გაუქმებული სადროშოს ნაცვლად ახალი სამშობლო. იმპერიიდან გამოგზავნილ სამხედრო პირებს პანღურით აგდებს იმპერატორი, რომელიც ზოგჯერ უდღეურია და უხვად ურიგებს ჯილდოებს მათ, ვისაც ახალი სამშობლოს სიყვარულისთვის „გული უძგერს“. ტექსტის ქვეტექსტი გასაგებია: დაკნინებული თავადაზნაურობა რუსი კოლონიზატორების მხარდამჭერები ხდება. ზაალის მეტყველებაც, რომელიც სავსეა რუსიციზმებით, ამ დაკნინების გამომხატველია: „ფიეე! ამისთანა ამბავი გაგონილა მეთქი? დალახვროს ღმერთმა! სტუმარი მოვიდეს,

ვილაც ოხერ-ტიელი მოათრიოს და ყველა დარჩეული ბიჭები გამილახოს?! **ვოტ იშო!** გაგიგიათ მეთქი ამისთანა ამბავი?!“ (იქვე, 7).

ამ დაკნინებულ სურათს აგვირგვინებს დროშის ყოვლად შეუფერებელი ადგილი: „დაცარიელებულ ფორზე წითელი არშიებით და კუნუნოებით შემოვლებული **დიდი კარავი გა-მოჩნდა, რომელიც ვეება უთავო ბატს ჰგავდა,** და იმ ბატის ქვეშ სამი კნინა და მათი მოახლენი ჭუჭულებივით შეკუჭულიყვნენ, ხოლო მათს **თავზე საქართველოს მონინავე დროშა ფრიალებდა**“ (იქვე, 9). დროშაც ხმალ-ხანჯალივით ღირსება შელახულია, კარავზეა ჩამოკიდებული, რომელიც უთავო ბატს ჰგავს. თავადაზნაურობას მისი დაცვის უნარიც აღარ შესწევს. სიმბოლოურია სწორედ ის პასაჟი, სადაც გლეხი არსენა იცავს დროშას: „არლოვმა მიიხედ-მოიხედა და ფიცხელი ბრძანება გასცა: – ახლავე ჩამოხსენით და აქ მომეცით (დროშა — თ.ჩ.). ფორზე ავი სიჩუმე ჩამონვა. არავინ არ დაიძრა. ზოგი გაფითრდა და ზოგიც იმ ალამივით განითლდა... გრიგოლ ორბელიანს ზაფრანას ფერი ედო. დავით ბარათაშვილს თავი ჩაექინდრა, მარშალი ალექსანდრე გაშეშებული იდგა... დროშის მოლარეს ზაალს კი პირი დაელო და ხმა დაეკარგა. არსენა მაიორს საწადელს მიუხვდა. პირისახეზე მწვავე აღმურმა აჰკრა და თავში აუვარდა.

ეს რა მიჰქარა ბასილა მაიორმა? ჰსურს დროშა ჩამოართვას? ვის, ბარათაშვილებს და ორბელიანებს? კეთილი, მაგრამ ეს ალამი მარტო მათი ხომ არ არის! არა, მარტო მათი აღარ არის...

„რა ღმერთი გაუწყრათ ამ წყეულებს! გაიფიქრა არსენამ. – რამ დააჭიავა, რამ მოადუნა, ვინ გამოჰფიჭა და ვინ დააძაბუნა?! თუ დაბერდნენ და გადაშენდნენ, დროა დროზე გადგნენ და გზა დაგვიტომონ“ (იქვე, 29). მოგვიანებით, როცა უკვე დაუმორჩილებელი არსენა ტყეში გავა, ის თავად დაეპატრონება დროშას: „განჯინაში ძველი დროშა გიყუდია. თავადები დაბერდით, დაძაბუნდით და ველარ ატარებთ, ჩვენ კი ესარის ახლა დავიბადენით, მკლავიც გვიჭრის, გულიც გვერჩის და თქვენზე უკეთაც მოუვლით. იძლევი თუ არა?... შენვე

ჩამოიტანე და შენვე ჩამაბარე. მოდიხარ თუ არა? – მოვდივარ, მოვდივარ! ჩამოჰკვენესა ბატონმა და შინ შევარდა“ (იქვე, 217). დროშის გადაცემას არსენა სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს: დაკნინებული თავდების ნაცვლად, ერის წინამძღვრობა უბრალო ხალხმა უნდა იკისროს.

რომანში თავადაზნაურობა ურყოფითადაა წარმოჩენილი. მართალია ზაალ ბარათაშვილის მკვეთრად უარყოფითი პერსონაჟის საპირისპიროდ, ორბელიანების მიმართ მთხრობელი უფრო შემწყნარებელია, თუმცა არც მათ ერთგულებას ივინყებს „ახალი სამშობლოსადმი“: „ოთხივ ორბელიანი ნაომარია. ხვალ დილითაც საომრად მიდიან და ამიტომ **სააფიცრო მუნდირები** აცვიათ. მაგრამ თავდაპირველი ის არის, რომ ოთხივენი **ერეკლე მეფის შვილის-შვილები არიან და ამიტომ ურთიერთსაც და თავიანთ თავსაც კერპსავით ეთაყვანებიან, თავიანთი სისხლი სალოცავ ხატად მიაჩნიათ**“ (იქვე, 9). მართალია ზაალივით დაუნდობლები და მედროვეები არ არიან, მაგრამ ახალი სამშობლოსადმი ვალს ისინიც იხდიან, ხოლო მათი გვარიშვილობით თავის წარმოჩენა ნარცისიზმს ველარ სციდლება. გლეხებსაც მათი იმედი აღარ აქვთ. ეს კარგად გამოჩნდა დროშის დაცვის ეპიზოდში, სადაც მხოლოდ არსენამ გაბედა ხმის ამოღება და მოქმედება. გლეხი დათუნას ფიქრებშიც ეს აზრი იკვეთება: „საერთოდ ბატონ-ყმობაც უნდა მოსპოს, თვითონ ალექსანდრემ უნდა მოსპოს, **თორემ რუსის მომხრე თავადაზნაურები პირს შეჰკრავენ, ქვეყანას გაჰყიდნიან** (როგორც მრავალჯერ გაუყიდიან)“ (იქვე, 65). თავადაზნაურთა მეორე ფრთა, რომელსაც შალვა ბარათაშვილი წარმოადგენს, კოლონიზაციის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავს. ფილადელფოს ბერთან ერთად „აქტი გონიერი“ აქვთ შედგენილი და ჩურჩულით ცდილობენ მომხრეების შექნას. რომანში 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიებიცაა გადმოცემული, სადაც შეთქმულთა სისუსტე და არამდგრადობაა ნაჩვენები.

ნაწარმოებში რუსული კოლონიზაციის სიმძიმეს ყველაზე ადეკვატურად გლეხები აღიქვამენ, ვინაიდან სწორედ მათ გადაიტანეს დაპყრობილ ქვეყნაზე თავსდატეხილი ყველა უბედურება. ეროვნულ ტრაგედიას თან დაერთო სოციალ-

ური ჩაგვრა: გაკოტრებულმა თავადაზნაურობამ მათ ორ-მაგი გადასახადები დააკისრა, რასაც დაერთო რუსი კოლო-ნისტების საგადასახადო მოთხოვნებიც. სიმბოლურია ხალხში გავრცელებული ლექსი: „ბარნაველმა ნელი დუდუნით დაიწყო ახალი **პანაშვიდური სიმღერა**, რომელიც ის-იყო ახლად შემო-დიოდა და საიდუმლოდ ითქმებოდა:

**სკვითმა ნავართვა სამშობლო-ო-ო...“** (იქვე, 65).

პანაშვიდური სიმღერა მწერლის თანამედროვეობისთვისაც აქტუალური იყო, ვინაიდან კოლონიზატორი შეცვლილი არ იყო. კოლონიზაციის შედეგებმა ყველა სფეროში იჩინა თავი. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ეკლესიის ბედი, ვინაიდან რუსეთის ერთმორწმუნეობა იყო მნიშვნელოვანი არ-გუმენტი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს: „ფილ-ადელფოს ბერი წლეულ ოცდაათისა შესრულდა. ჭაბუკობაში გელათის მონასტერში იყო მორჩილად, მაგრამ ვინ გაუძლებდა ეგზარხოს ფეოფილაქტეს (ჯოჯოხეთის მოციქული და ანტი-ქრისტი). **ქართული ეკლესია მოსპო, მღვდელმთავრები აცემინა, რუსეთში გადასახლებინა, მონასტრები და ეკლესიები დაძარც-ვა და ქართული წირვა სიონის ტაძარშიც კი აკრძალა...** „რუსი ღენერლები იმერეთშიც ასპიტი ყაჩაღებით შემოიჭრნენ. – ხშირად იტყოდა ხოლმე შემდეგ ფილადელფოსი. – **ჰხოცეს, ან-გრიეს, სწვეს, სძარცვეს და სამშობლოს ერთგულები ათასობით გააციმბირეს**“. ამიტომ ლოცვის ნაცვლად იმ ხანებში გელათ-სა და სხვაგანაც წყევლა-კრულვა ისმოდა და წირვის მაგიერ ურვა და ვალალი იდგა“ (იქვე, 85). პერიოდული ეგზეკუცი-ების უმძიმეს შედეგებს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა გრძნობს, განსაკუთრებით ისინი ვინც რუს სამხედრო პირებს არ ეპირფერებიან. ეგზეკუციას შიში და ზაფრა მოაქვს, ამ სიტყვის ხსენებაც კი დიდ ტკვილთან ასოცირდება: „**ზეკუცია! ზეკუცია!** – სწრაფად გადადიოდა პირით-პირში. წარჩინებულ-თა შორის ახალი სტუმრების მოსვლამ სიხარული გამოიწვია. მარტო მაიორმა, ზაალმა და დავითმა იცოდნენ ადრევე, **რომ ამ სტუმრებს მარაბდაში ცრემლი და ვაება მოჰქონდათ**“ (იქვე, 102). „სალხინოდ მომზადებული **ეზო ხიშტებით, თოფებით, ხმ-ლებითა და ხანჯლებით გაივსო და სამხედრო ბანაკად გადაი-**

ქცა“ (იქვე, 104). ზაალ ბარათაშვილმა იცის რა შედეგი მოჰყვება ხიშტებიანი რუსების შემოსვლას, მაგრამ უძღღურებისა და სინანულის ნაცვლად მას ასეთი პასუხი აქვს: „ყველაზე მეტად კნინები შეშინდნენ – გარდა ხორეშანისა, რომელმაც ბოლოს საერთო დუმილი გაჰკვეთა:

– **ზაალ, მარაბდაში სისხლი დაიღვრება...**

– **დაიღვრება და დაიღვაროს, რა ჩემი ბრალია!** – ნაიბურტყუნა ზაალმა. – ამაზე მეტი რალა გინდა, ვეჟო! (იქვე, 111).

ამგვარი ეროვნული და სოციალური ფონი ხდება არსენა მარაბდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასპარეზი. ხალხური წყაროებიდან ცნობილ პერსონაჟს მ. ჯავახიშვილმა უფრო რთული მისია დააკისრა, ის მხოლოდ დაუმორჩილებელი, ტყეში გავარდნილი ყაჩალი აღარაა. არსენა ბატონყმობის წინააღმდეგია, მას კოლონიზებული სამშობლოს ბედიც ანუხებს და ხედავს თავადაზნაურთა გვარის დაკნინებას. 1832 წლის შეთქმულები მასთან დაკავშირებას ცდილობენ, არსენას თავისი პრინციპული შეხედულებები გააჩნია, რის გამოც შეთანხმება შეუძლებელი ხდება. რომანის დასაწყისში არსენას განსაკუთრებული ფიზიკური სიძლიერის ხაზგასმა ფოკლორული წყაროდან იღებს სათავეს: „ამას წინათ აღზევანიდან მომავალი ურემი ტალახში ჩაფლულა. მარილით ყოფილა დადებული. ყევარი ხარი მიაშველეს და მაინც ვერაფერს ვერ გახდნენ. არსენამ თურმე პირჯვარი დაინერა და ის ურემი ბუმბულივით აიგდო ბეჭებზე, აი რა ბიჭია ოძელაშვილი“ (იქვე, 14). არსენას გამოჩენას თან ახლავს ამ ამბების გახსენება. განსაკუთრებული ფიზიკური ძალა ტრადიციული ეპიკური გმირისათვის დამახასიათებელია, აქ ჩანს ამ სახის მითოსური შრე. ფიზიკურ ძალასთან ერთად არსენა თამამია, ბატონს თანასწორივით ესაუბრება, რაც მისი ათვალწუნების ერთ-ერთი მიზეზი ხდება: „ასვეტილი არსენა უკვე ფეხდაფეხ მიდიოდა ზაალისკენ – ტანგაშლით, ლალად და თამამად მიაბიჯებდა. სავსე კისერი ოდნავ მოიდრიკა და საერთო სალამში ისევ ძველებური თავადური კილო ჩააქსოვა: – ბატონებს ვახლავარ. – და გაჭიმული შედგა. ზაალმა ბოლმა ჩაიბრუნა.

ისევ ის არსენა! ისევ თავხდი, თამამი, მოურიდებელი და მოუდრეკელი“ (იქვე, 17).

არსენას ამგვარი გამოჩენის შემდეგ ბუნებრივად გვეჩვენება პერსონაჟის ცხოვრების გზა. ნაწარმოებში ასახული სოციალური და ეროვნული ფონი მას მხოლოდ ერთადერთ არჩევანს უტოვებს – ეს არის დაუმორჩილებლობა. ამ ყოველივეს წინ უძღვის ზაალის პირობის დარღვევა, ბატონის მიერ საყვარელი ადამიანების გაყიდვის საშიშროება, ეგზეკუცია, არსენას ოჯახის წევრებისა და თანასოფლელების სამარცხვინო დასჯა: „მარაბდელებო... უნინ როზგი მაინც არ ყოფილა, **ახლა კი ვაჟკაცს ქუდი მოჰხადეს, საქვეყნოდ სცემეს, სამუდამოდ ასაღდათებენ და ციშირში ალპობენ...** ესეც არ იკმარეს... მოვიდნენ და კისერზე დაგვასხდნენ, შინ ჩაგვისასხდნენ. **ბალებს შიმშილით დაგვიხოცავენ, დედაკაცებს ლეჩაქს ახდიან და ჩვენც გაგვჯობავენ.** მაშ რალა ოხრად მინდა ეს ძალღუმადური სიცოცხლე და ტიელი ქუდი!“ (იქვე, 125-126). მთხრობელი შექმნილ ვითარებაში არსენას ერთადერთ არჩევანს უტოვებს: „მოუსვენრად და ბოლმით სტოკავდა არსენა ოძელაშვილი. მას მეტი გზა აღარა ჰქონდა: უნდა წასულიყო, გავარდნილიყო, მაგრამ ის მრავალ გლესხს ითრევდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში გლესურ სიმართლისთვის, სიცოცხლისა და შრომის უფლებისთვის – აი რაზე ჰფიქრობდა იმ წამს არსენა“ (იქვე, 151).

ისტორიული რომანის პირველ ნაწილში გადმოცემულია XIX საუკუნის I ნახევრის ისტორიული რეალიები. მეორე ნაწილი მხოლოდ არსენას რაზმს ეთმობა, მესამე ნაწილში ფრაგმენტულად არის ასახული 1832 წლის აჯანყების პერიპეტეიები. მეორე ნაწილში არსენას რაზმის ცხოვრება იდეალიზებულია. ყაჩაღობენ, მაგრამ ნაალაფარს ღარიბებს ურიგებენ, თავისთვის მხოლოდ მცირედს იტოვებენ: „შეფიცულები გუშინწინ სათარეშოდ გავიდნენ. ქვეშეთის გზა მოინადირეს, **მდიდარ ჩარჩებს წაართვეს, ღარიბ გლეხებს მისცეს,** თეთრ წყაროს და სამშვილდეს ჩამოუქროლეს და დავლად მხოლოდ უცილებლივ თოფის წამალი, იარაღი, საცვალი, თამბაქო, ქსოვილი და ამგვარი წვრილმანი ამოიტანეს“ (იქვე, 170). მათი ტყეში გა-



ვარდნის მიზეზებს მთხრობელი ხშირად უსვამს ხაზს: „ზაალ-მა და მაიორებმა ეს ლუტი ძმები საბოლოოდ გააბოროტეს, რადგან ნადიროვით გაჰყარეს ტყეში და ყველაფერი წაართვეს – ოჯახიც და მოკეთეც, შრომაც და სიყვარულიც, უფლებაც და სიხარულიც“ (იქვე, 171). არსენა მონესრიგებული ლიდერია, რაზმი მუდმივად საქმით ჰყავს დატვირთული, რათა უსაქმობამ არ გარყვნას ისინი: „თარემის შემდეგ რაზმი ისვენებს. ბელადები თათბირობენ. ოძელაშვილი ამბობს, ტყუილა ჯდომას ტყუილი საქმე სჯობიაო. უსაქმო კაცი მალე მოდუნდება, დაღაჩრდება...: – ბიჭებო, თქვენ ენაგეთში ჩახვალთ და ქავთარაშვილის თივას მოუთიბავთ. დავრდომილია და უღპება... შენ კი ფარცხისელ ქვრივს ბაბალეს შეშას ჩაუტან, მაღლია... თქვენც პაპა სეხნიას მკაში მიეშველებით, თორე ავად არის და ცოდოა“ (იქვე, 172). არსენა რაზმის ინტელექტუალურ განვითარებაზეც ზრუნავს: „არსენას ცოლი მკაფიოდ და გრძნობით კითხულობს – ზოგჯერ კი ზეპირად უამბობს – როსტომის, ყარამანის, ვეფხისტყაოსნისა და ციკლოპური დევების გმირულ თავგადასავალს“ (იქვე, 172). არსენას სახელი კი მთელ საქართველოში ლეგენდად იქცევა: „მეცხვარეები საქართველოს ყველა კუთხეში იფანტებოდნენ და თან ლეგენდა დაჰქონდათ ვინმე არსენაზე, რომელიც საცაა გლეხებს დაუძახებდა და თავისუფლებას, მინას და სამართალს დაურიგებდა“ (იქვე, 175). არსენა უსისხლო ყაჩაღია, ის არ ღვრის სისხლს, რაც სხვა ყაჩაღებისათვის გაუგებარია: „შენ ყველას ყელის გამოჭრას უპირებ, მე კი ჯერ არავინ არ მომიკლავს და არც ვაპირებ მოკვლას... უსისხლო სახელი ბორჩალოელი ყაჩაღისთვის მართლად გაუგებარი რამ იყო. ჭკუას ძალას ატანდა და ლამობდა მშრალი წყალი ან ცივი ცეცხლი წარმოედგინა, მაგრამ ვერ დასძლია“ (იქვე, 201).

უსისხლო ბრძოლამ არსენას სახელი გაუთქვა. მ. ჯავახიშვილმა ხალხური არსენა სრულიად შეცვლა, მას გაცილებით დიდი მიზნები და ასპარეზი დაუთმო. არსენას სურს დაჩაგრული გლეხობა და გაუბედურებული, კოლონიზებული ქვეყანა გადაარჩინოს. ავტორი არსენას სახელს 1832 წლის შეთქმულებასთანაც აკავშირებს. შეთქმული შალვა ბარათამ-

ვილი და ფილადელფოს ბერი მას გაანდობენ თავიანთ გეგმებს და მონაწილეობასაც სთავაზობენ: „ძმაო არსენ, ახლა საქართველოში შენზე მეტად სახელოვანი ვაჟკაცი აღარ არის. ალექსანდრე ბატონიშვილი დაბერდა და იმედს აღარ იძლევა. თავად-აზნაურობის უმეტესობას რუსეთის მეფის მხარე უჭირავს და ხალხს ველარ უძღვება. გლეხი უპატრონოდ დარჩა და ბელადს ეძებს, შენზე უკეთესი ბელადი კი არცა ჰყოლია და არც ეყოლება“ (იქვე, 296). თუმცა მათ ერთმანეთს ვერ გაუგეს, რადგან შეთქმულ თავადებს ძველებური წყობის შენარჩუნება და რუსი კოლონიზატორების განდევნა სურდათ. არსენას კი უფრო დიდი მიზნები ჰქონდა: მას სურდა სრულიად საქართველოს გათავისუფლება, როგორც კოლონიური, ისე ბატონყმური უღლისგან: „ბატონ-ყმობა?... მამ უპატრონოდ როგორ შეიძლება?... სად გაგონილა? რაკი არ გაგონილა, მამ ბატონმა ეგ ჩუმი საქმე თვითონვე გააკეთოს. ესეც ხომ ღალა არ არის, რომ რუსი დავიხმაროთ. უპატრონოდ სად გაგონილა! მამ რისთვის შეეფიცნენ შარშანწინ ი ვილაც დეკემბრელები? რისთვის დაღვარა ზღვა სისხლი ნაპალევანმა?... მამ ფრანგისტანში ისევ ბატონ-ყმობა დარჩა?“ (იქვე, 298).

არსენას მიერ ტყეში შექმნილმა უტოპიურმა სამყარომ მალე დაიწყო რღვევა. ყაჩაღები ბოლომდე ვერ მოარჯულა და კვლავ დაიწყეს ზედმეტის მიტაცება, უსაქმურობა. ურჩობაც გაბედეს და ერთხელ არსენას უკითხავად ზაალ ბარათაშვილის სახლიც გადაწვეს და მთელ ოჯახს ამონვავენ, არსენას რომ არ მიესწრო და არ გადაერჩინა. რომანის დასასრულს არსენას იდეებს განხორციელება არ უწერია, მას მისი მდევარი გიორგი კუჭატნელი შეინირავს, თუმცა არსენას შთამომავლობის ჩვენებას ნაწარმოებში იმედის განცდა შეაქვს.

როგორც ვხედავთ, მ. ჯავახიშვილმა ისტორიულ რომანში შექმნა არსენას იდეალიზებული სახე, ის გმირად გამოაცხადა, რომელიც თანაბრად იბრძოდა სოციალური და ეროვნული იდეალებისთვის. მ. ჭიაურელის ფილმსაც მიუძღვის წვლილი ამ იდეალის დამკვიდრებაში. მწერლის სახელის რეაბილიტაციის შემდგომ კი კრიტიკოსებმა ნაწარმოებში კლასთა ბრძოლისა და სოციალური ჩაგვრის თემატიკა წამოსწიეს წინ. არსენას

გმირად გამოცხადებას სასკოლო სახელმძღვანელოებმაც შეუწყო ხელი, რომელშიც შეტანილი იყო, როგორც ხალხური „არსენას ლექსი“, ისე მ. ჯავახიანიშვილის ისტორიული რომანი. დღევანდელ დღეს არსენას სახელი შედარებით მივიწყებულია კოლექტიურ მეხსიერებაში, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან წლებია ამოღებულია ხალხური ლექსი, ხოლო მ. ჯავახიანიშვილის ნაწარმოებებიდან „არსენა მარაბდელი“ ყველაზე მეტად „ჯაყოს ხიზნებმა“ დაჩრდილა. სასკოლო პროგრამაშიც სწორედ ეს ნაწარმოები შევიდა. საბჭოთა კინოფილმი „არსენა“ აღარ სარგებლობს პოპულარობით. თუმცა არსენას სახელი მეტ-ნაკლებად მაინც შემორჩა კოლექტიურ მეხსიერებას, ამაზე მოწმობს თბილისის ფორუმის ვებგვერდზე გამართული დისკუსია, რომელიც გმირისა და ანტიგმირის ტრადიციულ დიქოტომიაზეა აგებული: არსენა გმირი იყო თუ უბრალო ყაჩაღი. ეს მომენტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა ეპოქაში ლიტერატურა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კოლექტიური მეხსიერების შექმნას და გარკვეული იდეალების დამკვიდრებას.

### ბიბლიოგრაფია:

1. აგლაძე 1993: აგლაძე შ, მიხეილ ჯავახიანიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ. 1993
2. ბარნოვი 1921: ბარნოვი ვ, არსენა, თბ. 1921
3. ბენაშვილი 1959: ბენაშვილი დ, მიხეილ ჯავახიანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1959
4. ბუაჩიძე 1933: იხ. აგლაძე 1993:
5. გვერდნითელი 1977: გვერდნითელი გ, მიხეილ ჯავახიანიშვილი, თბ. 1977
6. კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ, ქართული ხალხური ეპოსი, თბ. 2001
7. კვანჭილაშვილი 1966: კვანჭილაშვილი ტ, მიხეილ ჯავახიანიშვილის შემოქმედება, თბ. 1966
8. მელაძე 1931: მელაძე კ, მელაძე კ, „მდგომარეობალიტერატურის ფონზე“ <http://lib.ge/book.php?author=1591&book=9698>
9. რადიანი 1933: იხ. აგლაძე 1993:

10. რადიანი 1957: რადიანი შ, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1957
11. საარქივო მოამბე 2010:
12. ხუნდაძე 1933: იხ. აგლაძე 1993:
13. ჯავახიშვილი 1933: ჯავახიშვილი მ, როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, ჟურ. დროშა, 1933, №9
14. ჯავახიშვილი 1955: ჯავახიშვილი მ, არსენა მარაბდელი, თბ. 1955
15. ჯავახიშვილი 1991: ჯავახიშვილი ქ, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ. 1991
16. Boehmer E, Colonial and postcolonial literature, Oxford University Press, New York, 2005

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აგლაძე 1993: აგლაძე შ, მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ. 1993
2. ანჩაბაძე 1979: ანჩაბაძე ზ, გუჩუა ვ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1979, ტ. III
3. ანტონოსვკაია 2012: ანტონოსვკაია ა, დიდი მოურავი, ტ.1-7, თბ. 2012
4. ანტონოსვკაია 2013: ანტონოსვკაია ა, დიდი მოურავი, ტ.7-14, თბ. 2013
5. ბარნოვი 1921: ბარნოვი ვ, არსენა, თბ. 1921
6. ბარნოვი 1962: ბარნოვი ვ, გიორგი სააკაძე, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბ. 1962
7. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა, რწმენა, თბ. 1990
8. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა, რადიოინტერვიუ, თხზულებანი, ტ. III, თბ. 2004
9. ბენაშვილი 1959: ბენაშვილი დ, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1959
10. ბენაშვილი 1962: ბენაშვილი დ, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1962
11. ბერია 1938: ბერია ლ, გამოსვლა საქართველოს კომპარტიის მეათე ყრილობაზე, ჟურნალში „საარქივო მოამბე“, თბ. №10, 01.12.2010, გვ. 73-80
12. ბოჩკოვა 1984: ბოჩკოვა ლ, ქართული ისტორიული და ფსიქოლოგიური პროზის ისტორიიდან, თბ. 1984
13. ბუაჩიძე 1933: იხ. აგლაძე 1993:
14. გამსახურდია 1960: გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი, თბ. 1960
15. გამსახურდია 1974: გამსახურდია კ, დავით აღმაშენებელი, თბ. 1974, ტ. I
16. გამსახურდია 1975: გამსახურდია კ, დავით აღმაშენებელი, თბ. 1975, ტ. II
17. გამსახურდია 1976: გამსახურდია კ, თხზულებათა ათტომეული, თბ. 1976

18. გამსახურდია 1985: გამსახურდია კ, თხზულებათა ანთომეული, თბ. 1985, ტ. VIII
19. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ, წერილები. ესსეები, თბ. 1991
20. გვერდნითელი 1977: გვერდნითელი გ, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ. 1977
21. გოგებაშვილი 1986: გოგებაშვილი ი, საგანძური, 1986
22. გოლიაძე 2007: გოლიაძე გ, გიორგი სააკაძე. სტალინი. სტალინი და დავით აღმაშენებელი, გაზ. 24 საათი, თბ. 2007, №18
23. დადიანი 1962: დადიანი შ, რჩეული თხზულებანი, ტ.V, თბ. 1962
24. დადიანი 1990: დადიანი შ, უბედური რუსი, თბ. 1990
25. ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
26. ისტორიანი...1982: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართული პროზა, ტ.III, თბ. 1982
27. ვერჩი 2012: ვერჩი ჯ, მეხსიერების ტექსტები და ისტორიის ტექსტები, ჟურნალში „ცივილიზაციური ძიებანი“, თბ. 2013, №11
28. კაკაბაძე 1915: კაკაბაძე ს, გიორგი სააკაძე, თბ. 1915
29. კანკავა 1969: კანკავა გ, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ. 1969
30. კვანჭილაშვილი 1966: კვანჭილაშვილი ტ, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თბ. 1966
31. კვერენჩილაძე 2012: კვერენჩილაძე რ, მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი, თბ. 2012
32. კიკაჩიშვილი 1982: კიკაჩიშვილი თ, კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა, თბ. 1982
33. კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ, ქართული ხალხური ეპოსი, თბ. 2001
34. კირიონ II 1899: კირიონ II, წმიდა დავით III აღმაშენებელი, თბ. 1899

35. კორძაია 1990: კორძაია ჯ, ბოლოსიტყვა, დადიანი შ, უბედური რუსი, თბ. 1990
36. მამალაძე 2011: მამალაძე გ, ილია ქავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“, <http://presa.ge/new/?m=lit&AID=5968>
37. მაცაბერიძე 2010: მაცაბერიძე ბ, სტალინი და გიორგი სააკაძის სახე ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში, ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ. 2010
38. მელაძე 1931: მელაძე კ, მელაძე ე, „მდგომარეობა ლიტერატურის ფონზე“ <http://lib.ge/book.php?author=1591&book=9698>
39. მირესაშვილი 2005: მირესაშვილი მ, ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურებანი, თბ. 2005
40. მჭედლიძე 1974: მჭედლიძე ა. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის სწავლება სკოლაში. თბილისი, 1974
41. ნატროშვილი 1988: ნატროშვილი თ, წელი ერთი და ათასი, თბ. 1988
42. ნატროშვილი 2006: ნატროშვილი თ, დიდგორი... მარაბდა... ბაზალეთი, თბ. 2006
43. ჟღენტი 1967: ჟღენტი ბ, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1967
44. ჟღენტი 2011/2012: ჟღენტი ნ, დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები, კრ. „ქართული ნყაროთმცოდნეობა“, თბ. 2011/2012
45. რადიანი 1933: იხ. აგლაძე 1993:
46. რადიანი 1957: რადიანი შ, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1957
47. რობაქიძე 2009: რობაქიძე ნ, გაგრძელება იქნება?! ცხელი შოკოლადი, თბ. 2009, 1 თებერვალი
48. სალია 1999: სალია რ, შალვა დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“, სოხუმის აკად. ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბ. 199
49. სანიკიძე 1988: სანიკიძე ლ, გიორგი სააკაძე, თბ. 1988
50. სიგუა 1989: სიგუა ს, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ. 1989



51. სიგუა 2003: სიგუა ს, მარტვილი და ალამდარი, თბ. 2003
52. სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი. თბილისი, 2013
53. ფურცელაძე 1892: ფურცელაძე ა, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ. 1892
54. ღვინჯილია 1983: ღვინჯილია ჯ, გიორგი სააკაძის პიროვნება, თბ.1983
55. შუშანია 1976: შუშანია ე, კონსტანტინე გამსახურდია, თბ. 1976
56. ჩარკვიანი 2004: ჩარკვიანი კ, განცდილი და ნააზრევი, თბ. 2004
57. ჩხეიძე 2012: ჩხეიძე რ, სიმართლე გიორგი სააკაძეზე, თბ. 2012
58. ციციშვილი 1974: ციციშვილი გ, შალვა დადიანი. ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1974
59. წერეთელი 1895: წერეთელი ა, შავი ფიქრები, გაზ. კვალი, 1895, №44
60. ნიფურია 2010: ნიფურია ბ, კულტურული/სოციოკულტურული კონფლიქტი გარდამავალ საზოგადოებაში, ჟურ.: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, თბ. 2010, №2
61. ჭავჭავაძე 1886: ჭავჭავაძე ი, ლუარსაბ ნამებული, გაზ. ივერია, 1886, №133
62. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი, რჩეული ნაწარმოებები, თბ. 1987, ტ. IV
63. ჭანია 1997: ჭანია ლ, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, თბ. 1997
64. ხოტივარ-იუნგერი 1993: ხოტივარ-იუნგერი შ, ქართული ისტორიული რომანის განვითარება, თბ. 1993
65. ხუნდაძე 1933: იხ. აგლაძე 1993:
66. ჯავახიშვილი 1933: ჯავახიშვილი მ, როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, ჟურ. დროშა, 1933, №9
67. ჯავახიშვილი 1955: ჯავახიშვილი მ, არსენა მარაბდელი, თბ. 1955
68. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ. 1983

69. ჯავახიშვილი 1991: ჯავახიშვილი ქ, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ. 1991
70. ჯამბურია 1964: ჯამბურია გ, გიორგი სააკაძე, თბ. 1964
71. ჯანაშვილი 1904: ჯანაშვილი მ, დავით აღმაშენებელი, 1904
72. ჯანაშვილი 1914: ჯანაშვილი მ, გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ. 1914
73. ჯიბლაძე 1959: ჯიბლაძე გ, კრიტიკული ეტიუდები, თბ. 1959
74. Boehmer 2005: Boehmer E, Colonial and postcolonial literature, Oxford University Press, New York, 2005
75. Halbwachs 1992: Halbwachs M, On Collective Memory, University of Chicago Press, Chicago, 1992
76. Nora 1989: Nora P, Between memory and History, Representations, No 26, Special Issue, Memory and Counter- memory. (spring, 1989)
77. Porter 2011: Porter E.S, Robinson J.C, Hermeneutics: An introduction to Interpretative theory, wm. B. Eerdmans Publishing co, Cambridge, 2011
78. Smith 2013: Smith A, The Golden Age and National renewal, Myth an Nationalhood, Routledge, 2013
79. Zerubavel 2004: Zerubavel E, Time maps, Collective Memory and Social shape of the past, Chicago and London, 2003
80. Карагезов 2005: Карагезов Р , Метаморфозы коллективной памяти в России и н Центральном Кавказе, Баку, 2005

## სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	3
<b>თავი I</b> „გიორგი სააკაძის პოლარიზებული სახე კოლექტიურ მემსიერებაში და ვ. ბარნოვისა და ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომანები“ .....	9
<b>თავი II</b> „თამარ მეფის ეპოქა, როგორც ოქროს ხანის ხატი კოლექტიურ მემსიერებაში – შალვა დადიანის ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ მიხედვით“ .....	31
<b>თავი III</b> ფიქციისა და რეალობის მიმართება კოლექტიურ მემსიერებაში – კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით .....	47
<b>თავი IV</b> კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ გავლენა კოლექტიურ მემსიერებაში დავით აღმაშენებლის კულტის ფორმირების პროცესზე .....	65
<b>თავი V</b> არსენა როგორც ისტორიული და კოლექტიური მემსიერების ნაწილი (მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით) .....	87
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b> .....	103

ნიგნში წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის, თამარ ჩოკორაიას საგრანტო პროექტი, რომელიც დააფინანსა რუსთაველის ფონდმა 2013-2015 წლებში პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. ნიგნის სათაური იმეორებს აღნიშნული პროექტის სახელწოდებას. ისტორიული პროზა შესწავლილია მეხსიერების კვლევების კონტექსტში. გამოვლენილია ქართული საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების არსი, მისი დამოკიდებულება წარსულისადმი, კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები. წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და პოპულარული ისტორიული ნაწარმოებებიდან საზოგადოების ცნობიერებაში დაღეჭილი და კოლექტიურ მეხსიერებაში გადასული სტერეოტიპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართული საზოგადოების სოციოპოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

